

ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
გამოცემა

№1, 2022

პირველი ნაწილი

ქართული ენა და დისციპლინა



საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი



ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

განსაზღვრულ პირობებში განათარსების
ეროვნული მნიშვნელობის პროექტი

№1, 2022

პირველი ნაწილი
ქართული ენა და ღმერთთა

საგანმანათლებლო კომპლექსი:

ლევან ბრეგვაძე

სამეცნიერო რედაქტორი

თამაზ ვასაძე

გრიგოლ (გია) მურდულია

ნინო ნაპოდაშვილი

ზაალ ჩხეიძე

გია ბაღაშვილი

სოფიო ქაბაშვილი

ლევან ახვლედიანი

რუსუდან თაყაიშვილი

ნონა პოპიაშვილი

მთავარი რედაქტორი

მაია ინასარიძე

კორექტორი

მაია წიკლაური

დიზაინერი

ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ელის ქ. 5,

ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შეხატვა, არ ემთხვევა მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებს. ცალკეულ სტატიებში
დასახელებული ფაქტების უცნაურობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 2720-8583

WWW.TPDC.GE



რედაქტორისათვის

საინფორმაციო ტექნოლოგიებმა, ინტერ-
ნეტიზაციამ რადიკალურად შეცვალა სამეც-
ნო, გლობალურ-ვირტუალურ სივრცედ გადა-
ქცია ის. კაცობრიობა ახალი გამოწვევის წი-
ნაშე დადგა: თუ ინფორმაციულ საზოგადოებაზე
გადასვლას თან არ ახლავს ზოგადკაცობრიული
ღირებულებების ერთგული პიროვნება, რომელიც
ფართო სოციალური ხედვითა და მორალურ-
ეთიკური პრინციპებით გამოირჩევა, იქმნება
ადამიანების ვიწრო ტექნოკრატიკული სპეციალისტე-
ბად გადაქცევის საშიშროება. ასეთ პირობებში
განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჰუმანი-
ტარული განათლება. ეთიკურ და მნიშვნელოვან
ღირებულებებს, კაცობრიულ და ეროვნულ კულ-
ტურას მომავალი თაობა ჰუმანიტარული ციკლის
საგნების და, უპირველეს ყოვლისა, ქართული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა უნდა
აზიარონ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარ-
ების ეროვნული ცენტრის ინიციატივა, გამოსცეს
ჟურნალი „ჰუმანიტარული განათლება სკოლა-
ში“, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთა პრო-
ფესიულ განვითარებას ემსახურება. ჟურნალი
ორი ნაწილისაგან შედგება. მნიშვნელოვნებიდან
გამომდინარე, პირველი ნაწილი ქართულ ენასა
და ლიტერატურას დაეთმობა, მეორე ნაწილი კი
– ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესას-
წავლ სხვა ჰუმანიტარულ საგნებს. აკადემიური
წრეების ჩართვით მასწავლებელთა პროფესი-
ული განვითარების საქმეში ჟურნალი ხელს შე-
უწყობს ჰუმანიტარულ სფეროში სიახლეების
გაცნობას, პედაგოგების თვალსაზრისის გაფარ-
თებას, თანამედროვე და მრავალწახნაგოვანი
ხედვის ჩამოყალიბებას.

გარდა მასწავლებლებისა, ჟურნალი, ვფიქ-
რობთ, დაინტერესებს უმაღლესი პედაგოგიური
საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადე-
მიურ პერსონალსა და სტუდენტებს, განათლების
სპეციალისტებსა და მკვლევარებს, ზოგადსაგან-
მანათლებლო სისტემით დაინტერესებულ პირებს,
მშობლებს, მოსწავლეებს.

წარმატება ვუსურვოთ ჟურნალს!

შინაარსი

მთავარი კითხვა და გამოწვევა

გია მურდულია

05 ჰუმანიტარული

განათლების პარადიგმის
გაზრდისთვის

ნინო ნაპოდაშვილი

10 რისთვის სჭირდება

დემოკრატიას

ჰუმანიტარული

განათლება?

ანი კუდუხაშვილი

16 ღირებულებითი

სწავლების პოლიტიკა

სკოლებში

თვალსაზრისი

თამაზ ვასაძე

21 ბარათაშვილის პოეზიის

ანტიტემები

ლევან ბრეგვაძე

30 ცრუ ნერონიდან ნამდვილ

ნერონამდე

მაია ნინიძე

35 თეოლოგიური

სურათების მიხედვით

ანალიზი ლიტერატურის

სწავლების პროცესში

ქართული ენის სწავლებისთვის

ლია ქაროსანიძე

43 ქართული

თეოლოგიის

საპოტენციალი

თვალსაზრისი

ზაალ ჩხეიძე

49 WIR LEBEN

ღმერთისადმი პატივისცემის

ბორის აკუნინი

57 აღმოსავლეთი და

დასავლეთი



ზენაა შანიკა

ძალიან საჭიროა ასეთი ჟურნალის დაარსება, რადგან დღეს ჰუმანიტარულ განათლებას ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლასა და საზოგადოებაში. ტექნიკის პროგრესის ეპოქაშიც ჰუმანიტარული დარგები ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას. იგი ხელს უწყობს მოსწავლის განათლებასა და ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას. მოსწავლემ რომ ცოდნა შეიძინოს, ამისათვის საჭიროა თვით მასწავლებელი იყოს განათლებული. სასურველია, ახლად დაარსებული ჟურნალი პუბლიკაციებს მხოლოდ ვიწრო სპეციალურ საკითხებზე არ აქვეყნებდეს და აშუქებდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს. ამით ცოტათი მაინც ხელი შეეწყობა ჰუმანიტარული განათლების დონის ამაღლებას.



ნანა მაყაშვილი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მივესალმებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივას, გამოსცეს ჟურნალი „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“.

ჩვენი აზრით, ეს ძალზე სასარგებლო და საშური საქმეა მომავალი თაობების სულიერი განვითარებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ უკან დასწია სულიერება. ბავშვები აღარ კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, აღარ სწავლობენ ლექსებს, დიდიდან დაღამებამდე სმარტფონებს ჩასცქერიან, სოციალურ ქსელებში ინგლისურ ენაზე აქვთ მომოწერა, უამრავ შეცდომას უშვებენ ქართულად საუბრისას. მათი მეტყველება სავსეა ბარბარიზმებითა და სახელდახელო ნეოლოგიზმებით. მხოლოდ ინგლისური სიტყვები კი არა, უცხოენოვანი სინტაქსური კონსტრუქციებიც კი ყოველი მხრიდან უტევს ჩვენს მშობლიურ ენას.

რამ უნდა უშველოს ამ პრობლემებს? ჩვენი აზრით, თითოეული ჩვენგანის, მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივმა ძალისხმევამ არ უნდა დაკარგოს ყველაზე მთავარი: მშობლიური ენის პატივისცემა, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიის სიყვარული, ჩვენი წინაპრების სისხლით დღემდე ჩვენამდე მოტანილი სულიერი

ღირებულებები და ყოველივე ამით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა (სულიერებაა ერთადერთი რამ, რითაც ქართველობას თავის მოწონება შეუძლია დღევანდელი მსოფლიოს წინაშე).

ვფიქრობ, სკოლაში მიღებული ცოდნა და სწორად მონიშნული სულიერი მიმართულება მთელი ცხოვრება გაჰყვება და სავალ გზას გაუნათებს ახალგაზრდებს. ამ მხრივ, სწორედ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მოუწევთ ყველაზე მეტი შრომა, დაეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა.

ყველასათვის ცნობილია, როგორი სიყვარულით იხსენებენ ჩვენი შორეული და ახლო წინაპრები მასწავლებლებს, როგორ უმადლიან მათ თავიანთ სულიერ განვითარებას.

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!“

ვფიქრობ, თქვენი ახლად დაარსებული ჟურნალი სათანადოდ გაუმკლავდება ჩვენს საერთო სატკივარსა და სამარუნავს და თავის სიტყვას იტყვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა საკეთილდღეოდ!



ავთანდილ არაგელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა, შეიქმნას სპეციალური სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“, იმგვარ საიმედო ნიშნად აღიქმება, როგორც საწვინარი ღრუბელი ხანგრძლივი გვალვის შემდეგ.

ჩვენი საზოგადოება დღეს იმ უახლოესი უკუღმართი ისტორიის შედეგებს იმკის, როდესაც ქვეყნის განათლებას მესვეურობდნენ ისეთი კადრები, რომელთაც მეცნიერება საუნივერსიტეტო განათლებისთვისაც კი ზედმეტი ეგონათ. იმის წარმოდგენა ხომ არა და არ შეეძლოთ, თუ რა ბედი ეწეოდა მეცნიერული აზრის გარეშე დატოვებულ სკოლას. დღეს ძნელად წარმოსადგენია, რა ძალისხმევითა და რესურსებით შეიძლება გამოთვლდეს ეს საბედისწერო

წყვეტა, მაგრამ ნამდვილად გამხნევენასა და მხარდაჭერას მოითხოვს იმათი სულის-კვეთება (დეფისი გამიზნულად წერია), ვინც ამ საქმეს შეჰბედავს და წარუძღვება. ერთის თქმაც აქედანვე შეიძლება: „ჰუმანიტარული“ მეტისმეტად ფართო არეალია და, რაკი ოცნებას კაცი არ მოუკლავს, იმის იმედადაც შეიძლება ვიყოთ, რომ უახლოეს მომავალში „ჰუმანიტარულის“ ნაყოფიერ წილში დაიბადება ისეთი თემატური ჟურნალები, როგორებიც იქნება „ენა“, „ლიტერატურა“, „ისტორია“ და სხვ.

პირველივე წინადადების შედარებას რომ დავუბრუნდეთ, ხვალინდელი დღე გვიჩვენებს, რაგვარი „ნაღებები“ მოჰყვება ამ ნაგვალევეს გაჩენილი საავდრო ღრუბლის საიმედო გაელვებას – ნამდვილად მაცოცხლებელი წვიმა, თუ მჟავე წვიმები, სეტყვა და თოში... ამიტომაც მინდა შევაწიო ჩემი წილი გზის დალოცვა. გაგმართლებოდეთ!



ნიკა ჩაშიათი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი

მასწავლებელთა პროფესიული თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის განახლება სამეცნიერო მიღწევებისა და ახალი ხედვების კვალდაკვალ უაღრესად საშურ საქმედ მიმაჩნია. ქართული ლიტერატურის სწავლების თვალსაზრისით მსგავსი ინიციატივა ნამდვილად მისასალმებელია. ვფიქრობ, ჟურნალი „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“ ხელს შეუწყობს როგორც მასწავლებლების პროფესიული დონის შენარჩუნებასა თუ ამაღლებას, ისე მომავალი თაობის აღჭურვას თანამედროვე ინფორმაციითა და ინოვაციური მიდგომებით. ლიტერატურული ტექსტები ყველა თაობაში სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, გამომდინარე ეპოქის სტანდარტებიდან და კულტურული დისკურსიდან, რაც, ცხადია, ინფორმაციის ახლებურად ინტერპრეტაციისა და მიწოდებისაკენ გვიბიძგებს. წარმატებას ვუსურვებ ახალ ჟურნალს და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით მზაობას გამოვთქვამთ თანამშრომლობისათვის.



თამარი ღომიძე

პიანისტი, კონსერვატორიის პროფესორი,
საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი

სიხარულით ვულოცავ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ახალი ჟურნალის – „ჰუმანიტარული მეცნიერებები სკოლაში“ – დაარსებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალის იდეა, რაც ყველა ჩვენგანისათვის სულიერი, მორალური, ზნეობრივი და ეთიკური პრინციპების გაღრმავებას ემსახურება. ვფიქრობ, ახალგაზრდა თაობისთვის ამ ღირებულებების სწორად მიწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ყოფაში.

ხაზგასმით მინდა გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება ჟურნალის პირველი ნომრის შინაარსობრივი მრავალფეროვნების მიმართ, რაც სხვადასხვა სფეროს – ხალხურ სიმღერას, არქეოლოგიურ მეცნიერებას, ლიტერატურას, პოეზიას, ხელოვნებასა და სამუსიკო განათლებას მოიცავს.

წარმატებებს, არაერთ საინტერესო სტატიასა და დიდხანს არსებობას ვუსურვებ ჟურნალს!

ჰუმანისტური განათლების პარადიგმის გააზრებისთვის



გია ბერიძე

ფილოლოგიის დოქტორი

ჰუმანитарული განათლება ზოგადი განათლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც დიდწილად პასუხისმგებელია, თუ როგორია საზოგადოება ამა თუ იმ ქვეყანაში.

ნებისმიერი განზომილებით, მასწავლებელი სკოლაში სამ მთავარ რამეს აკეთებს:

1. ასწავლის საგანს ან საგანთა ჯგუფს;
2. აყალიბებს და ავითარებს ცხოვრებისეულ უნარებს;
3. ცდილობს, მოსწავლის გულსა და გონებაში დაბადოს მთავარი ზნეობრივი და ჰუმანისტური ღირებულებები.

პირველი იძლევა ცოდნას კონკრეტული საგნობრივი მიმართულებით, მეორე მოსწავლეს აზიარებს ნებისყოფის, შეუპოვრობის, მიზანსწრაფვის, ალგორითმის გააზრების კულტურას, რომლის გარეშეც (მხოლოდ კარგ განათლებაზე დაფუძნებით) ადამიანი წარმატებას ვერ მიაღწევს, მესამე კი უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანი პიროვნებად ჩამოყალიბდეს და ცხოვრების განმავლობაში მუდმივად ეცადოს, რომ სიკეთის, თავისუფლების, ღირსების, სამართლიანობის მხარეს დადგეს.

ეს მიზნები სრულიად გასაგებია და საკმაოდ კარგადაც არის გააზრებული თუ გაცხადებული ქართული სკოლისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში: „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ (2004), თუმცა უნდა ვიკითხოთ, რამდენად სრულდება ამ ტექსტით განსაზღვრული მოთხოვნები – ფიქრობენ მის შესრულებაზე საქართველოს სკოლებში? ჩამოყალიბებული აქვთ აღზრდის სისტემა? მომზადებულია შესაბამისი რესურსები? მოქმედებს მონიტორინგის ქმედითი მოდელი? ითვალისწინებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელთა მომზადებას საქართველოს უნივერსიტეტები?

შევეცადოთ, გავერკვეთ პრობლემური საკითხის არსში.



ათწლეულთა განმავლობაში,
ჰუმანისტური განათლების
საინსის თვალსაზრისით,
ქალიან გვინი პრობლემა
დავითგოვდა საქართველოში.
მათი გადარჩევის გარეშე ჩვენ
ვერ მოვახერხებთ ქართული
საზოგადოების სამოქალაქო
კულტურის სათანადოდ სასწრაფო
დონამდე აწევას – ამ გზივ
რომ პრობლემატი გვაქვს,
ეს ჯერჯერობა თვალსაჩინოა
საინისოდ, რომ ვერ დავინახოთ.



თავდაპირველად თავად ცნება განვსაზღვროთ – რა არის „ჰუმანიტარული განათლება“?

ის უთუოდ გულისხმობს სწავლებას შემდეგი მიმართულებებით:

- ლიტერატურა
- ენა
- ისტორია
- ხელოვნება
- ფილოსოფია
- სამოქალაქო განათლება

ყველა ამ მიმართულებით ბევრი კითხვა უნდა დავსვათ (ცხადია, ყველას გასდევს მთავარი კითხვები: როგორია საკადრო, სახელმძღვანელოებითა და რესურსებით უზრუნველყოფა? როგორი საგნობრივი სტანდარტები და პროგრამები გვაქვს?)

1. **ლიტერატურა** – როგორ ვარჩევთ შესასწავლ ტექსტებს? რა თანაფარდობით ვასწავლით ძველ, ახალ და უახლეს ლიტერატურას? რა მეთოდოლოგიას ვიყენებთ ტექსტის მართებული აღქმის, გააზრებისა და გამოხატვის სწავლებისთვის? ვასწავლით თუ არა ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში? ვაძლევთ თუ არა მოსწავლეებს საკმარის ინფორმაციასა და წარმოდგენას პუბლიცისტიკის შესახებ?
2. **ენა** – ლიტერატურასთან ინტეგრირებულად ვასწავლით, თუ ცალკე? გრამატიკულ წესებს ვაზეპირებინებთ, თუ სასწავლო პროცესის ცოცხალ ლიტერატურულ მეტყველებასთან დაკავშირებას ვცდილობთ? რას ვაკეთებთ ლექსიკის გასამდიდრებლად და მართლწერის კულტურის ასამაღლებლად?
3. **ისტორია** – ვასწავლით თუ არა საქართველოს ისტორიას საჭირო მოცულობითა და სისრულით? რას ვაკეთებთ ჩვენი ისტორიის მსოფლიო მათიანის კონტექსტში გასააზრებლად? ვცდილობთ თუ არა მოსწავლეებს დავანახვით ისტორიის ზოგადი თუ კონკრეტული საზრისები? ვაცნობთ თუ არა მოსწავლეებს მსოფლიო და საქართველოს ისტორიის უმთავრეს მოვლენებს და ვთავაზობთ თუ არა შესაფერის ანალიზსა და შეფასებას? ვესწრაფვით თუ არა უახლესი ისტორიის ამბების ელემენტარულ დონეზე გაცნობიერებას?
4. **ხელოვნება** – რამდენად უზრუნველყოფს ქართული სკოლა, რომ მოსწავლეებს წლების განმავლობაში თანმიმდევრულად გააცნოს ხელოვნების (მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, კინემატოგრაფია) მსოფლიო კლასიკის ყველაზე გამორჩეული ნიმუშები?
5. **ფილოსოფია** – ითვალისწინებს თუ არა ქართული სკოლა მსოფლიო საგანმანათლებლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ხედვასა და აზრს, რომ ე.წ. საგაკვეთილო სისტემა ანაწევრებს სამყაროს აღქმას მოსწავლის ცნობიერებაში და აუცილებელია მისი გამთლიანება ფილოსოფიის თუნდაც ელემენტარული კურსის სწავლებით? ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს ჩვენთან ეძლევათ თუ არა შესაძლებ-

ლობა გაეცნონ მსოფლიო ფილოსოფიური კულტურის უკვდავ ნიმუშებს (რა თქმა უნდა, მათი მომზადების შესაბამის დონეზე)?

6. საშუალო განათლება – გასდევს თუ არა მთლიან სასწავლო პროცესს ადამიანის სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზანი? ცდილობს თუ არა ქართული სკოლა მოსწავლეებს გააცნობიერებინოს მოქალაქისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორებიცაა: თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ემპათია, სოლიდარობა?

ზემოთქმულთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს ისეთი სფეროები, როგორებიცაა:

- იგავების სამყარო
- ზღაპართა სამყარო
- მითოსის სამყარო
- ბიბლიის სამყარო

შეგვიძლია თუ არა დადასტურებით განვაცხადოთ, რომ ქართული სკოლა სამივე ამ მიმართულებით (ისინი კულტურული და განათლებული ადამიანის ცნობიერების განუყოფელ ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ) საკმარისად ირჯება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით? – აქვს საამისო ადამიანური, მეთოდოლოგიური და საგანმანათლებლო რესურსები?

რაც ზემოთ ითქვა, იმას აუცილებლად უნდა მოსდევდეს შემდეგი კითხვები:

1. როგორ ნაწილდება სწავლებისა და აღზრდის სამივე საფეხურზე ყველა ეს განზომილება – რა მიზნითა და რა შედეგებით?
2. ასახულია თუ არა ეს ინტერესი და გამოწვევა მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში?
3. როგორ არის გათვალისწინებული ეს ამოცანა საგნობრივ სტანდარტებში ან პროგრამებში?
4. როგორ არის ასახული ეს ყველაფერი სახელმძღვანელოებში?

საგანგებოდ დასასმელი კითხვაა: დაძლეული გვაქვს თუ არა ე.წ. „ევროპო-ცენტრული მიდგომა“ ჰუმანიტარულ განათლებაში (როდესაც აღმოსავლური კულტურის ნიმუშებს ხარისხობრივად ნაკლებად ვაცნობთ ჩვენს მოსწავლეებს)?



გამოწვევა კალიან სერიოზულია და მის გააზრებასა თუ გადაწყვეტაზე ღირსიად არის დაמוქიდავადი ქართული სასაქონლოსა თუ ქართული საზოგადოების წარმატება დინამიკურად განვითარებად თანამედროვე სამყაროში, რომელიც დღემდე აჩნხაურ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, გაზრდოვანად გადაეცეს კრიტიკიკით ემპათია მას, ვინც კონკურენციას ვერ გაუძღვას.



კითხვათა დასმა მოგვიწევს მონიტორინგის მიმართულებითაც:

- გვაქვს თუ არა შესაბამისი ანალიზი (ჰუმანიტარული განათლების თანამედროვე მდგომარეობისა საქართველოში)?
- საჭიროა თუ არა ასეთი ანალიზის შესატყვის რეკომენდაციათა მომზადება და გათვალისწინება?
- არის თუ არა ამ ამოცანათა გააზრება და გადაწყვეტა საქართველოში განათლების რეფორმის განხორციელების ცენტრალური პრობლემა („ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ მიღწევის თვალსაზრისითაც)?
- რას ვაკეთებთ საერთაშორისო შეფასებების დასკვნებისა (ისინი მუდმივად არასახარბიელოა ჩვენთვის დასრულად ვერც ასახავს ჰუმანიტარული განათლების თუნდაც არსებით პრობლემებს საქართველოში) და რეკომენდაციების ობიექტურად შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად?

კითხვათა მომდევნო სერია ასეთია:

- გვაკმაყოფილებს თუ არა დღეს არსებული მდგომარეობა (ეს, არსებითად, რიტორიკული კითხვაა)?
- გასააზრებელია თუ არა ხსენებული პრობლემის გადაწყვეტის მთავარი ალგორითმი?
- რა თეორიული, მეთოდოლოგიური, საკადრო, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსები დასჭირდება პრობლემათა გადაწყვეტას?
- რა მოსალოდნელი შედეგებისთვის ვისახავთ მიზნად არსებული პარადიგმის შეცვლას (ეს შედეგები მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ)?

რა აკადემიური ხასიათის კითხვები გვაქვს ყველა ზემოდასახელებული მიმართულებით?

- რა უნდა ვასწავლოთ?
- რა ასაკიდან ვასწავლოთ?
- რამდენ ხანს ვასწავლოთ?
- რა მოცულობით ვასწავლოთ?
- რისთვის ვასწავლოთ?
- როგორ ვასწავლოთ?

ყველა ეს კითხვა სათითაოდ დაწვრილებით ანალიზს, კვლევებზე დაფუძნებულ შეფასებებსა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას მოითხოვს – ცხადია, რეალურ დროში სრულფასოვანი განხორციელების პერსპექტივით.

ჩემი ინიციატივით (საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის, საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის აქტიური მონაწილეობით, ასევე – საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პირველი არხის – საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადგომით) დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. პლენარულ და სექციურ სხდომებზე კონფერენციის მონაწილენი იმსჯელებენ და მკაფიო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას

შეეცდებიან ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღეს აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოსთვის:

- ჰუმანიტარული განათლების თანამედროვე ტენდენციები მსოფლიოში;
- საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ პრობლემის მიმართ დამოკიდებულებას;
- შედარებითი პედაგოგიკის ანუ კომპარატივისტიკის მთავარი დებულებები ამ მიმართულებით;
- სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება;
- ვითარება საქართველოში – მთავარი პრობლემები, გამოწვევები და რეკომენდაციები.

ათწლეულთა განმავლობაში, ჰუმანიტარული განათლების ხარისხის თვალსაზრისით, ძალიან ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა საქართველოში. მათი გადაწყვეტის გარეშე ჩვენ ვერ მოვახერხებთ ქართული საზოგადოების სამოქალაქო კულტურის სათანადოდ სასურველ დონემდე აწევას – ამ მხრივ რომ პრობლემები გვაქვს, ეს ზედმეტად თვალსაჩინოა საიმისოდ, რომ ვერ დავინახოთ.

მრავალკომპონენტიანი (დრო- და რესურსტევადი) პრობლემის გადაწყვეტა ბევრი მიმართულებით სათანადო კვლევათა ჩატარებას, ობიექტურ პროფესიულ შეფასებასა და გადაწყვეტილებათა მიღებას გულისმობს – ეს მრავალი ადამიანის კოლექტიური და, რაც მთავარია, სინერგიული გარჯაა.

გამოწვევა ძალიან სერიოზულია და მის გააზრებასა თუ გადაწყვეტაზე დიდწილად არის დამოკიდებული ქართული სახელმწიფოსა თუ ქართველი საზოგადოების წარმატება დინამიკურად განვითარებად თანამედროვე სამყაროში, რომელიც დღემდე არნახულ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, მაგრამ გადაულახავი პრობლემებით ემუქრება მას, ვინც კონკურენციას ვერ გაუძლებს.





ნინო ნაკაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

ჩისტვის სწიდაბა დამოკრასიას ჰუმანიტარული განათლება?



ჰუმანიტარული განათლება, რომელიც საშუალებას მოგვთმობს საზოგადოების საფუძვალს წარმოადგენს და საკვანძო როლს თამაშობს დამოკრასიისთვის ისტორიაში, დღეს კინების განხილვის, ვინაიდან მოგვცის ან სწავთ, რომ მათმა პირობებმა ღიშნადა და ხელშეწყობა შეიძლება, ვინაიდან ეს საგნები მათი მომავალი ფინანსური და კარიერული წარმატებისათვის მნიშვნელოვნად არ მიაჩნიათ. შესაბამისად, სკოლებსა და კოლეჯებში ჰუმანიტარულ საგნებს უფრო და უფრო ნაკლები დრო ეთმობა, რაც ხელს უწყობს იმ უნარების განუვითარებლობას, რომლებიც დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენენ. ავტორი შეგვახსენებს, რომ დიდ პედაგოგებს კარგად ესმოდათ, რამდენად მნიშვნელოვანია ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების როლი კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, რომელიც ამზადებს ადამიანს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მოქმედებისათვის. ასევე იმ უნარებისა და სიმამაცის შეძენაში, რომლებიც მას, საჭიროების შემთხვევაში, ტრადიციის ბრმა ძალაუფლებისა და ავტორიტეტების წინააღმდეგ წასვლის საშუალებას მისცემს. ისინი, ვინც ლიტერატურას შეის-



ამ ქვესათაურით გამოსცა პრინსტონის უნივერსიტეტმა 2010 წელს თანამედროვე ცნობილი ფილოსოფოსის მართა ნუსბაუმის წიგნი „არა მოგებისათვის“, რომელიც განათლებაში ხელოვნებისა და ჰუმანიტარული საგნების მნიშვნელობას ეძღვნება. ეს ნაშრომი, რომელიც ჟან-ჟაკ რუსოს, რაბინდრანათ თაგორის, ჯონ დიუის, ფრიდრიხ ფრიობელის, იოჰან პესტალოცის, ბრონსონ ოლკოტის და მარია მონტესორის იდეებს ეყრდნობა, წარმოგვიდგენს განათლების მოდელს, რომელიც მიზნად ადამიანის პოტენციალის განვითარებას ისახავს და, ავტორის მტკიცებით, დემოკრატიის არსებობისა და მსოფლიო მოქალაქეების აღზრდისათვის განათლების სწორედ ამგვარი მოდელია უცვლელი. ეს პარადიგმა, რომელიც დღეს მეინსტრიმულად ითვლება, ქართულ საგანმანათლებლო სისტემაშიც მკვიდრდება და, აქედან გამომდინარე, ჩავთვალოთ, რომ მართა ნუსბაუმის წიგნის ძირითადი დებულებების გაცნობა ჟურნალის მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნებოდა.

ავტორის აზრით, ჰუმანიტარული განათლება, რომელიც სამოქალაქო ცნობიერების საფუძველს წარმოადგენს და საკვანძო როლს თამაშობს დემოკრატიის ისტორიაში, დღეს კრიზისის განიცდის, ვინაიდან მშობლებს არ სურთ, რომ მათმა შვილებმა ლიტერატურა და ხელოვნება შეისწავლონ, ვინაიდან ეს საგნები მათი მომავალი ფინანსური და კარიერული წარმატებისათვის მნიშვნელოვნად არ მიაჩნიათ. შესაბამისად, სკოლებსა და კოლეჯებში ჰუმანიტარულ საგნებს უფრო და უფრო ნაკლები დრო ეთმობა, რაც ხელს უწყობს იმ უნარების განუვითარებლობას, რომლებიც დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენენ. ავტორი შეგვახსენებს, რომ დიდ პედაგოგებს კარგად ესმოდათ, რამდენად მნიშვნელოვანია ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების როლი კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, რომელიც ამზადებს ადამიანს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მოქმედებისათვის. ასევე იმ უნარებისა და სიმამაცის შეძენაში, რომლებიც მას, საჭიროების შემთხვევაში, ტრადიციის ბრმა ძალაუფლებისა და ავტორიტეტების წინააღმდეგ წასვლის საშუალებას მისცემს. ისინი, ვინც ლიტერატურას შეის-

წავლიან, საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოდგენას სწავლობენ, ეს უნარი კი წარმატებული დემოკრატიული საზოგადოების საფუძველთა საფუძველია. ავტორის აზრით, საზოგადოება, რომლის ბირთვსაც ემპათიის უნარის არმქონე ადამიანები შეადგენენ, მარგინალიზაციისა და სტიგმატიზაციის სხვადასხვა ფორმას ამრავლებს. ავტორი მიიჩნევს, რომ, თუკი ქვეყანა ჰუმანური, დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს აშენებს, რომლის მიზანაც თითოეული ადამიანისათვის „ცხოვრების, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის“ თანაბარი შესაძლებლობების შექმნაა, მან მოქალაქეებს შემდეგი უნარები უნდა განუვითაროს:

- ა) მათი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების დეტალური გააზრების უნარი; უნარი იმისა, რომ იკვლიონ, იფიქრონ და იკამათონ ტრადიციებისა და ავტორიტეტების წინაშე ძრწოლის გარეშე;
- ბ) საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების თანასწორუფლებიანებად აღქმის უნარი, მათი ეთნიკური, რელიგიური და გენდერული კუთვნილების მიუხედავად;
- გ) სხვა ადამიანების ცხოვრებაზე დაფიქრების უნარი; იმის გაგების უნარი, რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკა თანამოქალაქეთა პერსპექტივებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე;
- დ) იმართული და მრავალფეროვანი პრობლემების გააზრების უნარი, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში; უნდა შეეძლოს განსჯა და ფიქრი ბავშვობაზე, სიყმაწვილეზე, ზრდასრულობაზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, ავადმყოფობაზე, სიკვდილ-სიცოცხლესა და ბევრ სხვა ადამიანურ პრობლემაზე;
- ე) პოლიტიკური ლიდერების განსჯის უნარი რეალობის შეგრძნების დაკარგვის გარეშე, იმაზე დაყრდნობით, თუ რა შესაძლებლობები აქვთ ამ ლიდერებს;
- ვ) ქვეყნის კეთილდღეობაზე და არა მხოლოდ საკუთარი ჯგუფის კეთილდღეობაზე ფიქრის უნარი;
- ზ) ნებისმიერი უცხო ქვეყნის, როგორც ერთიანი სამყაროს ნაწილის, აღქმის უნარი, რომელთან ურთიერთობის ნებისმიერი საკითხი გონივრული, ტრანს-ნაციონალური მსჯელობის შედეგად უნდა გადაწყდეს.

სწორედ დემოკრატიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ უნარების განვითარება ეკისრება, ავტორის აზრით, ხელოვნებასა (ლიტერატურას, მუსიკას, სახვით ხელოვნებას...) და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (ისტორიასა და გეოგრაფიას). ის ასევე მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამებში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ფილოსოფიის სპეციალური კურსი, რომელიც ფილოსოფიურ ტექსტებზე (მაგალითად, პლატონის დიალოგებზე) დაყრდნობით, ფორმალური ლოგიკის სტრუქტურას გააცნობს მოსწავლეებს. ეს ძალიან სასარგებლოა, ვინაიდან ახალგაზრდები ისწავლიან, როგორ მოარგონ ფორმალური ლოგიკის



**ჰუმანიტარული საზნაულის
შინაინსა და სწავლების
მეთოდოლოგია უნდა
განუვითაროს მოსწავლეს
დამოუკიდებელი აზროვნების,
არაშეშლილობის მსჯელობისა
და არა ავტორიტეტულობისადმი
მორჩილებისა და მათზე
დაყრდნობის უნარი. ის
თვლის, რომ ეს ქალიან
მნიშვნელოვანია, ვინაიდან
ადამიანები ბუნებით
მიღწეადნი არიან, ინჟინრონ
ავტორიტეტული აზრი და
დამოწმობენ კოლექტივის
ზანოდას.**





**ჰუმანიტარული მანუალის
სწავლება აუხილებელია
მსოფლიო მოქალაქის
აღზრდისათვის, ვინაიდან
მხოლოდ ჭაუჭების სიმღერა მათი
გაფასების უნარს გაჩვენებს და
იმის გაგების გაჩვენებს, რომელიც
იქნება ჭაუჭებისაგან
ნაწილი, უსაზღვრო და
უსოფლიოებისგან ღირსეულ
მანუალურად.**



სტრუქტურული მატრიცები კონკრეტულ ტექსტებს – საგამეტო სტატიებიდან მოყოლებული, პოლიტიკოსთა საჯარო სიტყვების ჩათვლით.

ავტორის აზრით, ჰუმანიტარული საგნების შინაარსმა და სწავლების მე-
თოდებამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების,
არგუმენტირებული მსჯელობისა და არა ავტორიტეტებისადმი მორჩილებისა
და მათზე დაყრდნობის უნარები. ის თვლის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია,
ვინაიდან ადამიანები ბუნებით მიდრეკილნი არიან, ირწმუნონ ავტორიტეტული
აზრი და დაემორჩილონ კოლექტივის ბეწოლას. სიტუაციაში, როცა არგუმენტი
მთავარი არ არის, მსმენელი ადვილად იხრება ცნობილი ან დამსახურებული
რეპუტაციის მქონე მოსაუბრის მხარეს. სოკრატესეული დებატები კი, რისი
კულტივირებაც უნდა მოხდეს სკოლაში, არაავტორიტეტულია. არც კოლექტივის
მხრიდან შეფასებას აქვს აზრი. დემოკრატიას სჭირდება ადამიანი, რომელიც
ენდობა არგუმენტს და არა ბრბოს. ადამიანები, რომლებიც არგუმენტის ძალას
არ ცნობენ, იშვიათად გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, ვინა-
იდან თვლიან, რომ პოლიტიკური კამათი შეჯიბრებითაა, სადაც თითოეულმა
მონაწილემ ქულები უნდა „ჩაიწეროს“. ასეთი ადამიანები მეორე მხარეს
„მტრად“ აღიქვამენ და კამათში მათ დამარცხებასა და დამცირებას ცდილობენ.
მათ არასოდეს მოუვით აზრად კომპრომისისა და საერთო ენის ძიება. სწორედ
ამიტომ არის მნიშვნელოვანი კრიტიკული აზროვნების უნარი, რომელიც, მართა
ნუსხაუმის აზრით, საკლასო ოთახში სხვადასხვა ფორმით უნდა დაინერგოს:
მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ფაქტების გამოვლენა და ანალიზი, წერონ
სტრუქტურირებული ტექსტები და მოიყვანონ საკუთარი არგუმენტები, ასევე
უნდა გაეცნონ სხვათა ტექსტებში მოცემულ არგუმენტებსაც.

ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებამ მოსწავლეები თანამედროვე სამყა-
როს პრაქტიკულ პრობლემებზე ადეკვატური რეაქციისათვის უნდა მოამზადოს.
მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ, ვინაიდან დღევანდელობაში არსებუ-
ლი ეკონომიკური, რელიგიური, პოლიტიკური და გარემოსთან დაკავშირებული
პრობლემები პლანეტარული ხასიათისაა, მათი გადაჭრა შეუძლებელია, თუ
ერთმანეთისაგან შორს მყოფი ადამიანები თავიანთ ძალისხმევას არ გააერთი-
ანებენ. ასევე, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეუძლებელია ადეკვატური
წარმოდგენა გქონდეს საკუთარ ქვეყანასა და მის ისტორიაზე, თუ ამ ისტორიისათ-
ვის მსოფლიო კონტექსტში ადგილს ვერ იპოვი. ნებისმიერი კარგი ისტორიული
გამოკვლევა საკუთარ ქვეყანაზე მსოფლიოს ისტორიასთან ბმას მოითხოვს.
თუმცა მსოფლიოს ისტორიის ცოდნა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ისტორიის
გასააზრებლად როდია საჭირო, პრობლემები, რომელთა წინაშეც ვდგავართ
და პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩვენს თავზე ვიღებთ, მთელი მსოფლიოს
ქვეყნებისა და კულტურების კვლევას მოითხოვს.

ავტორის აზრით, ისტორიის კარგი სწავლება გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს ავეხსნათ, როგორ ყალიბდება სხვადასხვა წყაროდან ისტორიოგრაფია, ვასწავლოთ რეალური მოვლენების შეფასება, ერთი ისტორიული ნარატივის მეორესთან შედარება. სასწავლო პროგრამების შინაარსზე თუ ვიმჯდებით, მსოფლიო მოქალაქეთა აღზრდა გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდებმა უნდა შეისწავლონ მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები (დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას) და მიიღონ მდიდარი, სტერეოტიპებისაგან თავისუფალი წარმოდგენა ძირითად მსოფლიო რელიგიებზე. ამავე დროს მოსწავლეებმა სპეციალიზაცია უნდა გაიარონ, ანუ უფრო ღრმად შეისწავლონ, როგორც მინიმუმ, ერთი, ადრე მათთვის უცნობი, ქვეყანა, ტრადიცია ან თემა. ასე შეიძენენ ისინი უნარებს, რომლებიც მომავალში გამოადგებათ.

რა შეიძლება ითქვას საკუთარი ქვეყნის შესწავლაზე? – სვამს კითხვას ავტორი და იქვე პასუხობს: მართალია, მოსწავლეები ჯერ კიდევ იძულებულნი არიან, არაპროპორციული ყურადღება დაუთმონ საკუთარ ქვეყანას და მის ისტორიას, მაგრამ მათ ეს მსოფლიო მოქალაქეთა პოზიციიდან უნდა გააკეთონ, ანუ იმ ადამიანების პოზიციიდან, რომელთათვისაც საკუთარი ქვეყანა რთული, ერთიანი სამყაროს განუყოფელი ნაწილია და ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებით სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან არის გადაჯაჭვული.

ავტორის აზრით, ჰუმანიტარული მეცნიერებების სწავლება აუცილებელია მსოფლიო მოქალაქის აღზრდისათვის, ვინაიდან მხოლოდ ფაქტების ცოდნა მათი შეფასების უნარის გარეშე და იმის გაგების გარეშე, როგორ იქმნება ფაქტებისაგან ნარატივი, უსარგებლოა და უცოდინრობისგან დიდად არ განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ვერ ამოიცნობს იმ უმეცრებასა და ცრურწმენებს, რომლებსაც იყენებენ პოლიტიკური ლიდერები და სიმართლეს სიცრუისაგან ვერ გაარჩევს.

და კიდევ, მოქალაქე ვერ შეძლებს გარემომცველი სამყაროს სრულყოფილად გაგებას მხოლოდ ფაქტებსა და ლოგიკაზე დაყრდნობით. აუცილებელია ის, რასაც სიუჟეტურ წარმოსახვას ვუწოდებთ. სიუჟეტური წარმოსახვა არის უნარი, წარმოიდგინო შენი თავი სხვა ადამიანის ადგილას, გაიზორო მისი ისტორია და გაიგო, რას გრძნობს ის, ვინც ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ავტორი მიიჩნევს, რომ თანაგრძნობის კულტივირება ყოველთვის იყო დემოკრატიული განათლების ღერძი. მართალია, ემპათიის უნარის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის მოვალეობაა, მაგრამ ამ მიმართულებით სკოლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუკი მის სასწავლო პროგრამაში ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს და ხელს უწყობს მოსწავლეებში სამყაროს სხვა ადამიანის თვალთ დანახვის შესაძლებლობის განვითარებას. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ის სამყაროში თავის სურვილებთან და მოთხოვნილებებთან ერთად მართლ არ არის, სხვა ადამიანებსაც აქვთ სურვილები და მოთხოვნილებები.

ავტორის აზრით, საბავშვო ლექსები და მოთხრობები ის ძირითადი ფორმაა, რომელთა საშუალებითაც ხდება ბავშვის მომზადება ადამიანური ურთიერთობებისთვის. ხელოვნება აძლევს მოზარდს საშუალებას, გაუგოს სხვებს და შეიმეცნოს საკუთარი თავი. ლიტერატურასა და ხელოვნებასთან ზიარება ხელს უწყობს თანაგრძნობის უნარის გაღვივებას ლიტერატურული, მუსიკალური თუ ფერწერული ნამუშევრების გაცნობის გზით. ამავე დროს პედაგოგები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რა „თეთრი ლაქები“ არსებობს საზოგადოებაში,

რის შესახებ დუმს საზოგადოება და ამის მიხედვით შეარჩიონ შესასწავლი ტექსტები, რათა ეს მიჩქმალული თემებიც გახდეს მსჯელობისა და ადეკვატური შეფასების საგანი.

მართა ნუსბაუმის აზრით, ხელოვნების სწავლებას სკოლაში ორი ფუნქცია აქვს: თანაგრძნობის უნარის გაღვივება და კულტურის „ბრმა ზონებთან“ მუშაობა. პირველი ფუნქცია მოსწავლისაგან დროსა და სივრცეში დაშორებულმა ხელოვნების ნიმუშებმაც შეიძლება შეასრულონ, მეორე ფუნქციის შესასრულებლად, უმჯობესია, თანამედროვე პრობლემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები შეირჩეს.

ავტორის აზრით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ საბავშვო ზღაპრებს, ვინაიდან ისინი კვებავენ ადამიანთა საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ წარმოდგენას, რომ სამყაროში არსებობენ „კეთილი“ და „ბოროტი“ ძალები – „ჩვენ“ და „ისინი“. ზღაპრები ხომ გვიყვებიან იმაზე, რომ სამყაროში ყველაფერი თავის ადგილას დადგება, თუ საშინელ კუდიან დედაბერს მოვკლავთ. სამყაროს ამგვარი დაყოფა კიზიზის პათოლოგიის ცენტრალური იდეააო, გვეუბნება ავტორი და, შენიშვნის სახით, იქვე დასძენს: იქნებ, ძმები გრიმების ოდესღაც საყვარელი საბავშვო ზღაპარი „ჰენზელი და გრეტელი“, რომელიც ძალიან მოდური გახდა ვაგნერის მოწაფის, ჰუმპერდინკის, ოპერის წყალობით, რომელსაც სურდა, გერმანელი ერის სისუფთავე ედიდებინა, საფუძვლად დაედო ფანტაზიას, რამაც მოგვიანებით (ალბათ, გაუცნობიერებლად) ადამიანების მასობრივი განადგურების ამგვარი ხერხის გამოყენება განაპირობა? ოპერის ფინალში ქერათმიანი გერმანელი ბავშვები კუდიან დედაბერს ღუმელში წვავენ და ბოროტი ძალებისაგან განთავისუფლების სადიდებელ ჰიმნს მღერიან.

ჰუმპერდინკის ოპერაზე ვერაფერს ვიტყვით, შესაძლოა, ის მართლაც გვთავაზობს ზღაპრის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელზეც მართა ნუსბაუმი საუბრობს, მაგრამ ავტორის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ნაცისტური კრემატორიუმების იდეა აქედან იშვა, მხოლოდ ვარაუდია. ცხადია, ეს ვარაუდი ძმები გრიმების ზღაპრის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება. არც იაპონელი რეჟისორ-ანიმატორის ხაიო მიაძაკის ზღაპრული ფილმების „სირთულეა“ ჯადოსნური ზღაპრის „მარტივი“ სამყაროს საპირწონე, როგორც ეს ავტორს მიაჩნია, ორივეს თავისი ადგილი აქვს. მორის სენდაკის წიგნი „იქ, სადაც ურჩხულები ცხოვრობენ“, მართა ნუსბაუმის მსგავსად, ჩვენც მოგვწონს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ სწორედ ჯადოსნური ზღაპრებიდან ისესხა ავტორმა წიგნის ცენტრალური იდეა: ურჩხულები, რომლებსაც მთავარი გმირი ათვინიერებს, მის შინაგან სამყაროს, ფარულ მტრობას და აგრესიას, განასახიერებენ.

მართა ნუსბაუმის აზრი ზღაპრების თაობაზე იმ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გამოძახილია, რომელიც გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო ზღაპრების წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ფსიქოანალიზმა და ბავშვთა ფსიქოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ბავშვის ფანტაზიას აგრესია, სისასტიკე და შფოთვა ახასიათებს. მაგალითად, პატარა ბავშვს, მშობლების მიმართ განუზომელი სიყვარულის მიუხედავად, ხანდახან სძულს ისინი. ამ აღმოჩენის ფონზე რთული არ იყო იმის გაგება, რომ ზღაპრები ბავშვის შინაგან სამყაროს მიემართებიან. მაგრამ სკეპტიკოსებმა განაცხადეს, რომ ზღაპრები აძლიერებენ და, შესაძლებელია, წარმოშობენ კიდევ ამ ტრავმულ განცდებს. პარადოქსი კი ის გახლავთ, რომ ფსიქოანალიტიკოსებმა, რომლებმაც ამცნეს სამყაროს ბავშვის ფსიქიკაში არსებული დესტრუქციული ტენდენციების შესახებ, მათი განეიტრალების და დაძლევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად სწორედ ზღაპრები დაასახილეს. ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი ბრუნო ბეთელჰაიმი, რომელმაც გამოკვლევა მიუძღვნა ჯადოსნური ზღაპრების მნიშვნელობას ბავშვის

ცხოვრებაში, მიიჩნევს, რომ ჯადოსნური ზღაპარი ბავშვს იმ მრავალრიცხოვანი პრობლემების დაძლევაში ეხმარება, რომლებიც თან ახლავს შინაგანი ზრდის პროცესს. ზღაპარი სიმბოლური ფორმით მიანიშნებს ბავშვს, როგორ უნდა დაძლიოს ეს პრობლემები. ბრუნო ბეთელჰაიმი თავის შესანიშნავ წიგნში „ჯადოსნური ზღაპრების აზრისა და მნიშვნელობის შესახებ“ დეტალურად განმარტავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯადოსნურ ზღაპარს ბავშვის ფსიქიკაში არსებული ქაოსის მოწესრიგებისათვის, რას განასახიერებენ ზღაპარში მოქმედი ცხოველები, ურჩხულები, კუდიანი დედაბერი და ბოროტი დედინაცვალი. თუმცა ეს უკვე სხვა პუბლიკაციის თემაა.

გემოთქმულის შესაჯამებლად კი ვიტყვით: მიუხედავად იმისა, რომ მართანუსბაუმის წიგნში მოყვანილი ყველა დებულება ჩვენთვის უკრიტიკოდ მისაღები არ არის, სავსებით ვიზიარებთ მის აზრს თანამედროვე განათლებაში ხელოვნებისა და ლიტერატურის უზარმაზარი მნიშვნელობის შესახებ, რაც ჩვენს სინამდვილეში, ვფიქრობთ, სათანადოდ შეფასებული არ არის და რაც, ჩვენი აზრით, პედაგოგიური და აკადემიური საზოგადოების მუდმივი განსჯის საგანი უნდა იყოს.





ანი კულუაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დაწყებითი საფეხურის
ექსპერტ-კონსულტანტი

ღირებულებითი სწავლების პოლიტიკა სკოლაში

საზღვარგარეთის გამოცდილება

მშვიდობიანი საზოგადოება წარმოდგენილია მხოლოდ დაწერილი კანონებით, მორალური ღირებულებების გარეშე.


ღირებულებები უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი სოციალური სტრუქტურის შექმნისა და შენარჩუნებისათვის. ის, რომ ყველა ინდივიდს აქვს საერთო და პოზიტიური ღირებულებები, პირდაპირ აისახება საზოგადოების განვითარების დონეზე და სოციალური სტრუქტურის ჯანსაღ ფუნქციონირებაზე. როდესაც საზოგადოებას სწორი ფასეულობები გააჩნია, ეს მას საშუალებას აძლევს, მუდმივი ადგილი დაიკავოს ისტორიაში და ღირსეული თაობები აღზარდოს.

ღირებულებები გამოხატავენ ადამიანის შეხედულებებს, მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ინდივიდის ცხოვრების სტილს. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში და გავლენა აქვთ გადაწყვეტილებებზე.


შესაძლებელია ისეთი ღირებულებების გამოყოფა, როგორებიცაა: შრომისმოყვარეობა, ჯანმრთელობა, დახმარება და სხვა. მაგალითად, თუ ჩვენთვის ჯანმრთელობა ღირებულია, ვცდილობთ, ხილითა და ბოსტნეულით ვიკვებოთ; თუ მუშაობის ეფექტიანობა ფასეულია, მაშინ პროფესიულ საქმიანობაში განსაკუთრებით პროდუქტიულები ვართ.

კვლევებმა დაადგინა, რომ არსებობს ყველა საზოგადოებისა და კულტურისათვის მისაღები ე.წ. უნივერსალური ღირებულებები (Colby & Kohlberg, 1987). რაც მთავარია, ინსტრუმენტული და პრაგმატული ღირებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალურ ფასეულობებს.

განათლების როლი ღირებულებების განვითარებაში



ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლება



განათლება არსებითი ღირებულებებია და იმ სამყაროს ხედვას ასახავს, რომელიც გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა მემკვიდრეობით მიიღონ. მომდევნო თაობებისთვის ფასეულობების სწორად გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ განათლების გზით, რადგან განათლების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსალური ღირებულებების ინდივიდებისთვის გაცნობაში, რათა შესაძლებელი გახდეს იდეალური საზოგადოების შექმნა.

სამყარო, რომელსაც დღეს ჩვენს სასკოლო გარემოში ვქმნით, ხვალ აუცილებლად დიდ გავლენას მოახდენს ჩვენს საზოგადოებაზე. მაგალითად, მარია მონტესორისა და შტაინერის განათლების სისტემებმა დიდი ხანია იციან ინდივიდის განვითარების ჰოლისტური მიდგომის სარგებელი, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მიჰყვნენ სწავლების უფრო ბუნებრივ რიტმს.

სკოლის შიგნით, ჰოლისტური განათლება აღქმულია, როგორც ინდივიდის სრული მხარდაჭერი. ის ავითარებს პიროვნებას ყოველმხრივ, ეს იქნება გონებრივი, ემოციური, ფიზიკური თუ სულიერი ასპექტები. ეს კი გულისხმობს:

- **შემეცნებითი სფეროს** – სააზროვნო უნარების განვითარება და გამოყენება;
- **ემოციური წიგნიერების** – ჩვენი გრძნობების აღიარება/გაცნობას;
- **ფიზიკური ცნობიერების** – საკუთარი თავის, სხვებისა და გარემოს გაცნობას;
- **სულიერი ცნობიერების** – „მე“ და ამ „მეს“ აღიარებას.

რაც შეეხება ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლების მიზნებს მსოფლიოში – როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, ესენია:

- ვასწავლოთ მოსწავლეებს ფიქრი, რათა დაფიქრდნენ სხვადასხვა ფასეულობაზე და მათი გამოხატვის პრაქტიკულ შედეგებზე;
- გავუღრმაოთ გაგების, მოტივაციის, პასუხისმგებლობის, პირადი და სოციალური არჩევანის უნარები;
- მთავაგონოთ, აირჩიონ პირადი, მორალური და სულიერი ფასეულობები;



**ღირაბუღაბი გამოხატავენ
აღმონის შეხედულებას,
მოწადენ და ეთიკურ
სტანდარტებს, რომლებიც
საუბრად უნდა იწოდონ
სხოვანის სტილს. ხშირ
შემთხვევაში, სწორედ ისინი
განსაზღვრებენ ქვეყნის
სხვადასხვა სიტუაციაში
და გავლენას ახდენენ
გადამყვანიღებებზე.**



- წავახალისოთ, რათა თავდაჯერებულობითა და მიზანდასახულობით შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამ მიზნების განვითარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც აშკარა, ასევე იმპლიციტური ღირებულებების განათლება. აშკარა ღირებულებების განათლება ეხება სკოლის ოფიციალურ სასწავლო კურიკულუმს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში ღირებულებები; როგორი უნდა იყოს აღზრდის პრაქტიკა; ხოლო იმპლიციტური ღირებულებების განათლება ასოცირდება ფარულ სასწავლო კურიკულუმთან, რომელიც მიმართულია საკლასო პრაქტიკისკენ.

განსხვავებული მიდგომა ღირაბუღებით განათლების მიზნად

ცნობილია ღირებულებითი განათლების სამი მიდგომა:

1. ტრადიციული – ის ხაზს უსვამს და აქცენტირებულია პირდაპირ სწავლების, შეგონების, ჯილდოებისა და სასჯელის გამოყენებით და მისი მიზანია დაანახვოს მოსწავლეებს საზოგადოების დომინანტურ ღირებულებებთან ლეგიტიმური წესების შესაბამისობა. მაგალითად: პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, მორჩილება, პატრიოტობა და პასუხისმგებლობა.
2. ამის საპირისპირო – პროგრესული, ანუ კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს მორალურ და პიროვნულ ერთგულებას, სამართლიანობის პრინციპების განვითარებას. ამის მიზანია მოსწავლეებში მორალური ავტონომიის, რაციონალური აზროვნების, მორალური მსჯელობის უნარების, დემოკრატიული ღირებულებებისა და კომპეტენციების ხელშეწყობა.
3. მესამე – კრიტიკული მიდგომა ამტკიცებს, რომ სკოლაში მორალურმა გავლენამ, განსაკუთრებით, სასკოლო დისციპლინის პრაქტიკასა და ფარულ სასწავლო კურიკულუმში ჩადებულმა მრავალპერსპექტიულმა სწავლებამ შეიძლება გამოავლინოს სოციალური ღირებულებების დეკონსტრუქციული ორიენტაცია.

2018-2019 წლებში შვედეთის ლინკპონგისა და თურქეთის სინანის უნივერსიტეტების ინიციატივით ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ შვედი და თურქი მოსწავლეები. კვლევის მიზანი იყო, დაედგინა თითოეული მიდგომის ეფექტიანობა. ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ შვედეთის სკოლებში აქტიურად დანერგილია პროგრესული მიდგომა, ხოლო თურქეთის სკოლებში პრიორიტეტული მიდგომა ღირებულებებით სწავლებაში კრიტიკული მიდგომაა, თუმცა ხშირად ეს ღირებულებები სასკოლო და საკლასო კურიკულუმში ინტეგრირებული არ არის.

ლინგუაჟაჟით სწავლის დანერგვა

ღირებულებები არ უნდა ისწავლებოდეს როგორც ცალკე საგანი, არამედ – ინტეგრირებული უნდა იყოს ყველა საგანში, განსაკუთრებით კი – ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, რადგან ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები მეტია, ვიდრე უბრალოდ ენის სწავლება. მასწავლებლების ამოცანაა, დაეხმარონ ბავშვებს, აღიზარდონ პასუხისმგებელ მოქალაქეებად, რომლებიც იზრუნებენ მათ გარშემო არსებულ სამყაროზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია, დაწყებითი კლასებიდანვე ისწავლონ ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: ტოლერანტობა, თანამოქალაქეების პატივისცემა, თანაგრძნობა. მართონ საკუთარი აზრები და ემოციები. შეძლონ, მიიღონ გადაწყვეტილებები სოციალური ნორმებისა და პიროვნული მთლიანობის საფუძველზე.

ვინაიდან ღირებულებები აბსტრაქტულია, შეიძლება რთული გასაგები იყოს მოსწავლეებისათვის. ამიტომ სასურველია, მათ მივაწოდოთ პრაქტიკული მაგალითები, რომლებითაც ღირებულებების დემონსტრირება ხდება. ეს იქნება რეალური ადამიანებისა და სიტუაციების თუ გამოგონილი პერსონაჟების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია დრამის ტექნიკის გამოყენება, რომელიც ბუნებრივად ჯდება ღირებულებების სწავლების კონტექსტში. დრამის ტექნიკის გამოყენებასთან, ანუ გარე სამყაროს კლასში შემოყვანასთან დაკავშირებით, გამოყოფილია ნ ყველაზე მთავარი აქტივობა, რომლებიც ხელს უწყობს თანაგრძნობის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობითი ღირებულებების განვითარებასა და გაღვივებას მოსწავლეებში. ესენია:

- „როლური თამაშები“;
- „დრამატული თამაშები“;
- „მართვადი იმპროვიზაციები“;
- „სამსახიობო პიესის სცენარები“ (მათივე დაწერილი ჩანახატებისა და სცენების მიხედვით);
- „იმპროვიზებული დრამა.“

დრამებით სწავლება ასევე ეხმარება მოსწავლეს, დაამყაროს ჯანსაღი და ღია ურთიერთობა კლასელებთან, რაც მომავალში კლასის ერთიანობას განაპირობებს. ზოგიერთი პოპულარული და მარტივი მოთხრობა შესაძლებელია გადაკეთდეს მინიდრამის სცენარად, იქცეს ფარული სასწავლო კურიკულუმის კომპონენტად და მოსწავლეებს მრავალფეროვანი ღირებულებები განუვითაროს.

ლინგუაჟაჟით სწავლის საერთაშორისო გამოყენება

ღირებულებებით განათლების პროგრამა ლონდონის ერთ-ერთ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს. პროგრამა მიზნად ისახავს სკოლის ყველა მოსწავლის პიროვნულ, სოციალურ და მორალურ განვითარებას.

მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ჩართულნი არიან ღირებულებების პოპულარიზაციაში. პროგრამაში შერჩეულია ისეთი ფასეულობები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში.



**ღირებულებები ან უნდა
ინსპირაციას მოგონს
სადკო საგანი, ანაგოდ –
ინტეგრირებული უნდა იყოს
ყველა საგანში, განსაკუთრებით
კი – ქართული ენისა და
ლიტერატურის გაკვეთილებში,
ჩაგვან ქართული ენისა და
ლიტერატურის გაკვეთილებში
მეშია, ვიდრე უზარალოდ ენის
სწავლება.**



პროგრამა მიზნად ისახავს, ასწავლოს მოსწავლეებს ღირებულებების მნიშვნელობა და წახალისოს, იცხოვრონ ამ ფასეულობებით.

პროგრამა შედგება 11 ღირებულებისგან და სწავლების 2-წლიან ციკლს მოიცავს. ყოველთვიურად თითოეულ კლასში უნდა დაინერგოს ახალი ღირებულება, ყოველი სასკოლო ასამბლეა კი მიძღვნილი იქნება იმ თვეში გააქტიურებული ღირებულებისადმი.

თვე	პირვალი წელი	მეორე წელი
სექტემბერი	პატიოსნება	პასუხისმგებლობა
ოქტომბერი	სიმართლე	თანასწორობა
ნოემბერი	გამძლეობა	მეგობრობა
დეკემბერი	პოზიტიურობა	თანაგრძნობა
იანვარი	იუმორი	ნდობა
თებერვალი	პატივისცემა	ტოლერანტობა
მარტი	დაფასება	სამართლიანობა
აპრილი	საკუთარი თავის რწმენა	კეთილშობილება
მაისი	გამბედაობა	დამოუკიდებლობა
ივნისი	თანამშრომლობა	სიკეთე
ივლისი	ჭუმანურობა	სოლიდარობა

ყველა ეს ღირებულება საფუძველია, რათა ბავშვი განვითარდეს სოციალურად, ინტელექტუალურად, ემოციურად, სულიერად და მორალურად. ეს ღირებულებები ინტეგრირებულია როგორც გაკვეთილებში, ასევე მათ ეთმობა სასკოლო და საკლასო შეკრებები.

აღნიშნული მიდგომებისა და აქტივობების გამოყენება ღირებულებებით სწავლებისას ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც პიროვნული თვისებების განვითარებას, ასევე აკადემიურ წარმატებას. ეს კი მნიშვნელოვანია ძირითადი ღირებულებების მნიშვნელობის გაღრმავებისა და საზოგადოებაში დაფუძნებისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. Arumugam. Value Based Education. 2014.
2. Jaya Krishnaswamy. Value Education. 2017.
3. Ray Baxter. The Values Education Resource. 2011.
4. Diane G. Tillman. Living Values Education. 2019

ბარათაშვილის პოეზიის ანსოთეზები



თამაზ ვაშაკიძე

ფილოლოგიის დოქტორი

ბარათაშვილის პოეტიკა, მისი გამომხატველობითი საშუალებების მთლიანობა, სტილი, რასაკვირველია, განხილული უნდა იქნეს მისსავე მსოფლალქმასთან, მსოფლხედვასთან კავშირში, როგორც ამ მსოფლ-ხედვით დეტერმინირებული მოვლენა და როგორც ამ მსოფლხედვის გაცხადება.

თავის მხრივ, ბარათაშვილის პოეტური მსოფლხედვა ზოგადრომანტიკული მსოფლალქმის ტიპური – თუმცა მეტად თავისებური – გამოვლინებაა.

რომანტიკული პოეზია, როგორც გერმანელი რომანტიკოსები ფიქრობდნენ, „უნივერსალურობისკენ“, სამყაროს განუზომელი მრავალგვაროვნების და სირთულის ათვისებისა და გამოხატვისკენ მიისწრაფის. რომანტიკოსები გარემომცველ თუ შიდა, სულიერ სინამდვილეს აღიქვამენ, როგორც წინააღმდეგობების – ხშირად შეურიგებელის – დისონანსურ ერთობლიობას, სხვადასხვა, უკიდურესად მკვეთრი და სრული სა-ხით გამოძვლავებული საწყისის დაძაბულ დაპირისპირებას, შეჯახებას, ხოლო ჰარმონიული არსებობა მათ სადღაც, ამგვარი კონფლიქტებისგან გამიჯნულ სივრცეში, ეგულებათ. რომანტიზმის ძირეულ საფუძველსაც სწორედ დაპირისპირება, წინააღმდეგობა შეადგენს – ეს არის წინააღმდეგობა რეალობას და იდეალს შორის. რომანტიზმში აღბეჭდილი ყველა სხვა წინააღმდეგობა მისგან არის წარმოშობილი. ასეთი წინააღმდეგობებია დაპირისპირება სულს და სხეულს, ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს, სასრულ-შეზღუდულს და უსასრულო-აბსოლუტურს შორის და ა.შ. რომანტიზმის სუბსტანციური თავისებურება – იდეალის დარეალობის დაშორების დრამატული ხედვა – განსაზღვრავს იმას, რომ სამყაროს რომანტიკული მხატვრული აღქმა მიდრეკილია ანტი-თეატურობისკენ. ანტითეზებით არის გაჯერებული, მაგალითად, ბლეიკის, ჰიუგოს, ლერმონტოვის შემოქმედება.

ბარათაშვილის პოეზიას ერთიანად, ტოტალურად მსჭვალავს იდეალის და რეალობის კოლიზია და მისგან აღმოცენებული შეპირისპირებები – ანტითეზები, კონტრასტები, ოპოზიციები, რომლებიც ვლინდება მხატვრული სახეობრიობის, მხატვრული ფორმის სხვადასხვა დონეზე, მხატვრული სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტში.

იმდენად ნიშანდობლივი და არსებითია ბარათაშვილის პოეზიის სისავსე შეპირისპირებებით, რომ მისი პოეტური ამროვნების სტილს ანტითეატური, პოლარიზებული შეიძლება ვუწოდოთ.

ბუნებრივია, ამგვარი დახასიათების სისწორე ბარათაშვილის ნაწარმოებების ანალიზმა უნდა დაადას-ტუროს.

დავიწყოთ ლექსით „ფიქრნი მტკვრის პირას“, რომელიც ბარათაშვილის პოეზიის ანტითეატური, პოლა-რიზებული ბუნების ყველაზე ექვემოტანელ, აშკარა ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს.

აქ სრულიად გამჭვირვალეა და კრიტიკის მიერ მრავალჯერ აღნიშნულია, რომ ამრიგ ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების შესახებ შეუთანხმებელია ლექსის დასკვნით ნაწილში გამოკვეთილ პოზიციას –

თან – ადამიანმა, ყველაფრის მიუხედავად, არ შეიძლება არ იზრუნოს მიწიერ ცხოვრებაზე.

იმას, რაც ამ თემაზე კრიტიკაში თქმულა, აუცილებელია დაემატოს ნაწარმოების ძირითადი ანტითემის მიჩნევა და განხილვა ანტინომიად, – ანტითემის უკიდურეს სახეობად – ანუ ისეთ მსჯელობად, რომლის შემადგენელი ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველი აზრები, როგორც ანტინომიისთვის არის დამახასიათებელი, თანაბრად სწორი ჩანს, ერთნაირად დამარწმუნებელია. რომელიმე მათგანის უპირატესობა მოცემული კონტექსტის ფარგლებში ვერ გაირკვევა, ეს სხვა განზომილებაში უნდა გაირკვეს. ასეთი „სხვა განზომილება“ ამ შემთხვევაში „მერანია“, რომელშიც მიწიერ ცხოვრებაზე ზრუნვა მოვლენილია როგორც მსხვერპლის გაღება ამქვეყნიური ამაოების დაძლევისთვის და ამქვეყნად თავისუფლების დამკვიდრებისთვის...

ძირითადი ანტითემის გარდა „ფიქრში“ კიდევ არის არა ასე იოლად შესამჩნევი ანტითემები. ანტითეტურია ცალკეულის სახეები, დეტალები. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...“ მტკვარი თითქოს მეტყველია, რაღაცას ამბობს, მაგრამ არაფერს გვეუბნება, არ გვიმჟღავნებს, რაც ახსოვს...

ანტითეტურია, წინააღმდეგობრივია არსებითი ადამიანური თვისება – სურვილთა ასრულების მიუხედავად, დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი მოუსვენრობა: „ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

მკვეთრად წინააღმდეგობრივი სახით იხატება მეფე-დამპყრობელთა ყოფიერება და ბუნება – რაკი ისინი ადამიანებს შორის ყველაზე ძალმოსილები არიან, ამიტომ ყოველივე სასურველს ფლობენ და ამან მათი სურვილები, წესით, უნდა დააოკოს, მაგრამ მაინც მეტის და მეტის მოხვეჭას ცდილობენ; წინააღმდეგობაა მათი ამ ცდის დაძაბულ ენერგიულობას და მათი მონაპოვრის უფასურობას შორისაც:

„თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არლა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...“

ასევე პოლარულად ურთერთსაპირისპიროა კეთილშობილ მონარქთა მისწრაფება, საკუთარ სახელმწიფოზე და ხალხზე მზრუნველობით თავიანთი უკვდავყონ სახელი და ამ მისწრაფების შედეგი – ოდესმე, სამყაროს დაღუპვისას, ეს სახელიც უკვალოდ გაქრება.



ბანათაშვილის პოეზიას
ენითანად, სოფლად
მსჯედავს იდეალს და
ჩაღოგის კოდიფიკა და
მისგან აღმოცენებული

შეპირისპირება –
ანტითეზები, კონტრასტები,
ოპოზიციები, ნოქლიან
ვინაობა მხატვრული
სახეობრიობის, მხატვრული
ფორმის სხვადასხვა ფორმა,
მხატვრული სტრუქტურის
სხვადასხვა ელემენტები.



ამ ანტითემებს თავს უყრის და ამოგადებს უფრო დიდი ანტითემა – ორგვარი ტიპის მეფეების, ერთმანეთის სრული ანტიპოდებისა (არსებითად კი – სიკეთის და ბოროტებისა). მათ მხოლოდ ის აერთიანებს, რომ საბოლოოდ ერთთაც და მეორეთაც არყოფნა ნთქავს.

ბარათაშვილის მხატვრული ამროვნების ძირითადი პრინციპი – პოლარიზება, ანტითეტურობა ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მჟღავნდება ლექსში „რად ჰყვდრი კაცსა“. იგი მთლიანად და გამჭვირვალედ არის აგებული ანტითემებზე.

საერთოდ, ბარათაშვილის პოეზიის სიუხვე ანტითემებით ორგანულად უკავშირდება მის ინტელექტუალურ ანალიზს, ანალიტიკურ ბუნებას – ანტითემები ბარათაშვილისთვის სამყაროს ინტელექტუალური პოეტური ტერმინის და შემეცნების ინსტრუმენტებია. ეს განსაკუთრებით ეხება რამდენიმე ნაწარმოებს, მათ შორის ლექსს „რად ჰყვდრი კაცსა“, რომელიც ერთიანად და გამოკვეთილად არის დაფუძნებული ინტელექტუალურ ტერმინებზე, ემოციურ-ხატოვან განსჯაზე და რომელშიც ურთიერთსაპირისპირო ფენომენები პოეტური ფორმულების მეშვეობით ერთმანეთისგან ნათლად გამიჯნული და განმარტებულია. ეს „არაპოეტური“ სიტყვა აქ სულაც არ არის უადგილო, შეუფერებელი:

„სილამაზა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დატკნების,
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჯვალეში,
ცვალებადა, წარმავალი და უმტკიცები!
მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“

ორნაირი სილამაზის და, შესაბამისად, ორნაირი სიყვარულის დაპირისპირება ირეკლება ურთიერთსაპირისპირო, ანტითეტურ სიტყვებსა და გამოთქმებში, სახეებში: ერთი მხრივ, „პირუმტკიცობა“, „ტრფილისა ცვალებადა გრძნობა“, „ხორციელება“, „ყვავილი“, რომელიც „მსწრაფლად დატკნების“, „ცვალებადა, წარმავალი და უმტკიცები“ გული და, მეორე მხრივ, „საუკუნო მადლი ტრფობისა“, „ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებული“ სიყვარული, „უკვდავება“, „მშვენიერი სული“, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“, „ჭეშმარიტება“...

მკვეთრი შეპირისპირება, ანტითემა და კონტრასტია ის მთავარი მხატვრული პრინციპი, რომელსაც ემყარება ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო“. აქ ერთმანეთთან არის შეპირისპირებული „უკვდავი გრძნობები“ და „მოკვდავი ენა“ – ჩვეულებრივი ადამიანური, თუნდაც პოეტური მეტყველება – და ამ წინააღმდეგობაზე ამაღლების ცდაა განხორციელებული. ამის გარდა, „უკვდავ გრძნობას“, არაჩვეულებრივ სიყვარულს უპირისპირდება სიყვარული „სხვათაებრ“, ანუ ჩვეულებრივი სიყვარული, ჩვეულებრივ, „მოკვდავ“ ქალს – არაჩვეულებრივი, „ცისიერი“ ქალი, დაჯილდოებული „უხრწელი“ მშვენიერებით. პოლარიზებულია ცალკეული მხატვრული სახეებიც: ცხოველმყოფელ მხესთან შეპირისპირებულია სუსტად მბჟუტავი, თითქმის ჩამქრალი მზე („მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებ“); მაცოცხლებელი მზის ამოსვლის მომლოდინე ვარდის პოლარული წყვილის ცალია ვარდი, რომელიც განთიადისას ველარ

იშლება, ხოლო სიცოცხლის გამღვივებელ ცვარს ენაცვლება ძალაგამოცლილი ცვარი („და ცისა ცვარმან მდელი არღარა გააბიბინოს“).

ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი ანტითემები არ შეიძლება აღვიქვათ როგორც ტროპები თუსტილისტური ფიგურები, როგორც, ვთქვათ, შედარებები, რომლებიც უფრო მკაფიოდ დაგვანახებენ ამა თუ იმ მოვლენას, ავსებენ და ამდიდრებენ მის გამოსახულებას. ბარათაშვილის მიერ შექმნილი პოეტური შეპირისპირებები თვით სამყაროში ობიექტურად არსებულ ფუნდამენტურ წინააღმდეგობათა ანარეკლია. ის ფენომენები, რომლებიც ბარათაშვილის ლექსებში ურთიერთშეპირისპირებულია, პოეტს ამ შეპირისპირების გარეშე ვერ წარმოუდგენია. ისინი აუცილებლობის ძალით მოითხოვენ ერთმანეთს, რადგან მხოლოდ ურთიერთ-მიმართებაში გამოკვეთენ თავიანთ რაობას. მათ შორის კანონზომიერი სიღრმისეული კავშირია და არა სუბიექტურ-პირობითი, ასოციაციური კავშირი. ურთიერთშეპირისპირებული მოვლენები რაღაც მთლიანი რეალობის ბუნებრივი და მოუკვეთელი ნაწილებია, ანდა მთლიანი პროცესის სხვადასხვა, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტადიებია.

„ვპოვე ტაძარი“ სიყვარულის და უსიყვარულობის რელიეფური ანტითემის ხორცშესხმაა. შეპირისპირებული ფენომენები თანაზომიერად, პროპორციულად არის წარმოდგენილი გვერდიგვერდ, მათი ანტითეტურობა სრულია, ზედმიწევნით ზუსტი და თანმიმდევრულია. ანტითეტურია მთავარი სახეები – ტაძარი და უდაბნო. თუ ტაძარი გამოხატავს მიგნებულ სულიერ ნავსაყუდელს, უდაბნო მიუსაფრობის, შინაგანი უბინაობის გამოხატველია; ტაძარი სულთა შეკავშირებაა, ამაღლებული ურთიერთობაა, უდაბნო – გამოუვალი მართობა; ტაძარი დახვეწილი სულიერი ტკობაა, „ნეტარებაა“, უდაბნო – სევდა, მწუხარება; ტაძარი ჰარმონიული კოსმიური მუსიკით არის სავსე („ანგელოსთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!“), უდაბნოში სიცარიელის საშინელი დუმილია („უდაბნო ჩემდა მდუმარებს“); ტაძარს „წმიდა ლამპრის“ შუქი ანათებს, უდაბნოში „წყვდიადი დაისადგურებს“.

ამ ლექსში შექმნილი ორი მაქსიმალურად კონტრასტული სურათი ერთმანეთს უკიდურესი დრამატიზმით ეწინააღმდეგება და, ამავე დროს, იზიდავს კიდეც, როგორც ორი პოლუსი – აბსოლუტური ბედნიერება და აბსოლუტური უბედურება, არსებითად – სამოთხე და ჯოჯოხეთი. ეს პოლარული სურათები განასახიერებენ შინაგანი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს, რომლებსაც უფსკრული თიშავთ. რომანტიკული თვალთახედვით, ადამიანის სულიერი სამყარო თავისი არსით დისჰარმონიულია და „ვპოვე ტაძარში“ ანტითეტური სახეებით სულის ჰარმონიის რღვევის ტრაგიკული ისტორიაა გადმოცემული.

ასევე სულის ისტორია, სულიერი კატასტროფა გამოხატული „სული ობოლში“. თუ ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ ორნაირი სილამაზე და სიყვარულია შეპირისპირებული, აქ ორგვარი „ობლობა“ უპირისპირდება ერთმანეთს. ეს ორნაირი „ობლობა“ ცხადად ურთიერთგანსხვავებულია როგორც ყოველდღიურად ხილული, ჩვეულებრივი და ყველასთვის ნაცნობი, არც ისე ძნელად გადასატანი მოვლენა, ერთი მხრივ, და ღრმა, ფარული, ტრაგიზმით სავსე, არაჩვეულებრივი ფენომენი, მეორე მხრივ.

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტომობას!
საბრალთა მხოლოდ სულით ობოლი,
ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული
 ისევ ჩქარად პოვებს სანაცვლოს გული,
 მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
 მარად ითმენს უნუგეშობას კრული!“.

ანტიტეზა აქ ემსახურება მარტოსული ადამიანის ფიგურის რომანტიზებას, მის გამორჩევას ადამიანთა მასისგან, ტრივიალური ყოფა-ცხოვრებიდან, სტანდარტული ადამიანური ხვედრის ერთფეროვანი ფონიდან. „სული ობოლი“ რჩეული სულია, განსაკუთრებულად ფაქიზი, მგრძნობიარე ნატურაა. ეს არის სულიერი არისტოკრატიზმის რომანტიკული კულტის მკაფიო და ნიშანდობლივი გამოხატულება.

ლირიკული გმირის სულის სიღრმეში მიმდინარე დრამატული პროცესი მძაფრი ანტიტეტური სახეებით აღიბეჭდება „ხმა იდუმალში“. მტანჯველი იდუმალი ხმის აღმოცენებას წინ უსწრებს უშფოთველი, ტანჯვით დაუმძიმებელი ცხოვრების ხატი: „დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის სწორთა, განზრდილთა, მეგობართ შორის“.

მომდევნო ანტიტეზას შეადგენს პრინციპული წინააღმდეგობა ორ გარემოებას შორის: იდუმალი ხმა ლირიკული გმირისგან დაჟინებით, გარდაუვალად მოითხოვს საკუთარი მოწოდების პოვნას, მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ვერაფრით ხერხდება („მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!“).

კიდევ ერთი ანტიტეზა – ეჭვს იმის თაობაზე, რომ იდუმალი ხმა შეიძლება სინდისი იყოს, უპირისპირდება აზრი, რომ ლირიკულ გმირს ბოროტება არ ჩაუდენია და ამიტომ არ შეიძლება სინდისი ქენჯნიდეს.

ყველაზე დრამატულია დაპირისპირება იდუმალი ხმის რაობის განსაზღვრის ორ შესაძლებლობას შორის – გაურკვეველია, იდუმალი ხმა ღვთიურია თუ დემონური („ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი ან თუ ეშმაკი მაცთური ჩემი?“).

ლირიკული გმირის სულიერი სამყაროს უხილავი შრეების დახლეჩილობა თვალნათლივ და ხელშესახებად წარმოისახება ანტიტეზების მეშვეობით.

ბარათაშვილის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა სულიერ კოლიზიაზე აგებული ლექსი „სულო ბოროტო“ თავისი მხატვრული სტრუქტურით მკაფიოდ და დაძაბულად პოლარიზებულია. ეს პოლარიზება თავს იჩენს როგორც წარსულის და აწმყოს, როგორც ადრინდელ და ახლანდელ სულიერ მდგომარეობათა რაობის უმწვავესი ურთიერთწინააღმდეგობა. ბოროტი სულის მიერ ცდუნებამდე ლირიკული გმირის არსებობის ძირეული მახასიათებლებია „სულის მშვიდობა“, „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, „წრფელნი ზრახვანი“, ხოლო ცდუნების შემდეგ გმირის სულიერი ყოფა წინა მდგომარეობის მიმართ აბსოლუტურად კონტრასტულია. მის არსს განსაზღვრავს შფოთვა, ვნებების მოძალება, „ჭკუით ურწმუნობა“, „გულით უნდობა“, „უსაგნობა“ (უმიზნობა).

თვით ბოროტი სულის მოქმედება ცდუნებისას და მოგვიანებით სხვადასხვაგვარად, ანტიტეტურად წარმოდგება („რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?“). მის მიერ მიცემული ალთქმაც რადიკალური ანტიტეზის შემცველია: „ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედს გარდამიქცევდი!“.

ამ ტრაგიკულ ნაწარმოებში წარმოჩენილია სულიერი სამყაროს დისჰარმონიული სურათი, სადაც ყველაფერი ორად გაყოფილია, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებულია. ეს სურათი დასერილია უკიდურესი კონტრასტებით, ანტიტეზებით, ოპოზიციებით.

ბარათაშვილის პოეტურ ნაწარმოებებში ანტითეტურობას, პოლარიზაციას, მხატვრული აზროვნების წარმმართველ პრინციპს, მთავარი კონცეპტუალური ფუნქცია ეკისრება, ანუ იგი ნაწარმოების კონცეფციის შემქმნელი ძირითადი ფაქტორია. შესაბამისად, ამ ნაწარმოებების კონცეფციის ადეკვატური გაგება და გააზრება შეუძლებელია ბარათაშვილის სტილის ანტითეტურობის გაუთვალისწინებლად. ეს განსაკუთრებულად ეხება ისეთი სერიოზული, მნიშვნელოვანი კონცეფციის ხორცხმემსხმელ ნაწარმოებს, როგორიც „მერანია“.

თუ „მერანის“ გამმსჭვალავ ანტითეტებს დავაკვირდებით და გავაანალიზებთ, ამ ლექსის საზრისი, კონცეფცია მისი ტრადიციული გაგებისგან განსხვავებული რაკურსით წარმოიჩნდება.

ყველაზე ნათლად დასანახი „მერანში“ არის თავისუფლების და ბედისწერის ანტითემა, რომელიც სახიერდება პოლარიზებულ სიმბოლოებში – ეს არის, ერთი მხრივ, მერანი და, მეორე მხრივ, „თვალბედითი შავი ყორანი“. ამ ძალების და მათი გამომხატველი სახეების დაპირისპირება აბსოლუტურია. მაგრამ ასევე თვალსაჩინო არ არის მის მიღმა განფენილი უფრო არსებითი ანტითემა – თავისუფლებისკენ სწრაფვა და სიკვდილი, როგორც ბედისწერის კონკრეტიზაცია, ხოლო კიდევ უფრო მეტი კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონეა ორგვარი სიკვდილის ალტერნატივა:

**„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაცრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღალევენ სვავნი მყივარნი!“**

სიკვდილს სამშობლოში, დამარხვას წინაპრების საფლავების ახლოს, ახლობლების მიერ დატირებას უპირისპირდება სიკვდილი უცხო, უკაცრიელ და უდაბურ გარემოში, ბუნების მტრულ, აგრესიულ სტიქიებს შორის. ამგვარ გარემოში სიკვდილი რომანტიკულად მაქსიმალიზებული, აბსოლუტიზებული სიკვდილია, ეს სიკვდილის ტრიუმფია. ჩვეულებრივ, ტრადიციული წეს-ჩვეულებებით რამდენადმე განელეულ, შერბილებულ სიკვდილს ენაცვლება არაჩვეულებრივად სასტიკი სიკვდილი, რომელიც, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, მოასწავებს ადამიანის სრულ გაქრობას სამყაროდან – მის ჰეროიკულ დაღუპვას არავინ ჰყავს მოწმე, თანამგრძნობი და დამფასებელი. უცხოობასა და მარტოობაში სიკვდილის შედეგად ამ ადამიანისაგან ამქვეყნად კვალიც არ რჩება.

მაგრამ ლექსში აღიბეჭდება კიდევ ერთი, გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე ანტითემა – სიკვდილის ტრიუმფს, ადამიანის სრულ ანიჰილაციას უპირისპირდება და აქარწყლებს ლირიკული გმირის შეერთება უსასრულობასთან, მის მიერ უკვდავების მოპოვება მსხვერპლგალების წყალობით, რომელიც მომავალი თავისუფლების დაუსაზღვრელ პერსპექტივას ხსნის, მომავალში ბედისწერით, სიკვდილით აღმოუფხვრელ თავისუფლებას ამკვიდრებს. ამგვარ მომავალთან მსხვერპლგალებით მოპოვებული თანაზიარობით „მერანის“ გმირი არსებითად სიკვდილის, წარმავალობის მიმართ შეუვალი ხდება: იგი სამუდამო წილს დაიდებს ადამიანთა სამყაროში მარად მიმდინარე, უწყვეტად განგრძობად, ალუკვეთელ პროცესში – თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ასე მაღლდება წარმავალობაზე, სიკვდილზე, რომელმაც მანამდე თითქოს

ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეზიაში ანტითეტურად არის გააზრებული და წარმოჩენილი ადამიანის არსებობის ცენტრალური ფენომენები — აქ ორგვარია სილამაზე, სიყვარული, „ობლობა“, ძალაუფლება (მეფობა), სიკვდილი. ანტითეზების მეოხებით ბარათაშვილი ხელშესახებად მიჯნავს ერთმანეთისგან ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს, მდარეს და ამაღლებულს, საყოველთაო-მასობრივს და მხოლოდსულიერი არისტოკრატიისთვის მისაწვდომს. ანტითეზები გამოკვეთენ და მწყობრად განალაგებენ ბარათაშვილის ფასეულობებს და იმას, რაც მისთვის ფასეულობას მოკლებულია ან სულაც ანტიფასეულობაა, მყარი და ცხადი ღირებულებრივი საზომით ახარისხებენ ბარათაშვილის მიერ აღქმულ საგნებს და მოვლენებს.

ბარათაშვილის პოეზიაში ანტითეტურად უპირისპირდება ერთმანეთს სხვადასხვა წარმოებიც. „მერანის“ ანტითეზაა „შემოღამება მთაწმინდაზე“. „მერანის“ უკიდურესი ტრაგიზმის ნაცვლად „შემოღამებაში“ ვხედავთ სამყაროს და ადამიანს შორის მიღწეული უმაღლესი ჰარმონიის სურათს. ამ სურათზე თითქოს არავითარი ანტითეზებისთვის, დრამატული პოლარიზებისთვის ადგილი არ რჩება, მაგრამ ანტითეტურობა ბარათაშვილის მხატვრული ამროვნების იმდენად ფუნდამენტური თვისებაა, რომ იგი აქაც, მისთვის თითქოსდა სრულიად შეუსაბამო კონტექსტშიც მჟღავნდება. ამ ლექსის ჰარმონიული გედაპირის მიღმა ანტითეზათა მიერ წარმოქმნილი ბზარებია შეფარული.

გარეგნულად არამკვეთრი, არათვალშისაცემი ანტითეზა უკვე ლექსის დასაწყისშივეა მონიშნული — ჩვეულებრივი „სალი ამრისთვის“ გაუგებარია, თუ როგორ უნდა იყოს „ვერანა“ გარემო მშვენიერი. მაგრამ ბარათაშვილი სწორედ ასეთ უცნაურ, შინაგან წინააღმდეგობაზე დამყარებულ მშვენიერებას ქმნის:

**„ადგილნი შენნი, დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან, როს მონამვენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!“**

ეს ის მშვენიერებაა, რომელიც „მშვენიერსა სულში მდგომარებს“. იგი გამოარჩევს მთაწმინდის მთლიან ხატს, განსაკუთრებით კი „ლიტურგიულ პეიზაჟს“, რომელიც ლექსშია აღბეჭდილი („ძირს გაშლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სურნელებასა!“).

„შემოღამებაში“ თავს იჩენს უფრო მეტი კონცეპტუალური დატვირთვის მზიდველი სხვა ანტითეზებიც. მათგან ერთი ვლინდება იმით, რომ ლექსში წარმოსახული ჰარმონია, ადამიანის და გარესამყაროს ჰარმონიული შერწყმა, განცდილი სიხარულით და აღტაცებით, ძნელად შესათავსებელია მიღმური სამყაროს მიუწვდომლობის ტკივილთან — ეს ორი მკვეთრად განსხვავებული ემოციურ-გონებრივი მდგომარეობაა. ამგვარი ანტითეზა ლექსში წარმოდგენლ ჰარმონიას შინაგანად უფრო რთულს და მნიშვნელოვანს ხდის, კიდევ უფრო ამდიდრებს, ამ ჰარმონიას, ასე ვთქვათ, სიმტკნარისგან აზღვევს.

პარადოქსულ იერს აძლევს „შემოღამებას“ ფინალური სახე — „დილა მზიანი“, რომელიც „ყოველ ბინდ-სა განანათლებს“. ეს სახე პოლარულად ეწინააღმდეგება ლექსის მთელ შინაარსს და სახეობრივ წყობას, პათოსს, რომელიც მწუხრის უჩვეულო მომხიბვლელობის გამოუმჯღავნებისკენ არის მიმართული.

უნდა ითქვას, რომ ანტითემები „შემოღამების“ ჰარმონიას არ არღვევენ, მაგრამ ისინი საკმაოდ გამოკვეთილია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ნაწარმოების საზრისის ფორმირებაში.

„შემოღამების“ მსგავსად „ჩვილიც“ ჰარმონიის აღბეჭდვაზე ორიენტირებული ლექსია, მაგრამ ჩვილი ბავშვის სამოთხისებური ნეტარებით სავსე არსებობის მიღმა იკვეთება ჩვეულებრივი, მკაცრი ცხოვრების კონტურები. თვით ჩვილის ჰარმონიული არსებობის დახასიათებას ქვეტექსტურად გასდევს მოზრდილთა ყოფისგან მისი პოლარული განსხვავებულობის გააზრება. „მის სოფელი უზრუნველობით შენობს, გარდა დედის ალერსისა არრას გრძნობს, ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს, ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს“. ეს ზრდასრული ადამიანის ცხოვრების ზუსტი ანტითემაა, ცხოვრების, რომლისგანაც განუყოფელია ბრუნვა, რომელშიც დაცულობის გრძნობა, ბედნიერება და სიხარული მუდამ მოსაპოვებელია და არა გარანტირებული, რომელშიც ადამიანის ჩვეულებრივი ხვედრია შფოთვა და არა ყოველივეს „შეუპოვარი“ (უშიშარი) ჭვრეტა. ჩვილისთვის უცნობია თვითცნობიერება, რომელიც მოწიფულ ადამიანს ცხოვრების ტკივილებს აგრძნობინებს („არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას, არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას“) და ამ ნიშნით ეს ნეტარი არსება ანტითეტურად არის შეპირისპირებული საკუთარ მშობლებთან, რომელთაც „თავის სანუკველითა შობით ამუნათებს“ – პასუხისმგებლობით და საზრუნავით ტვირთავს, ვალად ადებს, გაუფრთხილდნენ მას, როგორც ძვირფას, სასიხარულო საჩუქარს.

ბავშვობის და მოწიფული ადამიანის ცხოვრების ანტითემა ქვეტექსტიდან ტექსტში ინაცვლებს და ღია ხდება ლექსის ბოლო ორ სტროფში, სადაც უკვე პირდაპირ არის ლაპარაკი „საწუთროს ვნებაზე“ და „მომღერალ სოფელზე“, რომელიც ჩვილის „თავისუფლებას“ მალე შეიწირავს.

სამოთხისებური ნეტარების და მისი დაკარგვის, სამოთხიდან გამოძევების მოტივი, რომელსაც აქ ვხვდებით, თავს იჩენს და მძაფრი ანტითემების საშუალებით გამოიხატება აგრეთვე „ხმა იდუმალი“, „ვპოვე ტაძარში“, თავისებურად „სულო ბოროტოშიც“...

„ჩემი ლოცვა“ სამოთხის დამკარგველის, სამოთხის მიღმა აღმოჩენილის აღსარებაა, სამოთხისა, რომელიც ადრეულ ბავშვობაშია მისაწვდომი. ეს აღსარება მწვავე ანტითემების შემცველია. ანტითეტურია მიმართება ღმერთის აბსოლუტურ სიყვარულს და მის მიერ „ძე შეცთომილის“ უარყოფის შესაძლებლობას შორის („ნუთუ მამასა არლა ჰქონდეს გულის-ტკივილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?“). ანტითეტურია ადამის ხვედრიც („უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება, გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება“); პოლარიზებულია სხვა სახეები და წარმოდგენები, ცნებები: „ცხოვრების წყარო“, მისი „წმიდა წყლები“ და „საღმობანი გულისა სენთა“; „ვნების ქარნი“, მათ წინაშე უმწეო „ნავი“ და მათგან დამფარავი „სადგური მყუდროებისა“; გულის უხილავი „სიღრმე“, რომელიც ღმერთისთვის მაინც „ცხადია“; ადამიანის შინაგანი თავისუფლება, მისი ფიქრის სპონტანურობა და ამ სპონტანური თავისუფლების შედეგის წინასწარჭვრეტა ღმერთის მიერ („შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე“); ანტითეტურ წყვილს ქმნიან „დუმილი“ და „ლოცვა“.

ხშირია და „მსხვილი პლანით“ აღბეჭდილია ანტითემები ბარათაშვილის სასიყვარულო ლირიკის არა მარტო უკვე განხილულ, არამედ სხვა ნიმუშებშიც. ლექსი „როს ბედნიერ ვარ“ დამყარებულია საკმაოდ მარტივ კონტრასტზე ორ მდგომარეობას შორის – საყვარელ ადამიანთან სიხარულის მომგვრელ სიახლოვეს და მისგან მტანჯველ სიშორეს შორის. მაგრამ ამ ლექსში მთავარია არა ეს მარტივი კონტრასტი, არამედ საყვარელი ქალის რთული, იდუმალი და შეუცნობელი სახე, რომელიც ანტითეტურ თვისებათა დიალექტიკური გამოთლიანებით იქმნება:

„ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველ სულს ამხიარულებს,
ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!“

ლექსში „მიყვარს თვალები“ საყვარელი ქალის მხერა ორგვაროვნად, ურთიერთსაპირისპირო რაკურსებით წარმოისახება — ქალის თვალები ზოგჯერ მომაკვდინებელია თავისი მხერის სიმკაცრით („ზამბახ-ვარდთ ველად განეწონვიან მათი ისრები“), ისინი „უწყალოდ სტანჯავენ უენო მსხვერპლსა“, მაგრამ ამასთანავე ტკივილთა დამაამებლებიც არიან („მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ, მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა“). საყვარელი ქალის თვალების ოქსიმორონულ ხატში ერთიანდება პოლარულად განსხვავებული ფენომენები: „თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენს ძლიერს ბასრობას, თუ არა სტვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?“

„ჩემს ვარსკვლავს“ ემყარება „ვარსკვლავის“ და „ნისლის“, „ღრუბლის“ ანტითეზას, რომელსაც პოეტი ოსტატურად და ელეგანტურად გაათამაშებს, მის ზუსტად გააზრებულ, ეფექტურ ვარიაციებს ქმნის. ემოციების ფაქიზ ვიბრირებას გვაგრძნობინებს „დაბინდული“, „ბნელი“ გულის და საყვარელი ქალის სულიერი სინათლის პოლარიზება.

ასევე ციური მნათობის და „ღრუბლის“ სიმბოლური სახეების ანტითეტური შეკავშირების მეშვეობით არის გამოხატული სიყვარულის გრძნობა, მისი დრამატული ისტორია ლექსში „აღმოხდა მნათი“. ამ ლექსში განსაკუთრებით საინტერესო და ნიშანდობლივია თვით გრძნობების ანტითეტური, პოლარიზებული ბუნება, ანტითეტური ფსიქოლოგიზმი: სიხარული და მწუხარება, უიმედობა და ბედნიერების მოლოდინი ერთმანეთს ხვდებიან და რთულ, წინააღმდეგობრივ მთლიანობად სინთეზირდებიან.

ბარათაშვილს იზიდავს მეტაფორების და სიმბოლოების გაშლა, გავრცობა, დეტალიზებული განფენა. ასეა განფენილი ყვავილის ხატი ლექსში „დამქროლა ქარმან“, რომელშიც სიყვარულის ტრაგიკული მსხვერველაა გამხელილი. ყვავილის მეტაფორულ-სიმბოლური სახის საპირისპირო პოლუსზე წარმოდგება „სასტიკი ქარი“. ყვავილის სახის თანმდევი ანტითეტური წყვილიც — „ციური ცვარი“ და „ცრემლი“ („იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი; დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი“).

სიყვარულის განდიდება და მისი კრიტიკული ხედვაა შეთავსებული ლექსში „ჩემთ მეგობართ“. ეს ნაწარმოები ანტითეტური დეტალების სიუხვით გამოირჩევა. ისინი განლაგდებიან ძირითადი ანტითეზის გასწვრივ — სიჭაბუკე და სიმწიფის ასაკი. სიჭაბუკე სიყვარულის ხანაა — ძლიერი გრძნობების, ვნებების აყოლის და სილალის დრო, ხოლო შემდეგ დგება ხანა, როცა გარდაუვალია „დადუმება გულის ვნებათა“, „კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა“.

შინაგანი ბუნების და გარეგანი იერის, ნამდვილი არსის და მოჩვენებითობის ხელშესახები კონტრასტით წარმოჩნდება ამ ლექსში ქალის სახე...

კიდევ არაერთი ანტითეზის გამოვლენა შეიძლება ბარათაშვილის სხვა ლექსებშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, მის პოეზიაში ანტითეტური აზროვნების ფუნქცია და მნიშვნელობა უამისოდაც ცხადია.

თუმცა არ შეიძლება არ ვახსენოთ პოემა „ბედი ქართლისა“. ის, რომ იგი მთლიანად ანტითეზებზე, კონტრასტებზე, პოლემიკურ დაპირისპირებაზეა დაფუძნებული, იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო მტკიცებას და ილუსტრირებას არ საჭიროებს. იგივე ითქმის ლექსზე „სუმბული და მწირი“, რომელიც თავისი შინაარსითაც „ბედი ქართლისას“ თანხმიერია.



ლევან ბაგდასარი

ფილოლოგიის დოქტორი

სრუ ნერონიდან ნამდვიდ ნერონამდე



ნა ასპარეზი ჩნდება ამ დროს
მწერლის ოსტატობისთვის,
ნა შეიძლება ავტორმა
შეშოშვთაუვაროს ისეთი,
ნასაჲ სხვა წყაროებიდან ვერ
შევიწყოებოდა?



1963 წელს გამოიცა გამოჩენილი გერმანელი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის რომანის „ცრუ ნერონის“ ქართული თარგმანი, შესრულებული დავით წერედიანისა და ჯემალ ქარჩხაძის მიერ. 1988 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა ჯემალ ქარჩხაძის „იუპიტერის სინანული“, მცირე რომანის (ან ვრცელი მოთხრობის) ჟანრის თხზულება ნამდვილ ნერონზე. „ცრუ ნერონიდან“ ნამდვილ ნერონამდე ჯემალ ქარჩხაძემ ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა განვლო და უმნიშვნელოვანეს პროზაიკოსად ჩამოყალიბდა. დიდი ალბათობით, ფოიხტვანგერის რომანის თარგმანზე მუშაობისას დაინტერესდა ის ნერონით – კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პიროვნებით, რომელიც სიკვდილიდან ოცი წლის შემდეგაც თესავდა ზოგში შიშს, ზოგში იმედს ფიზიკურად მისი მსგავსი სხვა პიროვნების – თვითმარქვია ნერონის – ოინების წყალობით.

ლიონ ფოიხტვანგერის „ცრუ ნერონი“ არის რომანი იმის თაობაზე, თუ როგორ კეთდება მითებისა და „ფეიკებისაგან“ რეალური პოლიტიკა.

ხოლო ჯემალ ქარჩხაძის „იუპიტერის სინანული“ იმის შესახებ მოგვითხრობს, რომ: „როგორც არსად არ თავდება სულიერი სრულყოფილებისაკენ მარადმედინი ხაზი და უსაზღვროებისაკენ მიისწრაფვის ზემოთ, ასევე დაუსაზღვრავია სვლა ქვემოთ – უზნეობის უფსკრულებისკენ“ (მაია ჯალიაშვილი).

პოლიტიკური მეტოქეების ჩამოშორება მათი ფიზიკურად განადგურების გზით (თუნდაც ეს საკუთარი დედა ყოფილიყო) და შემდგომ ამ ვერაგობათა ჩამდენის სავალალო აღსასრული (32 წლისამ მსახურის დახმარებით ხანჯლით მოიკლა თავი დიდი გაჭირვებით, ვინაიდან მოწინააღმდეგეთა ხელში ჩავარდნა უარესს უქადდა) – აი მთავარი თემა „იუპიტერის სინანულისა“.

მაგრამ ეს ამბები ხომ კარგად არის ცნობილი ისტორიის ანალებიდან თუ სხვა სახის საცნობარო ლიტერატურიდანაც, ისევე, როგორც ამბოროტებათა ავტორის ფანატიკური სიყვარული ხელოვნების მიმართ, მისი პოეტობა, მუსიკოსობა, მსახიობობა, რასაც სათანადო ადგილი ეთმობა ჯემალ ქარჩხაძის თხზულებაშიც?

ჰოდა, რა ასპარეზი რჩება ამ დროს მწერლის ოსტატობისთვის, რა შეიძლება ავტორმა შემოგვთავაზოს ისეთი, რასაც სხვა წყაროებიდან ვერ შევიტყობდით?

რა და – ის, რაც პერსონაჟების გულსა და გონებაში ხდებოდა იმ დროს, როცა ეს მზაკვრობანი მზადდებოდა, ეს ვერაგული გეგმები მწიფდებოდა. ადამიანთა ცხოვრება მართო მათი ხილვადი ქმედებებისგან ხომ არ შედგება! ადამიანთა გულსა და გონებაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც წინ უძღვის ან ახლავს მათ ქმედებებს, არანაკლებ საინტერესოა (თუ უფრო მეტად არა!), ვიდრე ისინი, რომლებიც თვალთსახილველია – შეიძლება დაიხატოს ან კინოფირზე აღიბეჭდოს და მერე ეკრანზე ვიხილოთ მოძრავი გამოსახულების სახით.

ხელოვნების ეს ორი დარგი – მხატვრობა და კინო – შემთხვევით არ მიხსენებია: მე-18 საუკუნეში ლესინგმა თავის სახელგანთქმულ ესთეტიკურ ტრაქტატში, რომელსაც შემოკლებით „ლაოკოონს“ ვუწოდებთ, მწერლებს ურჩია, ნუ გამოიდებდნენ თავს იმ სფეროში, სადაც ისინი მხატვრებს ვერ აჯობებდნენ (პორტრეტებისა და პეიზაჟების ხატვას გულისხმობდა), და იმით დაკმაყოფილებულიყვნენ, რასაც მათზე უკეთ ვერავინ მოახერხებდა (ამბების დინამიკურ გადმოცემას გულისხმობდა). „ლაოკოონის“ დაწერის შემდეგ ხელოვნების ახალი დარგები გაჩნდა, რომელთა შორის უმთავრესია კინო; და კინომაც დიდი სეგმენტი ჩამოაჭრა მწერლობას – თუნდაც იგივე დინამიკური გადმოცემა ამბისა კინოს უფრო შთამბეჭდავად ძალუძს – რაზეა ლაპარაკი! –, მაგრამ მწერლობას ისეთი რამ დარჩა, რასაც არათუ მასზე უკეთ, მის გარდა ვერავინაც ვერ შეძლებს საზოგადოდ: მხოლოდ მწერლობა ახერხებს წარმოსახოს პროცესები, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში მიმდინარეობს, უხილავი პროცესები, რომლებიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ მათ ხილულ ქმედებებზე.

ამრიგად „იუპიტერის სინანულში“ მნიშვნელოვანია პროტაგონისტის შინაგანი სამყარო... მწერალი ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, გამონაგონი კი პერსონაჟის ხასიათის გახსნასა და შინაგანი სამყაროს წარმოჩენაში ეხმარება“ (თამარ ჩოკორაია).

წერის ეს მანერა, რომელიც პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წარმოჩენას ემსახურება, მსჯელობას, განსჯას, ანალიზს გულისხმობს და მას მეცნიერულად რეფლექსიას უწოდებენ. გარდასული, მიმდინარე თუ მომავალი ქმედებების გამო რეფლექსიას მხატვრულ ნაწარმოებში შესაძლოა ავტორიც ახდენდეს და პერსონაჟებიც, ანდა... ორივე ერთად ერთსა და იმავე ფრაზაში. ეს უკანასკნელი ხერხი ამბის გადმოცემისა ერთობ შთამბეჭდავია. ასეთ დროს თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს, მაგრამ ეს მესამე პირი იგივე პირველი პირია: ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება ერთმანეთს ერწყმის. ამ გზით ავტორი პერსონაჟის მიმართ ზოგჯერ სიმპათიის და ზოგჯერ ირონიის გამოხატვას ახერხებს („იუპიტერის სინანულში“ ამათგან რომელთან გვექნება საქმე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს!). წერის ამ მანერას ლიტერატურათმცოდნეები „განცდილ მეტყველებას“ უწოდებენ. „იუპიტერის სინანულში“ „განცდილი მეტყველებით“ შესრულებული



მხოლოდ მწერლობა ახერხებს წარმოსახოს პროცესები, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში მიმდინარეობს, უხილავი პროცესები, რომლებიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ მათ ხილულ ქმედებებზე.



ჩინებული პასაჟები გვხვდება. სანიმუშოდ ერთი ფრაგმენტი ვნახოთ, სადაც ნე-რონის ფიქრებია გადმოცემული:

„არა, თავის თავს არ დარდობდა იმპერატორი. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, შვილი თუ დედას შეეწირება! მაგრამ რომისა და რომაელი ხალხისათვის რა პასუხი მიეცა? ხომ ცხადზე უცხადესი იყო, რომ ერთი პრინცეპსის სიკვდილი წამსვე პრინცეპსობის მრავალ მაძიებელს გააცოცხლებდა და, **ვინ იცის**, სამოქალაქო ომიც ამტყდარიყო!“

ადვილი შესამჩნევია რაოდენ ძნელი გასამიჯნავია ასეთ პასაჟში ავტორისა და პერსონაჟის ნაფიქრ-ნააზრევი ერთმანეთისაგან.

ლიონ ფოიხტვანგერის „ცრუ ნერონში“ ამ მანერით შესრულებული მრავალი ეპიზოდი გვხვდება. აი ერთი ადგილი, სადაც ავტორის თხრობას პერსონაჟის – სენატორ ვარონის – ფიქრთა მდინარეება ერწყმის (აქაც, ისევე, როგორც „იუპიტერის სინანულიდან“ ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში, შეგვხვდება ჩვენ მიერ ხაზგასმული ჩართული ფრაზა – **„ვინ იცის“** – ნიშანი იმისა, რომ „განცდილ მეტყველებასთან“ გვაქვს საქმე, ვინაიდან ძნელი სათქმელია, ავტორის უფროა ეს ვარაუდი („ვინ იცის“) თუ პერსონაჟისა:

„და ახლა, ამ ხელსაყრელ ვითარებაში, დამოუკიდებელ ტერიტორიაზე რომ გამოჩნდეს კაცი, გარეგნობით ზედგამოჭრილი იმპერატორი, და ამ კაცს ზურგს უმაგრებდეს სენატორი ვარონი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ნამდვილი იმპერატორის სულს, ასეთი კაცი, ასეთი ნერონი დიდხანს გაძლებს და მრავალ უსიამოვნებას მიაყენებს მოსაზღვრე პროვინციების გუბერნატორებს და, **ვინ იცის**, იქნებ თვით პალატინსაც“.¹

რამდენად მართებულია შეძლებს ავტორი პერსონაჟის ფიქრების „წაკითხვას“ და ჩვენამდე მოტანას, იმაზეა დამოკიდებული, როგორ იცნობს ის ჯერ, საზოგადოდ, ადამიანის ბუნებას, და მერე თავისი კონკრეტული პერსონაჟებისას, როგორი ფსიქოლოგი და ანალიტიკოსია იგი, და, ბოლოს, როგორ მოახერხებს სიტყვების მეშვეობით თავისი დაკვირვებებისა და მიგნებების ფორმულირებას. მცირეოდენი იაღლიშიც კი ასეთ დროს ისეთ დისტანციას გააჩენს ტექსტსა და მკითხველს შორის, რომ ეს გარემოება შესაძლებელია კითხვის შეწყვეტის მიზეზიც გახდეს.

დიდხელოვნებას მოითხოვს, დამაჯერებლობას მიაღწიო ხასიათებით ესოდენ განსხვავებული პერსონაჟების ფიქრთა მდინარეების გადმოცემისას, როგორებიც „იუპიტერის სინანულში“ გვხვდებიან. ესენი არიან: თვითონ ნერონი, თამაზ ვასაძის მართებული შეფასებით, „არტისტული ტირანი“, რომლის „სიძლიერე სხვების სისუსტეების შემჩნევის და გამოყენების უნარი და სხვათა ტკივილის განცდის უუნარობაა“; ნერონის მომხრეთაგან და დედის მკვლელობაში ხელშემწყობთაგან: იმპერატორის თავდავიწყებამდე ერთგული „სალდაფონი“,

¹ კიდევ რამდენიმე პასაჟს წავაწყდი, სადაც ჩართული „ვინ იცის“ „განცდილ მეტყველების“ მომასწავებელ გამოთქმად გვევლინება. ერთ მათგანსაც დავიმოწმებ იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ ოსტატურად იყენებს ამ რიტორიკულ ხერხს „იუპიტერის სინანულის“ ავტორი: „მაგრამ ნერონი ამას გვიან მიხვდა... თუმცა, **ვინ იცის**, იქნებ არც არის გვიან?... ამაღამდელ ღამეს თუ გადაურჩა... ფაონის მამულში ეპაფროდიტუსი ელის. იქნებ ოსტიაში ხომალდი ჰყავს გამზადებული? იქნებ მოესწროს გაქცევა?... ვადიას სიბერისაგან ტვინი გაწყალებული აქვს და ამიტომ რომავს სისულელეებს...“

უშიშარი და თავცარიელი ანიკეტუსი („თავსუსტი და გულმაგარი“), „ფილი და ქვეშევეშა“ დორითერუსი, გამჭრიახი ეპაფროდიტუსი, „პირმოთნეობის მოდათა კანონმდებელი“; ნეიტრალურნი: კაცობრიობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ჰუმანისტი (ავტორი სლოგანისა „ადამიანი ადამიანისთვის წმიდათა წმიდაა“), მაგრამ, ბედის ირონიით, უსაშინლესი ტირანის – ნერონის – აღმზრდელი ლუციუს ანეუს სენეკა („რომის უპირველესი ჯგუფი“, რომელსაც „ტვინი ისეთი წვეტიანი ეკლებით ჰქონდა დაფარული, რომ ლეზბედაც ყოველი სიტყვა, რასაც კი წარმოთქვამდი, ათას ნაწილად ქუცმაცდებოდა და, თუკი შიგ რაიმე საიდუმლო გქონდა გახვეული, მყისვე დღის სინათლეზე გამოდიოდა“) და ბუროსი, „რომის უპირველესი ხმალი“, გულწრფელი და სიმართლისმოყვარე პოლიტიკოსი, რომლის „უმწიკვლო პატიოსნება, ნერონის ღრმა რწმენით, ადრე თუ გვიან პატრონს დაღუპვის კარამდე მიიყვანდა“ (ესენიც, ეპაფროდიტუსის გარდა, ნერონმა, როგორც მისი ვერაგობის მოწმენი, ზოგიც თანამზრახველი, ან მოაკვლევინა, ან თვითმკვლელობამდე მიიყვანა). ამათი ფიქრთა მდინარეა დიდი ოსტატობით არის გადმოცემული მოთხრობაში, მაგრამ ყველაფერი ფერმკრთალდება იმ პასაჟების გვერდით, რომლებიც საზეიმოდ გაშლილ სუფრასთან მსხდომი დედა-შვილის დაუნდობელ ინტელექტუალურ დუელზე მოგვითხრობენ.

აგრიპინა ჯგუთა და ვერაგობით თავის წამხდარ ვაჟს დიდად არ ჩამოუვარდება, ამიტომ უმთავრესი, რისი შიშიც აქვს ნერონს, ის არის, რამე ისეთი არ წამოცდეს, რაც ჩემს გულისნადებს გაამჟღავნებსო. ჰოდა, სიფრთხილეს იჩენდა: ვიდრე ფრაზას წარმოთქვამდა, გულდასმით ამოწმებდა მას გონებაში, რაც დამლ-ლელი და, რაც მთავარია, არცთუ მთლად საიმედო მეთოდი იყო კონსპირაციისა. მაგრამ მალევე, მისდა გასაოცრად და გასახარად, უცნაური რამ შენიშნა: თვითკონტროლი საჭირო არ იყო – „სწორი“ სიტყვები ძალდაუტანებლად მორაკრავებდა მისი სულის სიღრმეში.

ჯერ ის ადგილი წავიკითხოთ, სადაც ამაზეა ლაპარაკი, და შემდეგ იმის გარკვევა ვცადოთ, რა ფსიქოლო-გიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე:

„ნერონი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. სიტყვები თავისთავად, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა რომელიღაც შორეული და უხილავი სიღრმეიდან. ბუნებით უნდო და ეჭვიანი, თავიდან მაინც ცდილობდა, ვიდრე ხმამაღლა წარმოთქვამდა, ჯერ გონებით კარგად შეემოწმებინა, რომ შეცდომა არაფერი მოსვლოდა, მაგრამ მალე მიხვდა, ეს სიტყვები მისი არსების უფსკრულიდან მოდიოდა და ისეთი ძალა აფრქვევდა, რომლის უტყუარობას გონების კონტროლი აღარ სჭირდებოდა. ამ აღმოჩენამ ჯერ შეაცბუნა, მერე საამო გაკვირვება მოჰგვარა, ბოლოს კი ნეტარებით მიხვდა, რომ ეს სწორედ ის შთაგონება იყო, რომელსაც რომში, მუზეების მრგვალ, გუმბათოვან დარბაზში ლექსების შეთხზვის დროს ამაოდ უხმობდა ხოლმე და ამის გამო მზად იყო მთელ ქვეყანაზე ეყარა ჯავრი“.

ჯერ ის უნდა ითქვას, რომ აქ ერთმანეთს შეერწყა ნერონის ინტერესთა ორი სფერო – ხელოვნება და პოლიტიკა, რომელთაც, ერთი შეხედვით, დიდი არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო (თუმცა შვილისაგან განწირული დედის გული კი გრძნობდა, რომ ნერონისთვის „მკვლელობაშიც ხელოვნება იყო მთავარი“).

რაკილა ნერონის მიმართ უარყოფითად განწყობილი მემკვიდრეა კი, მაგალითად, სვეტონიუსი და ტაციტუსი, აღიარებენ მის ნიჭიერებას პოეზიაში, მუსიკასა და სახიობაში, ეტყობა ასეც იყო, მაგრამ განდიდების მანიამ და ამით გამოწვეულმა ზომიერების გრძნობისა და თვითკრიტიკის უნარის დაქვეითებამ, როგორც ჩანს, ჩაკლა მისი ნიჭი და ისეთი ვერაფერი შექმნა, რაც დროს გაუძლებდა და დღემდე მოაღწევდა. ეს გარემო-ება სატანჯველად ქცეოდა ამ უცნაურ მმართველს. მისი წუხილი იმის გამო, რომ მუზეებმა ზურგი აქციეს, ერთი

მთავარი მოტივია ჯემალ ქარჩხაძის ამ ქმნილებისა. მეორე მთავარი მოტივი, ცხადია, პოლიტიკაა. მწერლის ხელოვნების დამსახურებაა ის, რომ ეს ორი მოტივი, თითქოსდა ერთმანეთის უარმყოფელი, თითქოსდა კურიოზულად, აუხსნელად თავშეფარებული ერთ პიროვნებაში, ზემოთ ციტირებულ პასაჟში გაერთიანდა, ერთმანეთთან შეუღლდა, რითაც ხელოვნების რანგში აყვანილი ვერაგობის არსის წარმოჩენას შეუწყო ხელი, რაც, არსებითად, ნერონის, ვითარცა ტირანის, სპეციფიკას, თავისებურებას, წარმოადგენდა. თუკი მუშები ნერონს არა სწყალობენ იქ, სადაც „ჯერ არს“, მხარში უდგანან მაშინ, როცა პოლიტიკური ვერაგობის შედეგს ქმნის.

ის სულიერი მოვლენა, რომელიც განსახილავ ფრაგმენტშია აღწერილი, მაშინ იჩენს თავს, როდესაც ცნობიერებას და არაცნობიერიც ერთი მიმართულებით მუშაობენ. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, დიდოსტატსაც გაუჭირდება წარმატების მიღწევა, და „ფორმაში არ იყო“, ამბობენ მასზე ასეთ დროს, – „ფორმაში ყოფნა-არყოფნა“ დიდწილად სწორედ ცნობიერებისა და არაცნობიერის „განზრახვათა“ ურთიერთდამთხვევაზეა დამოკიდებული.

ჯერ ამ ფსიქიკური მოვლენის შემჩნევა და მერე მის შესახებ შთამბეჭდავი თხრობა აქცევს „იუპიტერის სინანულს“ დიდ ლიტერატურად, თანაც ისეთ ლიტერატურად, რომლის სათქმელიც ხელოვნების ვერცერთი სხვა დარგის ენაზე დიდი და არსებითი დანაკარგების გარეშე ვერ „გადაითარგმნება“.

PS. კიდევ ერთი ღირსება, რაც „იუპიტერის სინანულს“ გატაცებით საკითხავს ხდის, მახვილგონივრული ირონია და მწარე სარკაზმია, იმათ წინააღმდეგ მიმართული, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს; თანაც ეს ირონია და სარკაზმი მეტწილად „შავ იუმორთან“ არის შეზავებული, რასაც თემატიკა განაპირობებს. ამ ყაიდის რამდენიმე ფრაზა მოვნიშნე, რომლებიც სტატიაში ველარ გამოვიყენე, მაგრამ არც გვერდზე გადასადებად მემეტება ისინი. ამიტომაც უკომენტაროდ ჩამოვწერ მათ აქ და დასაგემოვნებლად შევთავაზებ ლიტერატურის გურმანებს:

„ამისთანა საწამლავი კაცს მთელი ამფორა უნდა დააცლევინო, რომ ცოტათი მაინც მოკვდეს!“;

„როცა კაცს ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი გაქვს გადასაწყვეტი, როგორიცაა დედის მოკვლა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წვრილმან სისულელეებს გაუწიო ანგარიში“;

„მადლი შესწირა ღმერთებს, რომელთაც ადამიანის ცხოვრება ისე გონივრულად მოაწყვეს, რომ კაცს ერთზე მეტი დედა არა ჰყავს“;

„...რამდენჯერ შეხვედრიხარ, რამდენჯერ დალაპარაკებია, რამდენჯერ წყალობაც მიგივია... მოკვლით კი ერთხელაც არ მოგიკლავს“...

ადვილი შესამჩნევია, რომ ხელოვნების სხვა დარგთა ენაზე გარდათქმას არც ეს ფრაზები დაექვემდებარებიან.

საქსტაჟოისი უნიუერსიტეტის ანაღიზი დიშაიასუის სწავლების პროცესში



ანა ხიშიძე

ფილოლოგიის დოქტორი

მხატვრული ლიტერატურის კითხვისა და რეფლექსიის დროს მოსწავლე ახალი ტექსტების გაცნობასთან ერთად მრავალმხრივ გამოცდილებას იძენს. ამ პროცესის სწორად წარმართვა, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდას ეხმარება კონკრეტული თემების, პრობლემებისა და საკითხებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, უვითარებს ანალიზისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს და უხვეწს გემოვნებას. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თითოეული საპროგრამო ნაწარმოებიდან მაქსიმუმი მიიღონ და კარგ მკითხველებად ჩამოყალიბდნენ, საჭიროა ტექსტის შესწავლა მრავალი სხვადასხვა ასპექტით.

თანამედროვე მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ მხატვრული თხზულება ვერ დაიწერება სრულიად „სუფთა დაფაზე“, არსებული კულტურული მეხსიერებიდან რემინისცენციების გარეშე, რადგან მსოფლიო საგანძურშიც და თითოეული ქვეყნის ლიტერატურაშიც უკვე უამრავი ტექსტია და როგორც მწერალს, ისე მკითხველს, ამ ტექსტებიდან ათასი რამ შეიძლება ამოუტივტივდეს გონებაში ან ქვეცნობიერი გავლენა იქონიოს წერისა თუ კითხვის პროცესზე. მოსწავლის თვალსაწიერის გასაფართოვებლად და კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რა სახის მიმართებები შეიძლება არსებობდეს ტექსტებს შორის. თუნდაც ერთი კონკრეტული ნაწარმოების სრულყოფილ აღქმას გარკვეული ფონური ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვცხოვრობთ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში და გარემოში, რომელშიც უსწრაფესად ვითარდება კომპიუტერული ტექნოლოგიები და დომინირებს სხივური კითხვა. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის ახალგაზრდებისთვის მხოლოდ ტერმინების: ჰიპერტექსტუალობა, პარატექსტუალობა, მეტატექსტუალობა, ინტერტექსტუალობა და სხვ. სწავლება. მნიშვნელოვანია, რომ მათ თვალნათლივ დაინახონ ამ მხატვრული ხერხების ღირებულება და თავადაც მიიღონ სიამოვნება შეფარულის „ამოცნობით“. დამწყები, გამოუცდელი მკითხველი



შესაძლოა, რომელიმე მხატვრული ხანი საპროგრამო ტექსტებში არ შევხვდეთ, მაგრამ მოსწავლე მათი არსებობის შესახებ უნდა იცოდეს. სკოლას ახადგაუჩინოო მოწოდება ასაკში ამოაწივებენ, მკითხველად კი მთელი სხოვნიან მანძილზე ჩივნიან და ეს გამოყლიდაა აუხიდადა გამოადგებათ.



ლიტერატურულ ნაწარმოებს ხშირად უყურებს, როგორც „ამბის თხრობას“, რომელიც ამა თუ იმ მხატვრული ფორმით ხორციელდება, ტექსტისავე ელემენტებსა და ტექსტებს შორის არსებულ მიმართებაზე საუბარი კი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, შორიდან შეხედონ თითოეულ ნაწარმოებს და უფრო ფართო კონტექსტში გაიაზრონ ის.

ჰიპერტექსტუალობა

ჰიპერტექსტუალობა – არის ტექსტთაშორისი ისეთი მიმართება, როცა მხატვრული ნაწარმოები იქმნება სხვა ტექსტის ტრანსფორმირებით, იმიტირებით, პაროდირებით თუ გაგრძელებით. აკამორჩილაძის მოთხრობის „მოგზაურობა კახეთში“ მთავარი გმირია ლუარსაბი და ამ ტექსტს ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“ უდევს საფუძვლად, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დასახელებული ორი ნაწარმოების პროტაგონისტები ერთნაირები არიან. განსხვავდებიან არა მხოლოდ ისინი, არამედ ავტორთა მათდამი დამოკიდებულებაც. ეს სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ რეალისტური და პოსტმოდერნისტული პროზის არაერთ-გვაროვან მიზანდასახულობას. ილია ჭავჭავაძე თავის პერსონაჟს ქმნიდა იმ მიზნით, რომ ლიტერატურის „სარკეში“ რეალური ლუარსაბებისთვის მათი ნაკლოვანებები დაენახებინა, აკამორჩილაძისთვის კი უფრო მნიშვნელოვანია პერსონაჟის დადებითი მხარეების აქცენტირება და მისდამი ემპათია.

ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს არა წერილობითი ტექსტი, არამედ ზეპირი გადმოცემა ან ლეგენდა. ილია ჭავჭავაძის პოემების „განდეგილისა“ და „აჩრდილის“ ჰიპერტექსტი ერთი და იგივე ლეგენდაა. იგი მოგვითხრობს მყინვარზე დაყუდებული ბერის ისტორიას, რომელიც იქ საძმოსთან ერთად მივიდა, მაგრამ ცალკე სენაკში განმარტოვდა და განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. ამის დამადასტურებელი იყო სასწაული, რომლის ძალითაც – დილით ლოცვისას სენაკში შემოსული მზის სხივი ბერს წმინდა წიგნებით სავსე აბგას უჭერდა. ამ სასწაულით გამხნეებულ განდეგილს სურდა, რომ მის საძმოსაც მიეღწია მსგავსი სულიერი სიმაღლისთვის და მონასტრის ბერებს მკაცრი ლოცვა და მარხვა დაუწესა. ბერების აზრით, განდეგილი იმიტომ იყო მომთხოვნი, რომ წმინდად ცხოვრობდა, მაგრამ თუ შესცოდებდა, სხვების მიმართაც აღარ იქნებოდა მომთხოვნი. ამიტომ გადაწყვიტეს მისი ცდუნება გერგეთში მცხოვრები ულამაზესი ქალის – დორას დახმარებით. ერთ ღამეს, საშინელ ქარბუქში დორა ავიდა განდეგილის სამყოფელთან, დაარწმუნა, რომ მონადირე იყო და თუ ის სენაკში არ შეუშვებდა, გაიყინებოდა. როგორც ვხედავთ, პოემის მსგავსად, ლეგენდის მიხედვითაც, განდეგილმა არ იცოდა, რომ სენაკში შეშვებას ქალი ითხოვდა, მაგრამ მასთან საუბრისა და ღვთისადმი უმადურობის გამომხატველი სიტყვების წამოცდენის მსგავსი ლეგენდაში არაფერია ნათქვამი. პუბლიკაციაში, რომელშიც ეს ზეპირი გადმოცემაა აღწერილი, ვკითხულობთ, რომ ვიწრო, ბნელ სენაკში ქალს და ბერს გვერდი-გვერდ ეძინათ, დილით კი, როდესაც განდეგილს გაეღვიძა, სტუმარი აღარსად იყო. განდეგილს ეჭვი გაუჩნდა, რომ სენაკში უცხო სულებით ღვთისმშობელი განარისხა. ამის შესამოწმებლად იგი გათენებას დაელოდა, სალოცავად დადგა და სცადა აბგის მზის სხივზე დაყრდნობა, მაგრამ წმინდა წიგნები ხმაურით დაენარცხა ძირს. მეორეჯერაც სცადა, მაგრამ იგივე განმეორდა. განდეგილმა დატოვა სენაკი და მყინვარის მწვერვალისკენ გაუყვა ბილიკს. ლეგენდა არაფერს ამბობს იმის შესახებ, როგორ დაასრულა მან სიცოცხლე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მთიდან ძირს გადაეშვა, თუ ღვაწლი განაგრძო და პატიება მიიღო.

ამავე განდევილ ბერთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული გადმოცემის ერთ-ერთი ვერსიით, მცინვარისკენ მიმავალი მონანული მეუდაბნოე უფალმა აამალა და ზეცისკენ ხელაპყრობილი მისი გამოსახულება აჩრდილის სახით ეჩვენებოდა ადამიანებს. ვფიქრობთ, ამ ჰიპერტექსტის შინაარსი მოსწავლეებს დაეხმარება არა მხოლოდ პოემა „განდევლის“, არამედ „აჩრდილისეული“ თანამდევ უკვდავი სულის სახისმეტყველებითი არსის გააზრებაშიც. ილია ჭავჭავაძემ ხორცი შეასხა განდევლის ისტორიის ორივენაირ დასასრულს. ერთი მთავრდება განდევლის დაცემითა და სასოწარკვეთილი აღსასრულით, რასაც მოსდევს ბეთლემის გავერანება, მეორე კი – მცინვარზე ამავე ბერის აჩრდილის გამოჩენით, მის მიერ ქვეყნის მდგომარეობის ობიექტური შეფასებით, გამოსავლის დასახვითა და ქვეყნისთვის ლოცვით, რასაც მოჰყვება იმედის მომცემი ცისარტყელის გამოჩენა.

გურამ რჩეულიშვილის ნოველის „როცა საქმე არ არის“ ჰიპერტექსტია ჯეკ ლონდონის რომანი „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“. ამერიკულ რომანში სასიყვარულო სამკუთხედის (ცოლ-ქმარი და ქმრის მეგობარი მამაკაცი) სამივე პირი ღირსეული ადამიანია, თითოეულის გრძნობა და განცდები – ჭეშმარიტი, ნოველის პერსონაჟები კი არც ღირსებით არიან გამორჩეულნი, არც გრძნობითა და ემოციებით. მხატვრულ ეფექტს ქმნის სწორედ ეს კონტრასტი ტექსტისა და ინტერტექსტის პერსონაჟებს შორის და გროტესკულ მუხტს აძლიერებს ექსპლიციტური ალუზია ჯეკ ლონდონის რომანზე. ნოველის პერსონაჟი მეგობრის ცოლს ეუბნება, როგორ აგონებს ის და მისი სახლ-კარი ჯეკ ლონდონის რომანისას: თქვენი ეზო „...მის კარმიდამოს მაგონებს, თქვენ კი მის დიასახლისს. მერე, იცით, როგორი იყო პაოლა? ო, თვითონ მშვენება, როცა მღეროდა, ან საუბრობდა, და ამორძალი, როცა ცხენზე იჯდა“. ბუნებრივია, ვისაც არ წაუკითხავს ამერიკული რომანი, ეს ალუზია არაფრის მთქმელია და ტექსტისა და ჰიპერტექსტის კონტრასტი მასზე ვერავითარ მხატვრულ ეფექტს ვერ მოახდენს, ისევე, როგორც აკა მორჩილაძის მოთხრობა თავის მკითხველზე. ილიასეული ჰიპერტექსტის გათვალისწინების გარეშე ეს იქნებოდა ჩვეულებრივი ბანალური ისტორია. რაც შეეხება „განდევლისა“ და „აჩრდილის“ ჰიპერტექსტს, ეს ლეგენდა თანამედროვე მკითხველისათვის სულ რამდენიმე წლის წინ გახდა ცნობილი და არაერთ პოლემიკურ საკითხს მოჰფინა ნათელი.

პარატექსტუალობა

პარატექსტუალობა გულისხმობს ტექსტის მიმართებას თავისსავე პარატექსტებთან: სათაურთან, ეპიგრაფთან, მიძღვნასთან, წინასიტყვაობასთან, აკროსტიქთან და სხვ. ცალ-ცალკე ეს ცნებები მოსწავლეებმა იციან, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რას ემსახურება მათი მიმართება ტექსტის ძირითად კორპუსთან. მხატვრული ნაწარმოების ეს ელემენტები შეიძლება მოკლედ, კონდენსირებული სახით გამოხატავდეს იმავე აზრს, რომელიც მოცემულია ნაწარმოებში, შეიძლება მიზნად ისახავდეს კონტრასტის შექმნას და მთავარი სათქმელის ამ გზით აქცენტირებას ან, არცთუ იშვიათად, ემსახურებოდეს ცენზორის დეზორიენტაციას. რამდენადაც პირველი შემთხვევა, როცა ტექსტისა და მისი პარატექსტების აზრი და ტონალობა ერთმანეთს ემთხვევა, აღსაქმელად შედარებით მარტივია, ვისაუბრებთ მხოლოდ მომდევნო ორზე.

გურამ რჩეულიშვილის ნოველაში „ჯუნგლებში“ მოქმედება ვითარდება მოსკოვის საგამოფენო დარბაზებში, კერძოდ რაფაელის „სიქსტის მადონას“, ჯორჯონეს „მძინარე ვენერასა“ და პიკასოს ტოლოების ექსპოზიციებთან და წარმოჩენილია დამთვალიერებლების: ვანკას, ვასოს, პეტიას, იგორის, ვალიას, ლი-

ონიასა და „ჯიშინი სლავის ქალის“ ქცევები და დიალოგები. ისინი უაზრო თვალეებითა და ცხვირის ჩიჩქნით უყურებენ ტილოებს და ერთმანეთს ასწრებენ გაზეპირებული ტერმინების წამოძახებას: „რენესანსი“, „იმპრესიონიზმი“, „განათება“, „ტონები“, „შტრიხები“ და სხვ. ტექსტის სათაური „ჯუნგლებში“ გარკვეულ ტოპოსზე მიგვანიშნებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნოველის მოქმედების განვითარების ადგილთან – საგამოფენო დარბაზთან და მხატვრული ეფექტი სწორედ ამ სარკასტული შეუსაბამობით მიიღწევა. ჩვენი ინტერპრეტაციის სისწორეს მოწმობს გურამ რჩეულიშვილის მიერ მოსკოვიდან თბილისში უახლოესი მეგობრის – ერლომ ახვლედიანისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი სარკაზმით საუბრობს ამ ტიპის დამთვალეირებლებზე და, ზოგადად, საბჭოთა „ექსკურსანტებზე“: „ექსკურსანტები ცალკე რასაა, ისინი ავსებენ თეატრებს, კინოებს, კრემლს, მავზოლეუმს, ავტობუსებს, მათ საოცარი თვისება აქვთ – თუ არ დაანახვე, ვერ ხედავენ, მათთვის ხელისუფლებამ სპეციალურად მოიგონა ექსკურსიის ხელმძღვანელები, გამყოლები, გიდები, თარჯიმნები, ისრები წარწერით...“ ისინი დაჰქრიან, ჯიკაობენ „ახტებიან ერთმანეთს... დამოუკიდებლად სადმე წასვლა ექსკურსანტს აზრდაც არ მოუვა...“. განხილულ ნოველაში გურამ რჩეულიშვილი კონტრასტის ხერხს თავად ტექსტშიც მიმართავს, მაგრამ პარატექსტისა და ტექსტის დაპირისპირება განსაკუთრებით ეფექტურია.

ასეთსავე მხატვრულ ეფექტს ქმნის ტექსტის შინაარსის მიმართ კონტრასტული ეპიგრაფები, რომლებსაც ხშირად მიმართავდა ილია ჭავჭავაძე. მოთხრობას „გლახის ნაამბობი“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფრაზა: „რა ქნას კარგმა მონარდემ, დროზედ შაში თუ არ მოვა“. ეს ანდაზა თითქოს ამართლებს არასასურველ ვითარებაში აღმოჩენილი ადამიანის შეცდომებს, მაგრამ ნაწარმოებში აქცენტირებულია სრულიად საწინააღმდეგო აზრი, რომელიც პირდაპირ პასუხობს ეპიგრაფში დასმულ კითხვას: „რა ქნას?“ – „რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...“. ნაწარმოებში იდეალიზირებული პერსონაჟის, მღვდლის პირით ნათქვამი ეს ფრაზა სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს ზემოხსენებული ეპიგრაფის ფუნქციას.

ილია ჭავჭავაძის ერთ უსათაურო ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მიხეილ ლერმონოვის სიტყვები: „Да вряд ли есть родство души...“ (ვეჭვობ, არსებობდეს სულთა კავშირი), თავად ლექსი კი მთავრდება სრულიად საწინააღმდეგო აზრის გამომხატვეული შემაჯამებელი ფრაზით: „ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია / თვისტომობა სულთან სულსა“.

ლექსს „გუთნის დედა“ წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი „გადი-გამოდი, გუთანო, / ღირღიტავ, ბანი უთხარო“, რომელიც სათაურთან ერთად ქმნის განწყობას, თითქოს გუთნისდედას მხოლოდ საღალღობოდ და სამღერლად ჰქონდეს საქმე, მაგრამ ტექსტში საუბარია მის უმძიმეს ხვედრზე.

ზოგჯერ კონტრასტული ხერხით აღწევს მხატვრულ ეფექტს ნაწარმოების რეფრენიც. ილია ჭავჭავაძის ლექსის „ბედნიერი ერი“, თითოეულ სტროფს რეფრენის „ჩვენისთანა ბედნიერი / განა არის სადმე ერი?!“ შემდეგ მოსდევს ისეთი რეალობის აღწერა, რომელიც ბედნიერების, კეთილგონიერებისა და კეთილდღეობისგან უკიდურესად შორს არის. რეფრენისა და ტექსტის ასეთი კონტრასტი ავტორის მწვავე სათქმელს კიდევ უფრო ამძაფრებს.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოების პარატექსტები ხშირად ემსახურება ცენზურის დემორიენტირებას. რამდენადაც პარატექსტთაგან ყველაზე მეტად თვალშისაცემია სათაური, ცენზურისთვის თვალის ასახვევად მწერლები ხშირად სწორედ მას ცვლიდნენ. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში სწავლისას ყოველდღიურად ხედავდარუსეთის ჯარში მომსახურე ქართველებს და ამ პრობლემას მიუძღვნა ლექსი „კანვოელი“. ნაწარმო-

ების სათაურიდანაც და შინაარსიდანაც ჩანდა რომ ავტორი რუსეთის ჯარს თავისი ქვეყნის დამპყრობლად მიიჩნევდა და გულს სტკენდა, როცა ქართველები იქ მსახურობდნენ. ბუნებრივია, რომ რუსეთის იმპერიის დროს ლექსი ასეთი სახით დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ გამოსაქვეყნებლად წარდგენამდე ლექსს ავტოგრაფშივე შეუცვალა სათაური, დაარქვა „იანიჩარი“ და ორიოდ სიტყვა ჩაასწორა. ამრიგად, ცენზურას მოაჩვენა, თითქოს ოსმალეთის ჯარზე წერდა და მასში ქართველთა სამსახური სტკენდა გულს.

ჟურნალ ცისკრის რედაქტორი ივანე კერესელიძე ლექსის ავტორს – აკაკი წერეთელს არც კი დაეკითხა, ისე შეცვალა მისთვის გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი პატრიოტული ლექსის „ძველ სამეფოს“ სათაური მეფისნაცვლის მაამებელი ფრაზით „დიდის კნიაზის მიხაილ ნიკოლაოზის ძის მობძანების დროს, ახალი შთამომავლობა უმღერის საქართველოს“.

ცენზურის დემორიენტაციის მიზნით მწერლები ცვლიდნენ სხვა პარატექსტებსაც. ილია ჭავჭავაძემ თავის პატრიოტულ პოემას „ქართველის დედა“, რომელიც სამშობლოს დასაცავად ბრძოლისკენ მოწოდებით მთავრდება, ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად წარდგენისას ქვესათაურად გაუკეთა „დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის დროიდან ოსმალოებთან ომის წინ“, ხოლო ჟურნალ „ივერიაში“ და ცალკე წიგნად გამოქვეყნებისას ქვესათაურად მიაწერა: „ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავის უფლებდა საქართველოს“. როგორც ვხედავთ, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ავტორი მოქმედებას თამარ მეფის ეპოქაში გადაიტანდა თუ დავით აღმაშენებლისაში, მტრებს ოსმალების სახელით შენიღბავდა თუ არაბების, მთავარი იყო, რომ იმჟამინდელ ცენზურას ის რეალური მტერი – რუსეთის იმპერია არ ამოეცნო, რომლის წინააღმდეგაც იყო ლექსი მიმართული.

ცენზურისთვის თვალის ასახვევად ქართველი ავტორები ზმასიტყვაობასაც მიმართავდნენ. ამის კარგი მაგალითია აკაკი წერეთლის „გურული ნანა“, რომელიც თითქოს ბავშვის ძილისპირულია, მაგრამ ჩვილისადმი მიმართულ საალერსო რეფრენში „ოი ამას ვენაცვალე!“, სიტყვების „ოი“ და „ამას“ გასაყარზე ზმაში შეფარულია იაპონელი გენერლის სახელი „ოიამა“ და რუსეთ-იაპონიის ომში იაპონელთა მიერ მოპოვებული წარმატებით განცდილი აღფრთოვანება. ლექსი ექვსტროფიანია და თითოეული ამ რეფრენით მთავრდება.

მეტაშეხვედრა

მეტატექსტი არის ტექსტის ისეთი ჩანართი, რომელიც ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ხაზით განვითარებულ მოვლენებს თითქოს გარედან უყურებს, აფასებს ან განმარტავს. მაგალითად, „ოთარაანთ ქვრივის“ იმ ეპიზოდში, რომელშიც არჩილი აცნობიერებს, როგორი უანგაროა გიორგი და თავის აბრს



**მხატვრული თხზულება
ვერსიონიდან სწავლიდა
„საუთა ღაფაფ“, ანსაზღვი
კულტურული მემკვიდრეობის
ჩვენი სწავლისათვის მანაშა,
ჩვენს მსოფლიო საგანმანათლებლო
და თითოეული ქვეყნის
ლიტერატურაში უკვე
უამრავი შეხვედრა და მოგონი
მხარაღ, ისე მკითხველს,
ამ შეხვედრისათვის ათასი ჩემ
შეიძლება ამოუცნობიერად
მოგვებაში ან ქვეყნობიერი
გაგებაში იქონიოს წარსა
თუ კითხვის პრინციპი.
მოსწავლის თვალსაწიერის
გასაყარით მოგვება და კითხვის
მოტივაციის ასაძლევად
მნიშვნელოვანია ყურადღების
გამახვილება იმაზე, თუ რა
სახის მიმართებაში შეიძლება
ანსაზღვის შეხვედრა მოხდეს.**



კესოს უზიარებს, ვკითხულობთ: „გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო“. პოემაში „ბედი ქართლისა“ მეტატექსტს წარმოადგენს ავტორის ლირიკული გადახვევა, რომელიც მოსდევს სოფიო ლიონიძის პატრიოტულ სიტყვებს და იწყება ასე: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“.

მოთხრობის „კაცია, ადამიანი?“ მეტატექსტია პროლოგი, რომელშიც საუბარია ამ ნაწარმოებსა და მისი დაწერის მიზანზე და ეპილოგი, რომელშიც ავტორი პირდაპირ მიმართავს მკითხველს და წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას საკუთარი პერსონაჟებისადმი. ზოგადად, არა მხოლოდ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, არამედ ძველშიც პროლოგი და ეპილოგი ხშირად წარმოადგენს ხოლმე მეტატექსტებს, ასეა, მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „ვეფხისტყაოსანსა“ და არაერთ სხვა ნაწარმოებში.

ინტერტექსტუალობა

ინტერტექსტუალობა არის კონკრეტულ ტექსტში სხვა ტექსტის ექსპლიციტური ან იმპლიციტური ჩართულობა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ ეფექტს იძლევა. ინტერტექსტების ყველაზე გავრცელებული სახეებია ციტირება და ალუზია.

მოთხრობა „მგზავრის წერილების“ დასაწყისში, ილია ჭავჭავაძე აღწერს რუსულ „პოვოზკას“ და მისი მეეტლის ბრიყვულ სახეს, შემდეგ კი იხსენებს, როგორ რომანტიზებულად ასახავენ ამ ცხოვრებისეულ სურათებს რუსი მხატვრები. ამასთან დაკავშირებით ქართველი მწერალი ციტირებს ალექსანდრ გრიბოედოვისეულ ფრაზას „И дым отечества нам сладок и приятен“ (მამულის კვამლიც კი ტკბილი და სასიამოვნოა ჩვენთვის). ილია ჭავჭავაძე მოხერხებულად ახდენს „მამულის კვამლით“ აღფრთოვანების პაროდირებას და წერს, რომ ამის მიზეზი კვამლის მიერ თვალის აბმა, მართლჭვრეტისთვის ხელის შეშლა და საკუთარი უბედურების დაუნახავობაა. მოთხრობის დასაწყისში ხელოვნებისა და რეალობის ამგვარი ურთიერთმიმართების (ამაზრზენი რეალობის რომანტიზებულად ასახვა) უარყოფითი შეფასებით ავტორი საფუძველს ამზადებს იმისათვის, რომ თავად მან რეალობაზე თვალის დახუჭვისა და მისი შელამაზების გარეშე აღწეროს საკუთარი ქვეყნის ვითარება.

ლიტერატურული დიალოგის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტექსტისა და ინტერტექსტის ურთიერთმიმართება, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათისაა. რუსეთის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა პოეტმა მიხეილ ლერმონტოვმა პოემაში „დემონი“ გამოიყენა ასეთი ფრაზა „Безжали рошкие Грузии“ (გარბოდნენ გაუბედავი / მშიშარა ქართველები). ნაწარმოებში არ არის აღწერილი ეროვნებით ქართველი კონკრეტული პერსონაჟები, რომლებსაც ეს სიტყვები მიემართება. ამიტომ ფრაზა განზოგადებულ სახეს იღებს და გამოხატავს ზოგად დამოკიდებულებას ქართველებისადმი. საერთოდ, რუს პოეტებსაც, ისევე, როგორც რუს ჩინოვნიკებს, მათ მიერ დაპყრობილი ერებისადმი ასეთი დამოკიდებულება უდავოდ სჩვეოდათ. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის რეაქცია რუსი კლასიკოსის ამ დამოკიდებულებაზე. ქართველი მწერალი მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ქმნის რუსი გენერლის უკიდურესად ამბიციურ და ბრიყვ სახეს და მას ათქმევინებს ლერმონტოვის ამ ფრაზას. კიდევ უფრო გროტესკულია ის, რომ რუსი სამხედრო მაღალჩინოსანი ამას ვითომდა ქართველების საქებად და სომხების დასამცირებლად ამბობს: „თუმცა ჩვენი ლერმონტოვი ამბობს, რომ безжали рошкие грузины, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა“. რა თქმა

უნდა, იმის მიხედვით, თუ ვინ ამბობს და რა სიტუაციაში, ერთსა და იმავე ფრაზას განსხვავებული მხატვრული დატვირთვა ეძლევა. როდესაც ლერმონტოვის ზემოხსენებულ სიტყვებს იმპერიული ამბიციებით გაბერილი, „ბუზების ბიზნესის“ მსგავსი სისულელეებით ატაცებული და იზღერის ბაღზე მეოცნებე რუსი ოფიცერი ეუბნება განათლებულ, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ და მისთვის თავდადებულ ქართველ ახალგაზრდას, ეს სიტყვები იმდენად სარკასტულ სახეს იღებს, რომ ოფიცერთან ერთად მათი დამწერი რუსი კლასიკოსის გელიკორუსულ ამბიციებსაც აქილიკებს.

კიტირებასთან შედარებით რთული ამოსაცნობია ალუზია. ეს არის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი, რომლის საშუალებითაც ხდება ზეპირ ან წერით კულტურაში დამკვიდრებულ რომელიმე დეტალზე, სახეზე, გამონათქვამზე, ისტორიულ ან ყოფით ფაქტზე მინიშნება. ალუზია მკითხველის გონებაში აღძრავს ასოციაციურ კავშირს სხვა ტექსტთან ან მოვლენასთან და შემოაქვს დამატებითი ინფორმაცია. ის აცოცხლებს რაღაც შეფარულს და უფრო მნიშვნელოვანს, რომელიც ბოლომდე თავად მკითხველმა უნდა გაიაზროს. შესაბამისად, ალუზიის მიგნებას ამოცნობის მოულოდნელი სიხარული ახლავს, რაც კითხვის პროცესს ინტერესსა და აზარტს ჰმატებს.

გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ წმინდა წერილისეული და სხვადასხვა ისტორიული (კამორა, კანუდოსი) ინტერტექსტების გარდა გვხვდება ძალზე საინტერესო ალუზიები გილგამეშის ეპოსზე. ტექსტში ალუზიის არსებობაზე შეიძლება სხვადასხვა პატარა დეტალმა მიგვანიშნოს, მაგალითად, რაღაცის ზედმეტმა აქცენტირებამ, შეუსაბამობამ, ხშირად გამეორებამ და სხვ. „სამოსელ პირველში“ დაკვირვებული მკითხველის ყურადღება არ შეიძლება არ მიიქციოს მარმარილოს ლოდის ხსენებამ იმ ეპიზოდში, რომელშიც მოქმედება ღია ცის ქვეშ ხდება, სადაც არც ხეა და არც რაიმე შენობა. ასეთ კონტექსტში უცებ ვკითხულობთ: „წინამძღოლი კი, მკერდზე ნაღვლიანად მკლავებდაჭდობილი და მომლოდინე, მარმარილოს გლუვად აელვარებულ კედელს მიყრდნობილი, მწუხარედ შემოგვცქეროდა და ხმას არ იღებდა...“ საიდან გაჩნდა ღია ცის ქვეშ მარმარილოს კედელი და თან არაერთგან? როდესაც წინამძღოლი ისრით განგმირავს მეომრის წინაშე საკბენად აღმართულ გველს, იგი კვლავ ჩნდება: „ავიხედე და წინამძღოლი დავინახე, მშვილდით ხელში, მარმარილოს კედელთან მდგარი, მშვიდად მილიმოდა“. ეს დეტალი არა მხოლოდ კონტექსტთან შეუსაბამობით, არამედ მრავალგზის გამეორებითაც მიგვანიშნებს ინტერტექსტის არსებობაზე. თუ წინამძღოლთან დაკავშირებულ მთავარ თემას – სიკვდილის შიშს გავყვებით, აუცილებლად მივალთ ამ თემის ამსახველ უძველეს შუამდინარულ ტექსტამდე, გილგამეშის სახემდე და თვალწინ წარმოგიდგება უძველესი ბარელიეფი, რომელიც ხორსაბადში, სარგონ მეორის სასახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს. მასზე გილგამეში სწორზედაპირიან ქვის ლოდზეა გამოსახული, წელში ამაყად გამართული, ერთ ხელში მათრახი უპყრია, მეორეში კი დამორჩილებული ლომი. ალუზიის აღმოჩენის შემდეგ არანაკლებ საინტერესოა ტექსტსა და ინტერტექსტს შორის არსებული პარალელების პოვნის პროცესი.

„სამოსელი პირველისეულ“ წინამძღოლს ამბის დასაწყისში სიკვდილის არ ეშინია და მის აუცილებლობაში დარწმუნებულია. მას სწამს, რომ: „სიკვდილი რომ არ იყოს... აღარ იქნებოდა ამქვეყნად გულადი და ლაჩარი, მდიდარი და მონა, თვით სიკეთე და ბოროტებაც არ იქნებოდა... არც კეთილები იქნებოდით და არც ბოროტნი, არც ბედნიერნი და არც უბედურნი – აღარაფერი არ ვიქნებოდით...“), შემდეგ წინამძღოლი უშვებს შეცდომას (კლავს დამარცხებულ მტერს, რომლისგანაც მას მნიშვნელოვანი რამის სწავლა შეეძლო), რის

გამოც უჩნდება სიკვდილის შიში. მთავარი, რაც ამ პერსონაჟს გამოარჩევს, არის სიკვდილის შიშის დაძლევის გზების ძიება.

გილგამეშთან დაკავშირებით ეპოსში ვკითხულობთ: „ტოლი არა ჰყავდა ლახტის მოქნევაში, დაფდაფის ხმაზე ამხედრებდა მეომრებს, ხოცა დათვები, ვეფხი და აფთარი, ირემი, ხარი და ქვეწარმავალი, და ყველა ქალწულს იმის მკლავებში უნდა გაეველო, დღედაღამ ლაღობდა მისი სხეული, მაგრამ მერე და მერე სიკვდილის შიში ჯერ შეეპარა და ისე გაუჯდა შემდგომ, დაღონდა, დაშვრა, შიგანი მწუხარებით აევსო, სიფხიზლით თავი გაიტანჯა, ღაწვები ჩაუცვივდა...“ გილგამეშის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ კლავს დამარცხებულ ტყის მცველ მონსტრ ჰუმბაბას და ქვის გოლიათებს, რომლებსაც შეეძლოთ იგი სიკვდილის წყლებზე გადაეყვანათ. გილგამეშს სიკვდილის შიში უჩნდება ენქიდუს სიკვდილის შემდეგ და მისი მთავარი სურვილიც ხდება ამ შიშის დაძლევა (ენქიდუს გაცოცხლებით და საკუთარი სიცოცხლის უკვდავყოფით). „სამოსელი პირველის“ მიმართება გილგამეშის ეპოსთან ხაზს უსვამს იმას, თუ რაოდენ მარადიულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, პრობლემასთან, რომელთან გამკლავებასაც უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ ადამიანები და აღწერდნენ მწერლები. ამიტომ მისი გათვალისწინების გარეშე კულტურულ მეხსიერებასთან კავშირიც იკარგება და ეს ფართომასშტაბიანი ხედვაც.

მხატვრულ თხზულებებში ალუზიები არა მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებზე, არამედ ფერწერულ ტილოებზე, სკულპტურებზე საოპერო და თეატრალურ წარმოდგენებზეც გვხვდება. ამგვარი ინტერტექსტებით განსაკუთრებით მდიდარია ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვარადიოთი“. პროტაგონისტის სახის სრულყოფილ აღქმას ემსახურება ისეთი ვიზუალური ინტერტექსტების შემოტანა, როგორებიცაა: ლენბახის „დედა და ბავშვი“, კაულბახის „მადელაინა“, რიდლის „საკუნტალა“, ბიოკლინის „მელანქოლია“, გვიდო რენის „ბეატრისა ჩენჩი“ და სხვანი. ელის შინაგან სამყაროსთან და განწყობებთან ასეთსავე მჭიდრო კავშირშია მოთხრობაში მოხსენიებული დრამატული და საოპერო წარმოდგენებიც: ვერდის „ტრავიატა“, შექსპირის „ჰამლეტი“, ვაგნერის „ტრისტან და იზოლდა“. ელის ბედს პირდაპირ უკავშირდებიან პროტაგონისტები: მარგარიტა, ოფელია და იზოლდა.

ჩვენ მიერ სტატიაში მოხმობილი ტექსტების დიდი ნაწილი არასაპროგრამოა, მაგრამ მოვიხმეთ იმის გამო, რომ მოსახერხებელი იყო ტრანსტექსტუალობის ამა თუ იმ ფორმის საილუსტრაციოდ. შესაძლოა, რომელიმე მხატვრული ხერხი საპროგრამო ტექსტებში არ შეგვხვდეს, მაგრამ მოსწავლე მათი არსებობის შესახებ უნდა იცოდეს. სკოლას ახალგაზრდები ოც წლამდე ასაკში ამთავრებენ, მკითხველებად კი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩებიან და ეს გამოცდილება აუცილებლად გამოადგებათ.

ქართული ტერმინოლოგიის საკითხები



ლია ჯალოსანიძე

ფილოლოგიის დოქტორი

სწორი ტერმინთშემოქმედება უმთავრესი რამ არის ენის არსებობისათვის, მისი მომავლისათვის. სალიტერატურო ენა უშუალოდაა დამოკიდებული სამეცნიერო ენის განვითარებაზე. თუ სამეცნიერო წრეები ზრუნავენ ენაზე, ქმნიან ტერმინებს, რომლებიც ენის ცოცხალ ლექსიკას თუ ძველ მწერლობაში არსებულ მასალებს ეყრდნობა, ენა სწორად ვითარდება, მრავალი ტერმინი დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ბუნებრივი ნაწილი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ენის განვითარება სამეცნიერო წრეების დამსახურებაა, ენის დაკნინება – მეცნიერული მუშაობის შესუსტების შედეგი.

ქართულ ტერმინთშემოქმედებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ისტორია სრულად ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. ჩვენი ამრით, საკუთარი მეცნიერული ხედვისა და მიმართულების განსაზღვრით, ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმებით ქართულ ტერმინთშემოქმედებაში ოთხი განსხვავებული პერიოდი გამოიყოფა:

1. X–XII საუკუნეებისა;
2. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა;
3. ე. წ. ნიკოლაძეებისა;
4. საბჭოთა პერიოდისა, რომელშიც ორი ქვეპერიოდი გამოიყოფა.

როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია: ქართული, ქართულიც და საერთაშორისოც თუ მხოლოდ საერთაშორისო – ეს არის ის უმთავრესი კითხვები, რომელთა შესახებ დავა იყო და იქნება მომავალშიც. მთავარი ისაა, რომელმა რა შედეგი მოუტანა ქართულ ენას, რომელი გზა იყო გამართლებული, რომელი – გაუმართლებელი. დღეს ამ საკითხის კვლევა და გარკვეული დასკვნების გაკეთება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლითა და გააზრებით სავსებით შესაძლებელია (ქაროსანიძე, 2012:75–86)

ქართული ტერმინთშემოქმედება ჩამოყალიბებული მეცნიერული მიდგომებით, მეთოდებით ჯერ კიდევ ძველ ქართველ მთარგმნელებთან დასტურდება.



მრავალი ტერმინი დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ბუნებრივი ნაწილი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ენის განვითარება სამეცნიერო წრეების დამსახურებაა, ენის დაკნინება – მეცნიერული მუშაობის შესუსტების შედეგი.



ძველ ქართველ ტერმინთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ორი უმთავრესი რამ:

1. ცნებისა და მისი ისტორიის სრულად შესწავლა-გააზრება და
2. ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინება, ქართული სიტყვათმწარმოებლების უბადლო ცოდნა.

ეს არის ერთადერთი და „უეჭვი“ გზა სხვა გარემოში შექმნილი ნებისმიერი ახალი ცნების მშობლიურ ენაზე გადმოსატანად. ეს პერიოდი სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ მთელი ევროპული კულტურის, მეცნიერების, ტერმინოლოგიის საფუძვლად აღიარებული ბიზანტიური კულტურა ქართველმა მთარგმნელებმა ისე გადმოიღეს, ქართული ენის ბუნება არასოდეს დავიწყებიათ. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული ენის საკითხების კვლევა, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება. ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიშმა და სხვებმა მრავალი ახალი სიტყვა შემატეს ქართულს, ენობრივი საკითხებისადმი მათი განსაკუთრებული მიდგომის შედეგია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: არსი, არსებობა, ხედვა, ხედვითი, არარაობა, ძლიერება, გონი, გონიერება, განცდა, ვითარება, მეცნიერება, უმეცრება, იგივეობა და მრავალი სხვა. ამ დროს შეიქმნა ქართული საღვთისმეტყველო, საეკლესიო, ფილოსოფიური, გრამატიკული, მათემატიკური ტერმინები (მელიქიშვილი, 1999, 2011).

X-XII საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბდა ქართული მთარგმნელობითი სკოლა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი სათქმელი ჰქონდა: **არ არსებობს ქვეყნად სიახლე, რომლის გადმოღებას და გამოხატვას ქართული ენა ვერ შეძლებს.**

ტერმინოლოგიასა თუ, ზოგადად, ენის პრობლემებზე საუბრისას ხშირად ამბობენ: „ენა ცოცხალი ორგანიზმია“, ის თავისთავად ვითარდება და ენობრივი ნორმების დაწესება თუ ხელოვნური ტერმინების შექმნა საჭირო არ არის. ამ თვალსაზრისის უმართებულობაზე, ვფიქრობთ, პირდაპირ მიგვანიშნებს საქართველოს ისტორიის XIII საუკუნიდან დაწყებული უმძიმესი პერიოდი, როცა საქართველო უსასრულო ომებში იყო ჩართული. ცხადია, ამ დროს ენისთვის არავის ეცალა, შეწყდა ტერმინთა შემოქმედებაც და შედეგადაც არ დააყოვნა: ქართული ენის ძირძველი ლექსიკა აღმოსავლურმა სიტყვებმა ჩაანაცვლა. დღესაც თანამედროვე ქართულში მრავალი თურქული, არაბული, სპარსული სიტყვაა, რომლებიც სამეცნიერო წრეების ყურადღების მიღმა დარჩენილ ენაში შემოიჭრა და დაიმკვიდრა ადგილი. ცხადია, ენა ნამდვილად ცოცხალი ორგანიზმია, მაგრამ მას ბედის ანაბარა მიტოვება კი არა, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომლითაც ავტორმა ქართველებისათვის დავიწყებული ქართული სიტყვების შეხსენება სცადა, მაგალითად: „**არაყი** არაბულად ოფლსა ჰქვიან, ვინა-ითგან იგიცა ოფლი არის (ხოლო სასმელი არაყიც ოფლია ქვაბთა B), ხოლო ქართულად იყი ეწოდების [ნ. რახი]; **ფიქრი** არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა და წულიღმოგონება ჰქვან.

სამწუხაროდ, სულხან-საბა ორბელიანის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ქართულ ენაში შემოჭრილ (და არა ნასესხებ) სიტყვებს უკვე საკმაოდ ჰქონდა (და დღემდე აქვს) ფეხი მოკიდებული. მაშასადამე, X-XII საუკუნეების შემდგომ ისტორიული მდგომარეობის გამო ქართულ ტერმინთა შემოქმედებაში დიდი წყვეტაა და იგი XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ახლდება.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ახალი ხანა იწყება. 1861 წელს 24 წლის ილია ჭავჭავაძე წერს ეპოქალური მნიშვნელობის წერილს, რომელშიც ქართველებს ახსენებს ენის მნიშვნელობასა და

მოუწოდებს ყველას, გაუფრთხილდნენ მამა-პაპათა სისხლით გადარჩენილ ამ უმნიშვნელოვანეს საუნჯეს – ენას.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამედროვეებმა გააცოცხლეს ქართული სალიტერატურო ენა. სკოლა, თეატრი, ბანკი თუ სხვა დაწესებულება ჩვენში, ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებები უნდა ემსახურებოდეს ქართველი ერის წინსვლასა და ეროვნული ნიშნის უფლებათა დაცვასა და წარმატებას, ე. ი. ქართული ენის მოვლასა და მზრუნველობას, ზრდასა და განვითარებას, აღორძინებასა და აყვავებას – ამას ითხოვდა ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთაგან, ასე აღადგენდა სალიტერატურო ენას. უმთავრესი ის იყო, რომ სადავო საკითხების მოსაგვარებლად ილიას საჭიროდ მიაჩნდა საგანგებო კომისიის შეკრება. ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა ენის მოწესრიგების, ქართული ტერმინების შექმნისა თუ დახვეწის სადავო საკითხები და დაედგინა ყველასთვის სავალდებულო წესები. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა მიერ გადმოქართულებული მრავალი სიტყვა შეისისხლხორცა ქართულმა ენამ (ვაშაკიძე, 2001; სალინაძე, 2011).

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან დაიწყო ქართული ტერმინების შეგროვება, მოწესრიგება, დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა. ამ დროიდან ტექნიკური საზოგადოებაც ერთვება ტერმინთშემოქმედებაში. ისინი საოცარი შემართებითა და თავისუფლებამოპოვებული ხალხის სილალით თამამად მსჯელობენ ქართული ძირების გამოყენებაზე ტერმინოლოგიაში, ცდილობენ ინტერნაციონალური ტერმინების გაქართულებას¹. გამოდის პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი, რომელიც ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის საფუძველი ხდება. ამ დროს ყველაზე მეტად გამწვავდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ ქართულში: საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტერმინების შექმნა საჭირო არ არის, არაფერია იმაში ცუდი, თუ საერთაშორისო ტერმინებს შემოვიღებთო. სატერმინოლოგიო სექციის წევრები: ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, ირაკლი მჭედლიშვილი, ივანე ბერიძე, მიხეილ შალამბერიძე ეწინააღმდეგებოდნენ ამ აზრს და, ვფიქრობთ, შესანიშნავადაც ამტკიცებდნენ თავიანთ თვალსაზრისს: „მეცნიერების არაერთი წარმომადგენელი ღრმად და დარწმუნებული, რომ ბევრად უფრო ხელსაყრელია ყველა ტერმინი გადმოუთარგმნელი დარჩეს. თვით ცნებების სრული სიცხადის გამო ტერმინების შინაარსს ან გაუგებრობას მათთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის ბევრად უკეთესია ისინი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე იყვნენ, როგორც ფორმულები ან სხვადასხვა რიცხვითი სიდიდეები „საერთაშორისო ტერმინოლოგია პირდაპირი საფრთხე იქნება ქართული ენისთვის. ჩვენი ენა ან სრულად დაიხრჩობა ამ ბაბილონური ზვავის ქვეშ ან უკეთეს შემთხვევაში ბუნებით და ცხოვრებით უარყოფილ „ესპერანტოს“ მსგავს ჟარგონად გადაიქცევა. ასეთი გადაგვარებული ენის ხმარებას კი ისევ რომელიმე ცოცხალი ევროპიული ენის მიღება აჯობებს

ამ ჯგუფში შედიოდნენ დიდი ქართველი მოღვაწის – ნიკო ნიკოლაძის – შვილები – რუსუდანი და გიორგი ნიკოლაძეები. სწორედ ამიტომ ამ პერიოდის ქართულ ტერმინთშემოქმედებას ნიკოლაძეების პერიოდს ვუწოდებთ.



**როგორი უნდა იყოს ქართული
დაზოგადოებრივი ტერმინოლოგია:
ქართული, ქართული და
საერთაშორისო თუ მხოლოდ
საერთაშორისო – ეს არის ის
უპოვარო კითხვა, რომელთა
შესახებ დავა იყო და იქნება
მოგვიანებით.**



და ეს ხომ ერის განვითარების სამუდამო ჩაფუშვას გამოიწვევს. გარდა ამისა, გაუგებარია, რა საჭიროა საერთაშორისო ტერმინები ამ სიტყვებით ხომ ერთი ქვეყნის მეცნიერი მეორე ენის მეცნიერს ვერაფერს გააგებინებს. თუ მისი ენა არ იცის ან თუ ორივემ რომელიმე მესამე ენა არ შეისწავლა. მოწინავე ქვეყნებთან დასაახლოვებლად და მისაღებად სულ სხვა გზას უნდა დავადგეთ. უნდა რაც შეიძლება მეტი ევროპული ენა შევისწავლოთ“ (სიტყვარი, 2020:57-65).

მათ მიზნად დაისახეს უკლებლივ ყველა სიტყვის გაქართულება და ამ გზით ახალი ქართული სამეცნიერო ენის შექმნა. საკმაოდ ბევრი სიტყვა შესძინეს კიდევ ქართულ ენას: წნევა, დენი, ელდენი, ძრავა, სადენი, ხსნარი, წნეხი, ჯერადი, წინაღობა, კუთრი წონა, ფარდობა, ხრახნი, აირი, დენთი... რთულ სიტყვებში სიტყვას ნაცვლად თბო შემოიღეს: თბოსადგური, თბოტევადობა და სხვ. ლექსიკონს სიტყვარს უწოდებდნენ და თარგმნიდნენ ისეთ ტერმინებსაც კი, რომელთა შესატყვისი გერმანულის გარდა არცერთ ევროპულ ენაში არ მოიპოვება. მაგალითად:

	1920 წელი	დღეს
Фотометр	შუქმზომი	ფოტომეტრი
Манометр	წნეზომი	მანომეტრი
Банометр	ჰაერწნეზომი	ბარომეტრი

ამ დროის ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა თავისი მიზნებით, პრინციპებით გადაუჭარბებლად შეგვიძლია შევადაროთ ძველ ქართველ მთარგმნელთა მუშაობას. ახალი ეპოქის გააზრება და მასში ქართული ენის ადგილის დამკვიდრებისათვის თავდადებული ბრძოლა, საყოველთაოდ დამტკიცება იმისა, რომ ქართული ენა „სხვათა სწორია“ და არ არსებობს სიახლე, რომლის გადმოცემას ის ვერ შეძლებს. მიუხედავად მათი მეცნიერულად დასაბუთებული და ჩამოყალიბებული თვალსაზრისისა, მთელი მეოცე საუკუნის ქართული ტერმინთმეოქმედება სხვა გზით წარიმართა. შეიძლება მეტიც დამკვიდრებულიყო, მაგრამ ტერმინთმეოქმედების ეს გზა საბოლოოდ უარყო საბჭოთა ეპოქამ. სამწუხაროა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისდროინდელი ქართული ტერმინთმეოქმედების ერთი მნიშვნელოვანი სკოლა მეცნიერული კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა (ქაროსანიძე, 2020: 3-31).

სამწუხაროდ, ე.წ. ნიკოლაძეების პერიოდის განახლებული ქართული ტერმინთმეოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად სუსტდება. ქართული ძირებით ნაწარმოები სიტყვები ნაციონალიზაციის პოლიტიკასთან ასოცირდება და მიუღებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ტერმინოლოგია ის სფეროა, რომელშიც შესანიშნავად ისახება სახელმწიფო პოლიტიკა და შესაძლოა სწორედ ამიტომაც 1926 წელს საბჭოთა ხელისუფლე-

ბის ერთ-ერთი ლიდერი ფილიპე მახარაძე თავად უდგება ტერმინოლოგიურ კომიტეტს სათავეში. მისთვის მიუღებელია ქართული ძირებით ნაწარმოები ტერმინები და სწორედ ამ დროიდან კარი ეღება ე.წ. საერთაშორისო სიტყვებს. ლათინურ ძირებს. ეს კი არსებითად განსხვავდებოდა ე.წ. ნიკოლაძეებისეულ პრინციპებისაგან. ენას ამდიდრებს უცხო სიტყვები – ასეთი იყო ფილიპე მახარაძის აზრი თუ ბრძანება: „სატერმინოლოგიო კომიტეტს თავის მუშაობაში იმთავითვე (1926 წლიდან) სახელმძღვანელო პრინციპად ჰქონდა ეს თვალსაზრისი: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ტერმინების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მისი თარგმნა. ამხ. ფ. მახარაძეს არაერთხელ მიუქცევია ყურადღება, რომ არაფერს მატებს ქართულს და უარსაყოფია ისეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინები, როგორებიცაა: ბანჭვინი (ბენზინი), ძალარი (სპირტი), მენაკი (გრადუსი), თანწყობა (სისტემა) და სხვა ამგვარი“ (ტექნიკური, 1935: V-VI).

ქართული ტერმინების გვერდით უცხო შესატყვისები სავალდებულო გახდა, რაც უმეტესად ქართულის გაქრობას იწვევდა. ლექსიკონებსა თუ პრესაში დაბეჭდილ სტატიებში ნათლად ჩანს განსხვავებული ტერმინოლოგიური მიდგომა.

ქართულის გვერდით უცხოურის გაჩენა, როგორც მასალით დასტურდება, იწვევს ქართული ტერმინის განდევნას ენიდან. ასე რომ, ნიკოლაძეებისა და მათი თანამოაზრეების ტერმინთქმნადობა, ცხადია, უფრო გამართლებულია, ვიდრე ტერმინის უცვლელად გადმოტანა ამა თუ იმ ენიდან, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დაწყებული შესანიშნავი ეროვნული საქმის კრიტიკას საბჭოთა ეპოქის პირველ წლებში ვეღარავინ შეაჩერებდა. იწერებოდა სტატიები, რომლებშიც გმობდნენ და დაუფარავად დასცინოდნენ უკვე შექმნილ ქართულ ტერმინებს.

მართალია, ფილიპე მახარაძის პოლიტიკამ თავისი დაღი დაასვა ქართულ ტერმინოლოგიას, მაგრამ მოგვიანებით მაინც სწორად გაგრძელდა მისი განვითარება. მიუხედავად საბჭოთა ეპოქაში არსებული სირთულეებისა, დიდმა ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს ძველ ქართულ ტრადიციებზე დამყარებული ქართული ტერმინოლოგიური სკოლის განვითარება. დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობის შედეგი იყო ის ერთადერთი სწორი ნამდვილი ტერმინოლოგიური პოლიტიკა ქვეყანაში: ცენტრის მიერ მართული, სამეცნიერო კვლევებზე, ისტორიაზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედება (ლამბაშიძე, 1986).

დღევანდელი ქართული ტერმინოლოგია ნამდვილად საგანგაშოა. ერთი მხრივ, თითქოს იქმნება ტერმინები, შესაძლოა შესანიშნავიც, მაგრამ ვერ მკვიდრდება, მეორე მხრივ, ენა ივსება უცხო სიტყვებით: კოგნიტური (ხანაც კოგნიტიური), კრეატიული, კონსენსი, ნონსენსი, დისკურსი, იდენტობა, იდენტიფიცირება, ლოჯისტიკა და სხვა ამგვარი სიტყვების მოძალება სამეცნიერო



დღევანდელი ქართული ტერმინოლოგია ნამდვილად საგანგაშოა. ერთი მხრივ, თითქოს იქმნება ტერმინები, შესაძლოა შესანიშნავიც, მაგრამ ვერ მკვიდრდება, მეორე მხრივ, ენა ივსება უცხო სიტყვებით: კოგნიტური (ხანაც კოგნიტიური), კრეატიული, კონსენსი, ნონსენსი, დისკურსი, იდენტობა, იდენტიფიცირება, ლოჯისტიკა და სხვა ამგვარი სიტყვების მოძალება სამეცნიერო



წრეების სისუსტეზე მიგვანიშნებს. სამეცნიერო ენა უცხო სიტყვათა სიჭარბით არ ჩამოუვარდება პრესის ქართულს. ამ და კიდევ მრავალგვარ და მრავალფეროვან უცხო სიტყვას წააწყდებით ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში. უცხო სიტყვების ასეთი მოზღვაება საფრთხეს უქმნის თურქულ-სპარსულ-რუსულ ენობრივ იერიშს გადარჩენილ ძირძველ სიტყვათა მარაგს. თითქოს უწყინარი სიტყვა ინტენსიური ხმარებიდან დევნის რამდენიმე ქართულ სიტყვას: კოკისპირული, ხშირი, მრავალფეროვანი, მრავალგვარი; კოგნიტურმა შემეცნებითი ჩაანაცვლა, კრეატიულმა—შემოქმედებითი, ნოვატორულმა—ახალი, დაფიქსირება ასევე რამდენიმე სიტყვის ნაცვლად იხმარება: დღეს ქართველი იშვიათად იტყვის „გამოვხატავ“, „აღვნიშნავ“, „გამოვთქვამ“, „გამოვკვეთ“, თითოეულის ნაცვლად გამოიყენება „ვაფიქსირებ“. უკვე არსებულ (ხშირად უძველესი დროიდან დამკვიდრებულ) ტერმინებს უცხოური ენაცვლება: გაუგებარია, რა საჭიროა უკვე არსებული ცნებებისათვის ასეთი ტერმინების შემოღება. ასე გაჩნდა XX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებაშიც კი უამრავი უცხო ტერმინი: პრევერბი, ადვერბი, კორელატი, გასუბსტანტივება და მრავალი სხვ. ჩვენ თვალწინ იქმნება უცხო და არაბუნებრივი, გაურკვეველი ენა, რომელსაც „საერთაშორისო ქართული“ შეიძლება ვუწოდოთ (ქაროსანიძე, 2014).

ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლამ საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ ენის საკითხების მიმართ, გარკვეულწილად, პურისტული მიდგომა „გაღმა შედავებას“ ჰგავს, გაღმა შედავებას კი ხშირად გადაურჩენია და ჩვენამდე შემოუნახავს ქვეყანაც და ენაც. ქართული ენის თავისთავადობის შენარჩუნება მხოლოდ ქართული სიტყვათმარაგისა და სიტყვათმწარმოებლების გამოყენების გზითაა შესაძლებელი, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც ახდეს ნიკოლაძეების წინასწარმეტყველება და უცხო სიტყვების განუკითხავი შემოჭრით ქართული „ესპერანტოს“ მსგავს ჟარგონად იქცეს. ●

ბიბლიოგრაფია

1. იამზე ვაშაკიძე, ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, თბილისი, 2005;
2. დამანა მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1999, 2011;
3. რუსუდან საღინაძე, ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან, თბილისი, 2011;
4. სიტყვარი, პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ახალი გამოცემა მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლია ქაროსანიძემ, თბილისი, 2020;
5. ტექნიკური ტერმინოლოგია, რუსულქართული და ქართულ-რუსული, ვუკოლ ბერიძის რედაქციით, ტფილისი, 1935;
6. ლია ქაროსანიძე, ქართული ტერმინოლოგიის სირთულენი (ისტორია და თანამედროვეობა), ქართველოლოგია, 6, თბილისი, 2012;
7. ლია ქაროსანიძე, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე, კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“, I, თბილისი, 2014.

WIR LEBEN



ზაად რხეიძე

ლიტერატურათმცოდნე

პატიოსან და უცებ ადამიანს, თუ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს გადახედავს, განსაკუთრებით დამამთავრებელი კლასებისას, დარჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ქვეყანა, ჯერ ერთი, თეთრკანიანი, ეროვნებით ქართველი (ძირითადად) მამაკაცებით დასახლებული ტერიტორიაა, წერა-კითხვაც აშკარად ამ მამაკაცებმა იციან და, უფრო მეტიც, სავარაუდოდ, მწერლობა ქალებისათვის სამარცხვინო, დიდად შეურაცხყოფელ საქმედ ითვლება. მეორე, ამ ხალხს ოდესღაც, ვთქვათ, საუკუნის წინ ან უფრო ადრე, ბევრი უშრომია, უწერია, ამბავიც ბევრი გადახდენია და, შესაბამისად, მოსაყოლიც ბევრი დაგროვებია, მაგრამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში მეტისმეტად დაბეჩავებულა, სრულიად აუღია ხელი მწერლობაზე, თავგადასავალზეც და არსებობით კი არსებობს, მაგრამ უფრო ინერციით, ძველი გაქანების მხოლოდ ნარჩენით და რომ ცოტა ხანს ეგებ კიდევ იგორებს თავისდაუნებურად, მაგრამ მალევე, სულ მალევე, ხელშესახებ მომავალში, აუცილებლად გაჩერდება, დადგება და დროთა განმავლობაში აუცილებლად ისევე ჩაიმარხება, როგორც გზის პირას, უადგილო ადგილას დაგდებულ ქვას ემართება ხოლმე.

თუმცა იმ ადამიანებს, რომლებიც ცოტა მეტად იცნობენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესს, რომელთა თვალშიც სახელმძღვანელოს მიღმაც იხედება, მშვენივრად მოეხსენებათ, რომ არა თუ ასე არ არის საქმე, არამედ სწორედ პირიქით: საქართველოში ქალი ავტორიც ბევრია დღეს და ეგებ უფრო მეტიც, ვიდრე კაცი და უკანასკნელი ოცდაათი წელიწადიც და უკანასკნელი ათიც იშვიათად დატვირთული პერიოდია ლიტერატურისთვის, თარგმანის კუთხითაც, რასაც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე და, სხვათა შორის, აღარც ძველებური ირონიით, და ორიგინალური შემოქმედების კუთხითაც. თავი რომ დავანებოთ იმ სიუჟეტურ სიჭრელეს, რომლითაც ჩვენი დღევანდელი პროზა ხასიათდება, იგი ჭრელია მწერლური ტექნიკის, ჟანრის, სტილის თვალსაზრისითაც. ოღონდ საქმე ის არის, რომ ეს სიჭრელე, მრავალფეროვნება, ქართული ლიტერატურის



**ქართული ლიტერატურის
მხედრობა, მიზანობა,
გაითავისოს, თავის
გამოყვანილობას, გუნებას
მოაწოდოს მსოფლიო
ლიტერატურის გამოყვანილობა,
როგორც ვთქვამ, ისე
ოცნებებთან საუკუნისა,
ქართულ სკოლაში ანაწილად
აი აინაწილდეს.**



მცდელობა, მიბაძოს, გაითავისოს, თავის გამოცდილებას, ბუნებას მოარგოს მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება, როგორც მეოცე, ისე ოცდამეერთე საუკუნისა, ქართულ სკოლაში არანაირად არ აირეკლება. ქართული სკოლის პროგრამა უღმერთოდ მოძველდა, მოძველდა არა იმიტომ, თითქოს მასში შეტანილი ნაწარმოებები დაბალი ლიტერატურული ხარისხისა იყოს ან მათ მნიშვნელოვნებას მოჰკლებოდეს რამე (თუმცა ეგებ სადავო იყოს ეს ნაწილიც), არამედ უფრო იმიტომ, რომ ყველა ხალხისა და ყველა ეპოქისთვის ამგვარად ყოფილა: ადამიანს, მკითხველს უფრო ის უნდა, თავის თავზე წაიკითხოს რამე, იმგარემოზე, რომელშიც ყოფნა უწევს და ნაკლებად ენაღვლება საუკუნის წინანდელი ან კიდევ უფრო ძველი ამბები. სასკოლო სახელმძღვანელოს ერთ-ერთი დანიშნულებაც, უფრო უკეთ თუ ვიტყვით, სასკოლო პროგრამის დანიშნულებაც და სიკეთეც მე ასე წარმომიდგენია, რომ იგი აზავებდეს ერთმანეთში, აკავშირებდეს წარსულის დიდ ლიტერატურულ ტრადიციასა და ახლო, ხელშესახებ თანამედროვეობას. სხვაგვარად შეიძლება მოხდეს ისე, როცა ჩემმა მოსწავლეებმა ამორიოდე წლის წინ ჯერ არაფრით არ დაიჯერეს, დიდებული ლექსების სწავლის შემდეგ (მე საგანგებოდ დავუმაღლე ავტორის ვინაობა), რომ იაკი კაბე ქართველი ავტორი იყო და კიდევ უფრო მეტად არ დამიჯერეს, როცა ვუთხარი, პირადად ვიცნობ-მეთქი. გულწრფელად უნდა ვთქვა, არ წარმომიდგენია, ორი მომდევნო წლის განმავლობაში რატომ ან როგორ უნდა იყოს ლიტერატურის სასკოლო პროგრამა სრულიად ერთი და იგივე, როგორ შეიძლება ან მთელი წლის (ან ორი-სამი წლის) განმავლობაში იმდენად არაფერი მოხდეს ქართულ ლიტერატურულ გარემოში, რომ თუნდაც ერთი ფაქტი, ერთი ტექსტი მაინც არ აღმოჩნდეს შესაფერისი და საჭირო ახალი პროგრამისათვის. თუნდაც ერთი ტექსტი, რომელიც მომდევნო ან იმის მომდევნო წელს ჩანაცვლდება უფრო უკეთესით, უფრო ახლით ან, უბრალოდ, სხვაგვარით. ეს ბეტონისებური უძრავობა ჩვენი სასკოლო პროგრამისა, ვფიქრობ, ამახინჯებს ქართველ მოსწავლეს, ხელს უშლის მის განვითარებას, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ხელს უშლის მას თვითგამოხატვასა და ირგვლივ არსებული სამყაროს აღქმაშიც. რაც უფრო მეტად შორდება პროგრამა თანამედროვეობას, რაც უფრო ნაკლებად გამოხატავს იგი თანამედროვე ადამიანს, მის სურვილებს, სისუსტეებს, მის წინაშე არსებულ მორალურ თუ ყოველდღიურ გამოწვევებს, მით მეტია გაუცხოება ახალფეხადგმულ მკითხველსა და შეთავაზებულ, „დაძალებულ“ ტექსტს შორის.

სწორედ ამიტომ მინდა ხუთიოდე წლის წინ გამოსულ წიგნზე შევიხერდე, რომლიდანაც ამოღებული ცალკეული ნაწილები, მოთხრობები, ჩემი აზრით, დიდად გაამდიდრებდა პროგრამას, დიდად წაადგებოდა საგაკვეთილო პრო-



**ეს გაუმონიშლებელი უჩინოა
ჩვენი სასკოლო პროგრამისა,
უფრო, ამახინჯებს
უჩინოდ მოსწავლეს, ხელს
უშლის მის განვითარებას,
მისი მსოფლმხედველობის
ჩამოყალიბებას. ხელს უშლის
მას თვითგამოხატვასა
და ირგვლივ არსებული
სამყაროს აღქმას.**



ცესს. უჩვენებდა მოსწავლეებს ახალ ლიტერატურულ ფორმებს, თხრობის იქამდე მათთვის უცნობ ტექნიკას და, ამავე დროს, გაუჩინდა ბევრ კითხვას, როგორც ლიტერატურულს, ისე მორალურს, ისე ისტორიულს.

თამთა მელაშვილის წიგნი „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“ 2017 წელს გამოვიდა და მრავალმხრივ საინტერესო კრებულია. პირველ რიგში, საყურადღებო და აღსანიშნავია, რომ წიგნი დაწერილია ქართული ლიტერატურისთვის სრულიად ახალი ტექნიკით, რეპორტაჟული სტილით, ეს სტილი კი ავტორისაგან უჩვეულო ოსტატობას მოითხოვს, რესპონდენტის მონათხრობი იმგვარად დაამუშაოს, რომ მისგან დოკუმენტური ტექსტი კი არა, მხატვრული ნაწარმოები გამოვიდეს; მკითხველს შეეძლოს, გამოყოს პერსონაჟები, მკაფიოდ დასვას ემოციური აქცენტები, ილაპარაკოს მთხრობელსა და მის განსაკუთრებულ როლზე, იმდენად, რამდენადაც მთხრობელი ერთდროულად „ავტორიცა“ და მთავარი პერსონაჟიც.

სვეტლანა ალექსიევიჩმა, რეპორტაჟული რომანის, რეპორტაჟული თხრობის ყველაზე მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, შეიძლება მისი თანამედროვე ფორმის შემქმნელმაც, თბილისში ჩატარებულ ლექციაზე მეტად სადავო, მაგრამ ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა, უფრო სწორად, დარბაზიდან დასმულ შეკითხვას, რატომ გადაწყვიტეთ ამ ფორმით გეწერათო, თავისი შეკითხვა შეაგება: რამდენად არის მზად თანამედროვე ლიტერატურა უპასუხოს „ახალი ადამიანის“ მოთხოვნებს? რამდენად ან როგორ უნდა მოახერხოს მან, დაძლიოს „ახალი ადამიანის“ გატაცება ახალი ამბებით? როგორ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა ჩვენს მსოფლიოში არსებულ ინფორმაციულ ნაკადს? როგორ უნდა შეეხოს იგი მკითხველს, რომელიც მთლიანად ამბებით, ზოგჯერ დიდი და ზოგჯერ პატარ-პატარა ამბებით, გარემოცულ სამყაროში ცხოვრობს და წიგნის გარეშეც მოყირაჭებული აქვს კითხვაც, ინფორმაციის მიღებაც და შესაძლოა განცდა-თანაგრძნობაც. მაშინ ახალი მომხდარი იყო ალექსოს ტრაგედია და ავტორმა, ჩემი განცდით, სრულიად გულწრფელად დაუბრუნა შეკითხვა დარბაზს. არსებობს კი, აქვს კი კლასიკურ ლიტერატურას ფორმა და საშუალება, ემოციურად შეეხოს მკითხველს და რამე ახალი უთხრას მას, როგორ შეიძლება დაიწეროს ალექსოს ტრაგედია ინტერნეტის ეპოქაში, მას შემდეგ, რაც CNN-მა უკვე გააკეთა რეპორტაჟი, უამრავმა ჟურნალისტმა უკვე ატვირთა ბლოგი და კიდევ უფრო მეტმა გამოაქვეყნა ფოტო და პოსტი მომხდარ ამბავთან დაკავშირებით. ინფორმაციის უკიდურესმა სიმრავლემ ადამიანის თვალთახედვის არეც უკიდურესად გაზარდა, როგორ შეიძლება შექმნას ლიტერატურამ უფრო ვრცელი და მგრძნობიარე ტილო, როგორ



სასკოლო პროგრამის დანიშნულებას და სიკეთეს მე ასე წარმოვიგონია, რომ იმი აზრებზეს ერთმანეთში, აკავშირებდნენ წარსულის ღირებულებასთან და ახლო, ხელახლა შეგვეხებოდა.





**ქართული სკოლის პროგრამაში
მედიისა და სოციალური
სამართლის, როგორც გამოწვევის
განვითარების სოციალური
აქტიურობის შედეგად
მოახდინოს განვითარება.**



შეიძლება შეიქმნას ახალი ეპიკური თხრობა იმგვარად, რომ ყველაფერთან ერთად ავტორს არ დაავიწყდეს ისტორიებში მონაწილე ადამიანები თავისი ყოველდღიურობით და სისუსტეებით?

სვეტლამა ალექსიევიჩმა თქვა, რომ ეს ახალი რეპორტაჟული სტილი რომანი-სა, მისი მხრივ, იყო მცდელობა, თავისებურად ეპასუხა უკვე ჩამოთვლილი გამოწვევებისათვის, შეექმნა ახალი წიგნი, რომელშიც ერთდროულად გამოჩნდებოდა სიმრავლე და მასშტაბიც ამბისა და, ამავე დროს, შენარჩუნდებოდა კერძოობა ტრაგედიისა. კერძოობა გაზრდიდა ამბის სიღრმეს, მის მრავალფეროვნებას, შემატებდა ჰუმანურობას, ხოლო სიმრავლე და ფორმალური ერთგვაროვნება გააძლიერებდა, ყოვლისმომცველს გახდიდა შთაბეჭდილებას და წიგნს უსასრულო მოზაიკად გადააქცევდა.

თამთა მელაშვილის თხრობაც რეპორტაჟულია, ოღონდ მისი მიზანი, ბელორუსი მწერლისაგან განსხვავებით, მასშტაბურობა არ უნდა ყოფილიყო, მან აქცენტი, პირიქით, ამბის შინაგან ფრაგმენტულობაზე გააკეთა და, ჩემი აზრით, არაჩვეულებრივად გაათამაშა მოდერნისტულ ლიტერატურაში ასე ცნობილი მეხსიერების „პრობლემა“, თხრობისას შექმნა დავიწყების „კუნძულები“ და ამ „მეხსიერების ჩავარდნებით“ კიდევ უფრო მეტი უამბო მკითხველს თავისივე მთხრობელების შესახებ, ვიდრე უშუალოდ მონათხრობის გადმოცემით.

დიდი მექსიკელი მწერლის, კარლოს ფუენტესის, მოთხრობაში „კონსტანცია“ მოთხრობის მთავარი გმირი, ფოტოჟიურებიდან გამოსული მისტერ პლოტნიკოვი, კარგად გაათამაშებული ირონიულობით სვამს კითხვას, ვის ფოტოს დაბეჭდავს აპარატი, მისი ცხოვრების რომელ როლს და რომელ პერიოდს აირჩევს, როგორ უპასუხებს, ვინ (რომელმა მე) გაუსწორა თვალი აპარატს? კითხვის ახლებური აზარტიც თამთა მელაშვილის მოთხრობებისა ის არის, რომ თავად ავტორმაც არ იცის, როგორ წარიმართება თხრობის ხაზი, სად გაგრძელდება და სად შეჩერდება, თავად ამბის მთხრობელმა ხომ არ იცის, რას ჩამოაბეჭდავს აპარატი, რომელ „ოთხ ცალ ფოტოს“ გამოაცურებს, იქნება კი ყველა ერთნაირი, თუ მხოლოდ იერიით ემგვანებიან ისინი ერთმანეთსაც და იმ ადამიანსაც, ჯიხურში რომ შევიდა.

წიგნში 26 მოთხრობაა, ყველა მათგანის პერსონაჟი-მთხრობელი რაღაცით უკავშირდება საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს, ან შთამომავალია მათი, ან მეზობელი, ან მეზობლის შვილი. ამბები ყველა გერმანელისაა, მათი ცხოვრების, უფრო სწორად, ცხოვრების ერთი ფრაგმენტისა, უფრო მეოცე საუკუნის ოცდანი წლებიდან, ვიდრე სამოცდაათიანებამდე. პერსონაჟებიც, მიუხედავად ასაკისა, უფრო ბავშვობის ამბებს ჰყვებიან, მეტად რეპრესიების წინარე ამბებს, ოცდაათიანი წლების მიწურულისა და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისას. როგორც ჩანს, ეს

ერთგვარი მიჯნაა. მიუხედავად მასობრივი გადასახლებებისა, მთხრობელები (ბევრგან წერია, მხოლოდ ისინი დატოვეს, ვისაც ოჯახის წევრი, ძირითადად, ცოლი, არაგერმანელი ჰყავდაო) არ წუწუნებენ. თხრობა ერთდროულად მშრალიცაა და სრულიად ემოციურად სუბიექტურიც. ფრაგმენტულობა ტექსტების მთლიანობის აღქმას ხელს არ უშლის, პირიქით, მკითხველს ეხმარება, რომ თითოეული ფრაგმენტი მეტად გამოყოფილ, ყურადღება მეტად გაამახვილოს და დააკვირდეს, როგორ შეიცვალა მთხრობელი წინა ისტორიიდან მიმდინარე ისტორიამდე, რა დარჩა საერთო, რაზე ამჯობინა გაჩუმება და რომელი ამბავი „წამოსცდა“.

წიგნში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას როგორც ფორმის თვალსაზრისით, ისე სიუჟეტურად. თავად თხრობა, ძირითადად, მოკლე წინადადებებით მიმდინარეობს, ეს შინაგანი აგებულებითი ლაკონიურობა ტექსტს პრიმიტიულობის (ამ სიტყვის საუკეთესო სახელოვნებო გაგებით) ელფერს სძენს, დაწერილს სამეტყველო ენასთან უკიდურესად აახლოვებს, თან წიგნის საერთო მუსიკალურ, ემოციურ ფონს ქმნის და თან პერსონაჟის პიროვნების განუყოფელი ნაწილი ხდება, ეხმარება მკითხველს წარმოიდგინოს პერსონაჟი-მთხრობელი.

სიუჟეტური თვალსაზრისითაც მოთხრობებში ხშირად წამოიჭრება ენის საკითხი, აწმყოში ხშირად დავიწყებულის და უკიდურეს წარსულში ბუნდოვნად არსებულისა. ენა ადამიანებს არა მხოლოდ ვეღარ გამოუყენებიათ კომუნიკაციის საშუალებად, რადგან გარემო შეიცვალა, სხვა ეროვნების, სხვა ენობრივი კუთვნილების ხალხთან მოუხდათ მათ ცხოვრება, არამედ აღარც გამოუყენებიათ შიშის გამო, შიშის გამო, რომ დაიჭერდნენ, დახვრეტდნენ, დასცინებდნენ, გარიყავდნენ. ჩემთვის ძალიან უცხო და საინტერესო გამოდგა მდგომარეობა, რომ ენას ბევრი მათგანისთვის დაკარგული აღმოაჩნდა ორივე ძირითადი ფუნქცია, როგორც საკომუნიკაციო, ისე სამყაროს აღწერითი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ადამიანებმა შეინარჩუნეს ემოციური დამოკიდებულება მასთან. სწორედ ლაკონიურობის გამო თხრობა ერთდროულად სხარტიცაა, ნაწყვეტ-ნაწყვეტიც და ძალიან მკაფიოც, ამგვარად მონაკვეთიდან მონაკვეთზე გადასვლა შეუფერხებლად ხდება და მკითხველს „თხრობისმიერი ნახტომები“ ალოგიკურად არ ეჩვენება, მთხრობელის მეხსიერების თამაშად აღიქვამს მათ და არა ავტორის ნაკლებნიჭიერებად, სიუჟეტის გამართვის ავტორისეულ უუნარობად. ზოგჯერ პერსონაჟის მეტყველებაში შერეულია სხვადასხვა ენის სიტყვები, ქართული, რუსული, გერმანული.

ზოგჯერ ცოცხალი ადამიანები შეგნებულად, მეტიც, ნებაყოფლობით, ივიწყებენ მშობლიურ ენას, მაგალითად, მოთხრობაში „Tamara, bist du da?“. მე მას გამოვარჩევდი სხვათაგან ბევრი თვალსაზრისით, ამბის მასშტაბურობით, 20-30-იანი წლების პოლიტიკური მოვლენების, რეპრესიების საყურადღებო აღწერით, აქცენტების სიზუსტით და, რა თქმა უნდა, ენის მნიშვნელობის, მისი განცდის მიმართ გამორჩეული დამოკიდებულებით. გვხვდება ეპიზოდი, რომელშიც საქართველოში, ბოლნისში, მცხოვრები ეროვნებით სომეხი მამა და ეროვნებით გერმანელი დედა გადაწყვეტენ შვილებმა რუსულად ილაპარაკონ, ხოლო მშობლების ენები დაივიწყონ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. გადაწყვეტილება ნაკარნახევია პრაქტიკული მიზეზებითაც და ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქისათვის ბუნებრივი შიშითაც, ბავშვები მაინც არაფრის გულისთვის არ იყვნენ გამორჩეული სხვათაგან, ბავშვებმა მაინც შეძლეს გაითქვიფონ სხვებში, დაკარგონ იდენტობის ცხადი ნიშანი, რადგან სისტემას ოდესმე (და ეს „ოდესმე“ ამ შემთხვევაში ძალიან

მნიშვნელოვანი და დროის გამოხტვის კუთხით მეტისმეტად ბუნდოვანი სიტყვაა), როცა მტერს დასჭირდება, ეს ბავშვები თვალში არავის მოხვდნენ.

გავლენა ბავშვობაში განცდილი შიშისა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ, არამედ საბჭოთა კავშირის დაქვე-ვის შემდეგაც კი, მოხრობელი სრულიად გულწრფელად ჰყვება: „ერთი ნათესავი მყავდა, სულ გერმანულად ლაპარაკობდა. თან სულ ხმამაღლა, ნე დაი ბოგ და ავტობუსში ამოვა და ერთი ბოლოდან მეორეში დამიძახებს: თამარა, ბიშთ დუ და? ვეუბნები: გოგო, ნუ ყვირი ამ გერმანულად. არ მიყვარდა, როცა გერმანულად უცხო ადამიანებთან ერთად მელაპარაკებოდა. ბატკნის, ვეუბნებოდი. ნუ ლაპა-რაკობ, გინდა ქართულად ილაპარაკე, გინდა რუსულად... იმდენს ვეჩხუბებოდი ხოლმე. გინდა გერმანულად ლაპარაკი? სახლში ილაპარაკე. იმათ დაკრულზე ცეკვავო, ასე მეუბნებოდა. არ მიყვარს, როცა ვინმე იტყვის: ნემეცი, ნემეცი.“

როგორ შეიძლება გაქრეს ხალხი, მთელი სოფლები, როგორ შეიძლება ადამიანებმა გადაიტანონ მატარებლის სადგურზე გაყინული ბავშვები; შვილები საგანგებოდ, საჩქაროდ გაათხოვონ ქართველებს ან სომეხებს, რათა მშობლების გადასახლების შემდეგ ისინი მაინც დარჩნენ სახლში. როგორ შეიძლება პრო-კურატურის თანამშრომელმა ქმარმა ვერ მოითმინოს და ორიოდ დღით ადრე გაუმხილოს გერმანელ ცოლს გერმანელების გადასახლების გარდაუვალი ამ-ბავი, თან დაამშვიდოს, რომ თავად არაფერი შეეხებათ, ქალმა კი მოითმინოს და საკუთარსავე ოჯახს არ უთხრას? რას შეიძლება გრძნობდეს ამ დროს ქალი, როგორ შეიძლება დარჩეს ქმართან, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს გადა-სახლებაში? რა შეიძლება უთხრა შვილებს და კიდევ მეტი, რა შეიძლება უთხრა მშობლებს? ამგვარი ისტორია წიგნში ბევრია, ყველა მათგანი მოთხრობილია იშვიათი თანაგრძნობით და თითქმის არასდროს განსჯით. როგორ შეიძლება იცხოვრო სხვის დატოვებულ სახლში, როცა იცი, რომ ისინი, ვინც აქ ცხოვრობ-დნენ, უარეს შემთხვევაში აღარ არიან, უკეთეს შემთხვევაში კი „შორეულში“ გადაიკარგნენ?

რომელ მოთხრობასაც არ უნდა ჩავხედო, სულ ვფიქრობ, რატომ არ ჩხუ-ბობენ ეს ადამიანები? მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელები არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი წინაპრები (მშობლები, როგორც წესი, მეხსიერება და თხრობა უფრო შორს, ისტორიულ სიღრმეში, იშვიათად მიდის) მთელი კვირა ბევრს შრომობდნენ, კვირაობით კი პიკნიკებზე დადიოდნენ და გემრიელ ნამცხვრებს მიირთმევდნენ? რამ მოიტანა ეს ტრაგიკული „სიმშვიდე“, რომე-ლიც გამუდმებით მოჩანს მათ მონაცოლში? ცივილურობამ? ტემპერამენტმა? ტანჯვამ? მარცხმა? შიშმა? იქნებ მათ გადალახეს ზღვარი, რომელიც ხშირად



**თუ მნიშვნელოვანია, რომ
ღიშანაშტნაჲ ადამიანოზის,
დაკანფული ადამიანის შესახებ
უამროს მკითხველს, სოლო
ღიშანაშტნის სასოლო
პროზაჲჲ თანაგრძნოჲჲ,
ჩვენი უახლოესი ნათესავი
ახალი, ჩვენი ნათესავი ადამიანი
და ქვეყანა ერთად გამოხატოს,
მაჲინ უფიქრო, რომ თამთა
მედაშვილის მოთხრობაჲის
კანაჲლი „თქმული და უთქმული
ისტორიები: მანაანადები
საქანთვალეჲი“ გოლო
ნადის, ადგათ, უპირობასის
შენაქანი იქნაჲ სასოლო
პროზაჲისათვის, რომონს
იქნაჲ და ისტორიად, ისე
სამკითხველო გამოხდინაჲის
კუთხით.**



აღუწერიან საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილ მწერლებს. ზღვარი, რომლის იქითაც ადამიანური ტანჯვისაგან მხოლოდ სევდისმაგვარი გაუცხოება რჩება, რადგან სხვაგვარად, თუ უილიამ ფოლკნერის ცნობილ სიტყვებს უკუღმართულად შევატრიალებთ, ადამიანი ვერც გაუძლებს და ვერც გადარჩება. რამდენად გრძნობენ პერსონაჟ-მთხრობელები საკუთარსავე ბედს და თუ გრძნობენ, რატომ ჰყვებიან ნატვრით იმ დროზე, რომელმაც ყველაფერი წაართვა? მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები იყვნენ? და რაც არ უნდა ხდებოდეს ირგვლივ, ბავშვობა მაინც ბავშვობაა, თავისი სრული უგუნურებითა და დაუძლეველი სიცოცხლისუნარიანობით, ნუთუ იმხელაა, რომ ამოწყვეტა, გადასახლება, მართლობაც ვერ ერევა?

წიგნში აღწერილი ამბები საქართველოსა და კავკასიის თითქმის ყველა ისტორიულ მონაკვეთს მოიცავს, განსაკუთრებით დატვირთული პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდია, და ეს მონაკვეთები ანაბეჭდების სახით ყველა პერსონაჟის ბედში გაიფლავება, დაწყებული ოსმალეთის იმპერიიდან 1915 წელს გამოქცეული სომეხი ლტოლვილებით, ამიერკავკასიის გასაბჭოებით, საბჭოთა რეპრესიებით, ოცდაათიანების გადასახლებებით, შიდა მიგრაციებითა და, რა თქმა უნდა, დასრულებული მეორე მსოფლიო ომით, რომელში წასვლაც ახალგაზრდებს ეგებ უნდოდათ კიდევ, უფროს თაობას კი მათი გადაწყვეტილებები მაინცდამაინც გულზე არ ეხატება. მთხრობებში ხშირად გვხვდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი შიმშილობის, გადასახლებულთაგან მიღებული პირველი მნიშვნელოვანი ცნობები, პირველი წერილები, პირველი კონტაქტები შორეულ აღმოსავლეთში დაკარგულებთან და ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლა. ყველა სხვა ამბავი საკმარისად ხელშესახებია, საკმარისად მტკივნეულია, აი, საბჭოთა კავშირის დაშლა კი, როგორც შემომჩვენა, ყველა ამბავს შორის ყველაზე უფრო ფანტომური, გაუგებარი და სევდისმომგვრელიც კი, სიხარულის მომტანი ნამდვილად არაა. ვერ კი ვხვდები, რატომ. ერთადერთი მკაფიო კადრი, რომელიც ამ ფანტომურობიდან გამოიკვეთება ხოლმე, არის ნათესავთაგან ზოგიერთის, განსაკუთრებით, შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებულების, წასვლა გერმანიაში, დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში და ამათი, საქართველოში დარჩენილი ნათესავების, მიპატიჟება მერე თან ახალ და თან ისტორიულ სამშობლოში. სტუმრობა, სიხარულიც, უფრო უჩვეულო სიხარულიც სტუმრობისა და აუცილებლად უკან ჩამობრუნება, ვერ გაძლება სხვაგან. ოღონდ მიზეზი კი არასდროს წერია ამ დაბრუნებისა, ვითომ სამკიდროს სიყვარული? იქნებ გალიის? იქნებ ახალი ცხოვრების, ახალი ადგილის შიში? იქნებ სიხარულის უცხოობა? ეს კრებული პასუხების წიგნი არ არის, მხოლოდ შეკითხვების, მხოლოდ ვარაუდების წიგნია, რადგან მკითხველს გამუდმებით დასდევს განცდა, რომ არც მთხრობელმა იცის, რას ჰყვება და რატომ, არც მწერალმა იცის სრულად, რად აქცია ის მონათხრობი და არც მონათხრობმა იცის, ფუნქციის „კონსტანციასი“ არ იყოს, ვის ფოტოს გამოიტანს ფოტოკუთხურში შესული კაცი (ამბავიც).

ქართული სკოლის პროგრამაში მეტისმეტად ცოტაა ისეთი ტექსტი, რომლის გამოყენებაც მრავალმხრივი სოციალური აქცენტით შეიძლება მოახერხოს მკითხველმა. ტექსტები, რომლებსაც არ ექნება მკაფიო მორალი, არ ექნება ცალსახა პასუხები, მნიშვნელოვნად შეეხება მეოცე საუკუნის (და, მათ შორის, თანამედროვე) ყოველდღიურ ადამიანს და პიროვნულობის, ინდივიდუალურობის შტრიხების შენარჩუნებით გამოხატავს ისტორიულ პროცესებს, დაეხმარება მკითხველს, მით უფრო მოსწავლეს, რთული მეტაფორების, სიმბოლოების გარეშე დაინახოს და იგრძნოს მეორე ადამიანის ტკივილი, არ დარჩეს განწყენებულ,

ობიექტურ პოზიციაში და იოლად მოირგოს „მკითხველი სუბიექტის“, „მკითხველი გამომძიებლის“ როლი. არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ მონათხრობით და თავად აღადგინოს სურათი როგორც ცალკეული ქმედებისა, ცალკეული ფრაგმენტისა, ისე სრული გამოსახულება ერთი ადამიანის ან ერთი ოჯახის ბედისა და იმ სახელმწიფოსიც, რომლის მემკვიდრეც, უნდა თუ არა, თავადაც არის. თამთა მელაშვილის წიგნი, ჩემი აზრით, საუკეთესო ანტიტოტალიტერული ნაწარმოებების გვერდით დგას, მაგალითად, ისეთი თანამედროვე ავტორების, როგორებიც არიან სვეტლანა ალექსევიჩი და ჰერტა მიულერი, განსაკუთრებით, პერსონაჟთა ბედით, მასობრივი დუმილით, პანიკური აკვიატებული შიშით და ამ შიშებთან შემგუებლობით, თხრობის დოკუმენტური მანერით და სალაპარაკო სტილის შენარჩუნებით, კიდევ მეტად მაგონებს იგი ჰერტა მიულერის „საუბრების“ დიდებულ წიგნს – „ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“. როგორ და სად შეიძლება გადიოდეს ინდივიდუალური თავისუფლების ზღვარი ქაოსში? როგორ შეიძლება გადიოდეს ეს ზღვარი დედის ნამცხვრის სუნზე ან ამავე ნამცხვრის რეცეპტზე? როდის ნადგურდება ადამიანი? როდის იშლება ის საბოლოოდ და მოუბრუნებლად სისტემის ხელით? იქნებ, სანამ ბავშვობის დროინდელი გერმანული ნამცხვრის რეცეპტი ახსოვს, მაინც არსებობს? სად გადის ადამიანური აჯანყების ზღვარი? სიკვდილი აუცილებელია? იქნებ ზოგჯერ კმარა ავტობუსში ასულმა ნაცნობს, რომელიც ტრანპორტის მეორე ბოლოში დგას, მთელი ხმით გასძახო: „თამარა, ბისთ დუ და?“.

თუ მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურამ ადამიანურობის, დაკარგული ადამიანის შესახებ უამბოს მკითხველს, ხოლო ლიტერატურის სასკოლო პროგრამამ თანამედროვეობა, ჩვენი უახლოესი წარსული და ახალი, ჩვენი ნაცნობი ადამიანი და ქვეყანა ერთად გამოხატოს, მაშინ ვფიქრობ, რომ თამთა მელაშვილის მოთხრობების კრებული „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“ ბოლო წლების, ალბათ, უძვირფასესი შენაძენი იქნება სასკოლო პროგრამისათვის, როგორც იდეურად და ისტორიულად, ისე სამკითხველო გამოცდილების კუთხით. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო პროგრამა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მკითხველთან ურთიერთობის ერთ-ერთ ენად იქცეს, რომლის დახმარებითაც მწერალსა და მკითხველსა თანაბრად შეეძლება გაიმეოროს თამთა მელაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის დასასრული: „აი, მაგალითად, მე ვცხოვრობ არის იშ ლებ. ჰო. იშ ლებ.“

მსოფლიო პირობა

ადამიანის ზოგადი განათლება სრულიად წარმოდგენილია მსოფლიო პროზის გამორჩეულ ნიმუშთა გაცნობისა და გააზრების გარეშე. სწორედ მათშია თავმოყრილი და წარმოდგენილი ყველაფერი ის, რაც ადამიანისთვის, პიროვნებისთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანია— ფიქრი სამყაროზე, ღმერთზე, საკუთარ თავზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, მოვალეობაზე, თავისუფლებაზე... უამფიქროდ რანი ვიქნებოდით ჩვენ ყველანი და როგორ დავადგებოდით განვითარებისაკენ მიმავალ გზას?

არიან მწერლები, რომლებიც ფიქრისა და პიროვნული ემოციის „ბრენდს“ ქმნიან და სასურველია მათი ჩართვა ადამიანის კულტურული განვითარების საქმეში — ეს არა მხოლოდ ცოდნის, არამედ გემოვნების საკითხიც არის. ლექციასა თუ გაკვეთილზე შეუძლებელია ვრცელი ნაწარმოებების წაკითხვა და შემდეგ განხილვა თუ დიალოგი. ამიტომ შევარჩიე შედარებით მცირე ტექსტები. მერჩეულ მოთხრობებს ახასიათებს ფართო ლიტერატურული გეოგრაფია — აქ შეხვედებით საუკეთესო პროზაიკოსებს მთელი მსოფლიოდან. წარმოდგენილი მოთხრობები ბევრ ისეთ თემას ეხება, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანისთვის (ადამიანისთვის — საზოგადოდ) — მათი გაცნობისას მკითხველს არ სჭირდება საგანგებო მოტივაცია.

წარმოდგენილი მასალის სტრუქტურა ასეთია: ჯერ მოცემულია მოკლე ინფორმაცია მწერლის შესახებ, შემდეგ — მისი ერთი მოთხრობა (გამონაკლის შემთხვევაში — ორი) და ბოლოს — ტექსტის მცირე გზამკვლევი, რომელიც მკითხველს, ერთი მხრივ, გაუადვილებს ნაწარმოების აღქმა-გააზრებას, მეორე მხრივ კი, წააქეზებს საიმისოდ, რომ თავადაც გააგრძელოს ფიქრი მის ლაბირინთებში უკეთ გასარკვევად. რა თქმა უნდა, გზამკვლევები არავის ავალდებულებს, ერთადერთ ჭეშმარიტებად მიიჩნიოს ის ხედვები, რომლებიც მათშია წარმოდგენილი. პირიქით, სასურველი და აუცილებელია სწორედ ის არის, რომ მხატვრული ტექსტის მრავალპლანიანი ბუნება ყველასთვის გათვალსაზრისწოდეს.

ამ რუბრიკის ქვეშ წარმოდგენილი მასალებით (მომავალში წიგნის გამოცემით) პირველი ნაბიჯი გადაიდგმება საიმისოდ, რომ სკოლებმა თუ უმაღლესმა სასწავლებლებმა არჩევით კურსად შემოიღონ „მცირე პროზა“ ან გაკვეთილებსა თუ ლექციებზე გამოიყენონ ლიტერატურული პარალელებისათვის და ჩვენი ახალგაზრდობა (ნურც სხვა თაობის დაინტერესებებს გამოვრიცხავთ) მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს აზიაროს.

გია მურღულია



ბორის აკუნინი

მწერალი, ლიტერატურისმცოდნე, მთარგმნელი და იაპონისტი გრიგორი ჩხარტიშვილი, რომელიც ლიტერატურულ სამყაროში ბორის აკუნინის სახელითაა ცნობილი, 1956 წლის 20 მაისს საქართველოში, ზესტაფონში, დაიბადა. 1958 წელს ის საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. 1973 წელს ინგლისურენოვანი სკოლა დაამთავრა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწორედ მან მთარგმნა უამრავი ცნობილი იაპონელი მწერალი რუსულ ენაზე, მათ შორის: იუკიო მისიმა, კობო აბე, მასაჰიკო სიმადა, ასევე ამერიკელი მწერლები: კორაგესან ბოილი, მალკოლმ ბრედბერი, პიტერ უსტინოვი. 1994–2000 წლებში მუშაობდა ჟურნალ „საზღვარგარეთული ლიტერატურის“ მთავარ რედაქტორად, გამოცემული აქვს „იაპონური ლიტერატურის“ 20-ტომიანი ანთოლოგია.

1998 წლიდან გრიგორი ჩხარტიშვილმა მხატვრული ლიტერატურის გამოქვეყნება დაიწყო ფსევდონიმით ბორის აკუნინი. „აკუნინი“ იაპონური სიტყვაა, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება – „გაბოროტებული ადამიანი“ ან „ადამიანი, რომელიც წესებს არ ცნობს“. მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, ჩხარტიშვილი სამეცნიერო ნაშრომებს საკუთარი სახელითა და გვარით გამოსცემს.

გარდა მისი ცნობილი რომანებისა „ახალი დეტექტივის“ ციკლიდან – „ერასტ ფანდორინის თავგადასავლები“, აკუნინმა შექმნა სერია სახელწოდებით „პროვინციული დეტექტივი“.

ბორის აკუნინის პირველი წიგნია „აზაზელი“ (1998 წ.), რომელსაც მოჰყვა: „თურქული გამბიტი“ (1998 წ.), „ლევიატანი“ (1998 წ.), „სამოქალაქო მრჩეველი“ (2000 წ.). მისი წიგნები კინოპროდიუსერების ყურადღების ცენტრში მოექცა და რამდენიმე ფილმიც გამოვიდა კინოეკრანებზე.

აღმოსავლეთი და დასავლეთი

თარგმანი ნინო ბერიძე

I თავი

მთიდან ჰაზი მურატოვი ცოტა ხნით საომრად დაეშვა. მის მურიდებს უკვე მოებრებოდათ ბნელი ხეობებისთვის თავის შეფარება. ამას გარდა შური უნდა ეძიათ მოლაღატებზე დიდი იმამის სიკვდილისათვის, რომელიც ვერაგულად მოკლეს ციდან ჩამოვარდნილი რაკეტით.

გზატკეცილს სატვირთო მანქანებით მოუყვებოდნენ. ალაგ-ალაგ საგუშაგოები ხვდებოდათ, მაგრამ მადლობა ალაჰს, რომ რუსები ბაკშიშს დახარბებული ხალხია, ვერცხლი კი მურატოვს უხვად ჰქონდა. ის უკვე ფიქრობდა, რომ შეძლებდა გაშლილ ველამდე მიღწევას, სადაც გიაურების მთავარი ქალაქი იყო, რომელიც, თუ ტელევიზორს ვენდობით, ფერად-ფერადი ალებით ბრწყინავდა და საერთოდ არ იცოდა, თუ რა იყო ომი.

მაგრამ განთიადისას, იმ დიდი დაბის შესასვლელში, რომლის სახელი ნაიბმა ვერ დაიმახსოვრა, იღბალმა ზურგი აქცია, დაბისთვის სამწუხაროდ, კორდონის უფროსი ძალიან პატიოსანი, ან ძალიან სულელი აღმოჩნდა. მან ფული არ აიღო და სროლა დაიწყო.

მებრძოლებმა ჯიუტი ოფიცერი და მისი ხალხი მოკლეს, მაგრამ ამის შემდეგ გზის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მეომრები მძინარე ქუჩებში გაიფანტნენ, თან ფანჯრებს დასაშინებლად ესროდნენ. ყველა მხრიდან ჯარისკაცები და კაზაკები გროვდებოდნენ.

დაე აქ, გადაწყვიტა ჰაზიმ, ეს ადგილი არაფრით ჩამოუვარდება სხვას. მხოლოდ ის ინანა, რომ არ დაიმახსოვრა ამ დაბის სახელი, სადაც ალაჰთან შეხვედრა ეწერა.

დაბის შუაგულში თეთრი, დიდი, სქელკედლებიანი მაღალი გალავნით გარშემორტყმული სახლი იდგა. ასეთ შენობაში მტერი შეიძლება დიდხანს მოეგერიებინათ. მურატოვის მეომრები ვესტიბულში შეცვივდნენ, ფანჯრებთან განლაგდნენ, ავტომატების ლულები გარეთ გაყვეს და სროლა ატეხეს. თუმცა გიაურებმა სროლაზე არ უპასუხეს, ქუჩებში კი უფრო და უფრო მეტი ჯავშანტრანსპორტიორი ჩნდებოდა, ხოლო ცაში სამხედრო ვერტმფრენები გუგუნებდნენ.

შემდეგ ნაიბთან ყურბანი მივიდა და უთხრა:

— ცუდია, ჰაზი. ისინი არ გვესვრიან, რადგან ეს საავადმყოფოა.

II თავი

გაიგო რა, რომ ჩეჩენმა აბრეკებმა საავადმყოფო დაიპყრეს, სადაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქე იყო, პრემიერ-მინისტრი ვიქტორ სტეპანოვიჩ ლორის-მელიკოვი ხატებისკენ შებრუნდა და პირჯვარი გადაიწერა. დადგა დრო, რომელსაც ის შიშით მოელოდა იმ დღიდან, რა ხალხის სამსახურში ჩადგომა გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ბედი მას არჩევანის წინ დააყენებდა, რომელიც, სინამდვილეში, არჩევანი არც

იყო. ვიქტორ სტეპანოვიჩი მუდამ ამბობდა, რომ ადამიანი, რომელიც ხალხს მიუძღვნის თავის სიცოცხლეს, თავის თავს აღარ ეკუთვნის.

ახლა დამდგარიყო დრო, როცა ეს სიტყვები საქმით უნდა დაემტკიცებინა.

– თვითმფრინავი მომიშადათ, – უთხრა მან თანაშემწეს, – მივფრინავ. თანაშემწემ შეახსენა:

– არიადნა არკადიევნამ გთხოვათ, რომ მისთვის დაგერეკათ.

– კარგი, კარგი, შემდეგ, – თავი დაუქნია ლორის-მელიკოვმა და გულში დაიფიცა, რომ ცოლზე ჯერ არ იფიქრებდა – ახლა უდრეკი სიმტკიცე იყო საჭირო.

III თავი

მურიდები მოკრძალებით უცქერდნენ ჰაჯის, რომელსაც მუხლი მოეყარა კედლის გაზეთის წინ სახელწოდებით ჩვენი საზრუნავია მშრომელების ჯანმრთელობა და ყოვლისშემოქმედს ევედრებოდა.

– ჩამაგონე, მასწავლე, – ჩურჩულებდა ცივი ლინელიუმისთვის თავმიბჯენილი მურატოვი – როგორ მოვიქცე? არშეიძლება, რომ უდანაშაულოები დაზარალებდნენ.

საავადმყოფოს ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს. მურადები შეეცადნენ სამსახურეობრივი გასასვლელიდან რამდენიმე მშობიარე მაინც გაეყვანათ, მაგრამ კარი ოდნავ გააღეს თუ არა, მოედნიდან იმ წუთსავე ტყვიები დააყარეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან – მოკლეს ერთი ქალი, ორი კი დაჭრეს.

როგორ გაეყვანათ ავადმყოფები და ექიმები, რომ ფეხებში არ მოდებოდნენ და ბრძოლაში ხელი არ შეეშალათ? წინასწარმეტყველს ხომ უთქვამს: „ნუ ემტერები მცირეწლოვანთა და სუსტთა“.

ალაჰი არ პასუხობდა. ეტყობა, თავადაც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

IV თავი

„მინვოდის“ აეროპორტი უკან მოიტოვეს. მინისტრის კორტეჟი გიჟური სისწრაფით მიქროდა მტვრიანი სტანიცების გვერდით.

ლორის-მელიკოვი კიდევ ერთხელ, თუმცა სრულიად უიმედოდ დაფიქრდა: იქნებ არსებობდეს სხვა გამოსავალი?

არა, სხვა გამოსავალი არ იყო.

რა თქმა უნდა, არამზადებთან დათმობაზე წასვლა დაუშვებელი იყო.

საკმარისია ერთი დათმობაც, რომ გატაცებებისა და მძევლების დაპყრობის მთელი ბაკქანალია დაიწყო. ყოველი დღეს გამოსყიდული სიცოცხლე ხვალ ან ზევ ასობით და ათასობით მოკლულის სისხლში განიბანება.

არამც და არამც, ათი თავით მართლები არიან ისრაელელები: არანაირი დათმობა, არანაირი შეთანხმება, არანაირი ვაჭრობა. სჯობს ერთხელ სისხლის ფასად გადარჩე, ვიდრე გამუდმებით იხადო. ის, ლორის-მელიკოვი, ღმერთისა და ხალხის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

ისარგებლა რა იმით, რომ ადიუტანტმა ჩათვლიმა, პრემიერ-მინისტრმა პერანგის შიგნიდან მალულად ამოიღო ოქროს მედალიონი და მასში ჩადებულ ქალის სურათს ეამბორა.

– მაპატიე, ჩემო საუნჯევ, და ნუ განმსჯი – პოლკოვნიკო, – ვიქტორ სტეპანოვიჩმა ფრთხილად დაჰკრა ადიუტანტს მხარზე – გაიღვიძეთ, ალიოზ ქრისტოფოროვიჩი, მურატოვთან დამაკავშირეთ, გეთაყვა.

V თავი

მთავარი ექიმის კაბინეტში ტელეფონი, როლმელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი უკვე მრავალი საათის მანძილზე არ ეტყობოდა, უცებ აფრთხილდა. ყურბანმა მოახსენა, რომ ნაიბთან საუბარი გიაურების ყველაზე მთავარ უფროსს ლორის-მელიკოვს, ჩეჩენი ხალხის სასტიკ მტერს, სურდა. ჰაჯიმ ყურმილი გულდამძიმებულმა აიღო.

იცოდა, თუ რას მოისმენდა. მინისტრი ეტყოდა: დაგვნებდი, მურატოვ, და მაშინ მე უდანაშაულობის გამოშვების ნებას მოგცემ. თუ არა და, შენი სახელი საუკუნოდ ნამუსახილი, ხოლო შენი ღირსება სამუდამოდ ლაფდასხმული იქნება.

– მე ვარ, – მოკლედ თქვა ჰაჯიმ მიკროფონში და თვალები დახუჭა, ჯერ ვერ გადაეწყვიტა, თუ რას უპასუხებდა. დასანანია, რომ ალაჰმა თავისი უსაზღვრო სიბრძნით თვითმკვლელობა აკრძალა.

– ჰაჯი მურატოვ, გესმით ჩემი? – გაისმა ნაიბისთვის ტელევიზორიდან ნაცნობი ხმა.

– დიახ.

– ჰაჯი მურატოვ, თქვენ ბრძანდებით? – ჰკითხა ვიქტორ სტეპანოვიჩმა, დაეჭვდარა, ამ მოკლედ მოპასუხე ადამიანმა რუსული საკმარისად კარგად იცოდა თუ არა – მე თქვენთან მოლაპარაკებას მანამ არ ვაწარმოებ, სანამ ყველა ავადმიყოფს და მთელ სამედიცინო პერსონალს არ გაათავისუფლებთ. გესმით ჩემი?

დუმილი.

– ყველა ამ ადამიანის ნაცვლად მძევლად ჩემს თავს გთავაზობთ, – უთხრა ლორის-მელიკოვმა, თან გამოკვეთილად წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას. უცებ გახსენდა, რომ არც ისე დიდხნის წინ ერთ-ერთი პოლიტიკოსი წინასაარჩევნო აგიტაციის დროს უკვე სთავაზობდა თავის თავს მძევლად ყველა კავკასიელი ტყვის სანაცვლოდ, ამიტომ სწრაფად დასძინა:

– ეს დემაგოგია არ არის, მურატოვ. მე თქვენთან მოვალ, თქვენ გახსნით კარს და ყველას გაუშვებთ. 900 სამოქალაქო პირის სანაცვლოდ თქვენ რუსეთის პრემიერ-მინისტრი გეყოლებათ. სარფიანი გარიგებაა, დათანხმდით. მაშინ მე მოვისმენ თქვენს ყველა მოთხოვნას.

დაბეჭდილ კონვერტში ჯერ კიდევ თვითმფრინავში შედგენილი ბრძანება იდო: საავადმყოფოდან. უკანასკნელი მძევლის გამოსვლიდან 10 წუთის შემდეგ შენობაზე იერიში ჯერ დაბომბვით უნდა მიეტანათ, ხოლო შემდეგ შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. ნანგრევებში დაიღუპებოდნენ დამნაშავეები, მათთან ერთად კი ვიქტორ სტეპანოვიჩ ლორის-მელიკოვი, მაგრამ ამის შემდეგ ვერც ერთი ტერორისტი ვეღარ გაბედავდა რუსი ქვეშევრდომების მძევლად აყვანას. ვერასდროს...

ჰაჯიმ იფიქრა: აი ისიც – ალაჰის მოვლენილი სასწაული.

ღირსება გადარჩენილია, დანებება არ მოუწევთ. კიდევ იბრძოლებენ. ესეც იფიქრა: თეთრი მეფის ყველა მინისტრი ამას რომ ჰგავდეს, შესაძლებელია არც დამოუკიდებლობა მონდომებოდათ. პასუხად კი უთხრა – ისლამის მეომრები ქალებისა და სუსტების უკან არ იმალებიან. შეაჩერე შენი ტურები – არ ისროლონ. ნურც შენ მოხვალ, რაში მჭირდება?

ჭიშკრიდან ბოლო მთავარი ექიმი გამოვიდა: – ეს 18.07 საათზე მოხდა.

ის ცოტა ხნით შეჩერდა, საავადმყოფოს კორპუსისკენ შებრუნდა, თითქოს მასთან გამომშვიდობება უნდოდა და სირბილით გადაჭრა ცარიელი მოედანი.

18.30 საათზე ატყდა სროლა, შემდეგ დაბომბვა. ბრძოლა კიდევ დიდხანს გაგრძელდა – ჯერ პირველ სართულზე იბრძოდნენ, შემდეგ მეორეზე, მესამეზე, მეოთხესა და საბოლოოდ, სახურავზე.

უკვე შუა ღამე იყო, რომ გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სადაც დროებითი შტაბი განლაგებულიყო, შემოვიდა მაზრის უფროსი და თავის დაკვრით ლორის-მელიკოვის წინ მაგიდაზე ჰაჯი მურატოვის მოჭრილი თავი დადო.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, ცოცხალი ვერავინ ავიყვანეთ, – ხელები გაშალა გენერალმა.

აბრეკის თავი თმაგადაპარსული, სახე ხშირი, შავი წვერით დაფარული იყო. გაღებული თვალები ცისფერი აღმოჩნდა. ისინი მრისხანედ გამჭოლ უცქერდნენ პერმიერ-მინისტრს, თუმცა მკვდარს სახეზე მშვიდი და, შეიძლება ითქვას, უშფოთველი გამომეტყველება ჰქონდა.

East is East, West is West... ნაღვლიანად გაიფიქრა ვიქტორ სტეპანოვიჩმა, რომელიც მეორე დაბადებამ პოეტურად განაწყო.

როგორც ჩანს, მთების ამ ველური შვილების თავისუფლად გაშვება მოუწევთ. დაე, იცხოვრონ ისე, როგორც სურთ. ძალით მოწყალე ვერ იქნები.

მონტონის მუჰეჰეჰეჰე

ერთი, თავისუფლებისაკენ სავალი გზის ხშირად სიკვდილთან შეზავებული მშენიერება და მეორე, რას უწოდებენ მას ის ადამიანები, რომლებიც სწორედ თავისუფლებას ზღუდავენ. მათ მიერ შერქმეული სახელები ცნებებსა და მოვლენებს მნიშვნელობას უცვლის და ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ასე შეიძლება, თავისუფლებისათვის მეტრძოლს „ტერორისტი“ უწოდონ, ხოლო მისი თავგანწირვა კაციჭამიობად მონათლონ. ეს იმიტომ ხდება, რომ ვინმემ ამ მართლაც თავისუფლებისათვის თავგანწირულ მეტრძოლებთან სიტყვა „ღირსება“ არ დააკავშიროს, რაც მათ წინააღმდეგ ბრძოლას ბოროტებად აქცევს.

მიუხედავად მურატოვის ხელმძღვანელობით დიდი იმამის გერაგულად მოკვლის გამო მოლა-ლატეთა დასასჯელად მთიდან ბარში ჩამოსვლისას მოულოდნელად ხიფათს გადაეყრებიან და იძულებულნი ხდებიან ერთ შენობას შეაფარონ თავი. ეს საავადმყოფოა, რომელშიც ცხრაასი ადამიანია და ყველა მძევალი აღმოჩნდება. მურატოვის რაზმზე სამხედრო თავდასხმა გარდაუვალია, მაგრამ იერიშისას უდანაშაულო ადამიანთა დიდი მსხვერპლია მოსალოდნელი.

საავადმყოფოში გამაგრებულები სიკვდილისთვის მუდამ მზადმყოფი ადამიანები არიან. მათ ერთი რამ იციან დანამდვილებით – არაფრით გადაიხდიან სიცოცხლეში თავისუფლებასა და ღირსებას. ასეთი „სავატრო დღე“ მათთვის არასდროს დგება. სწორედ ეს აძლევს მთიელებს დიდ ზნეობრივ უპირატესობას თავისუფლების ძალით დამთრგუნველ რუსულ იმპერიაზე. მოთხრობის შინაგან დრამატიზმს ის ქმნის, რომ დამპყრობელი ქვეყნის პირველი პირი, პრემიერ-მინისტრი ლორის-მელიქოვი, ისე მოიქცევა, რომ თავადაც არარად აგდებს სიცოცხლეს მძევალთა გასათავისუფლებლად და მზად არის, მათ სანაცვლოდ, თავად ჩაჰბარდეს მიური-დებს. თუმცა, საქმე ის არის, რომ არავითარი „მძევლები“ არ არსებობენ – მურატოვი და მისი მეტრძოლები, ამ გამოუვალ ვითარებაში, მხოლოდ ღირსეულ სიკვდილზე ოცნებობენ და უდანაშაულო ადამიანთა უაზრო მსხვერპლშეწირვას არ სურთ. შეეცდებიან კიდევ „მძევალთა“ გამოშვებას, მაგრამ „კარი ოდნავ გააღეს თუ არა, მოედნიდან იმ წუთასვე ტყვიები დაუშინეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან – მოკლეს ერთი ქალი, ორი კი დაჭრეს“. კაციჭამია ყოველთვის იმპერიაა და არა თავისუფლებისათვის მეტრძოლი. რაგვარი ცინიზმით იკითხება ამ ველური მკვლელობის დროს საავადმყოფოს კედლის გაზეთის სახელწოდება: „ჩვენი საზრუნავია მშრომელების ჯანმრთელობა“.

ბორის აკუნინი გვიჩვენებს ორ სიმართლეს: ერთი მხრივ – „არავითარი კომპრომისი თავისუფლების წამრთმევთან“, მეორე მხრივ – არავითარი შეთანხმება ტერორისტებთან. ასეთ ვითარებაში მხოლოდ დაუნდობელი კონფრონტაციისა და ხოცვა-ჟლეტისთვის რჩება დროც და ადგილიც. მაგრამ კიდევ არის ერთი რაღაც,

რისთვისაც დრო და ადგილი ყოველთვის მოიძებნება—ეს ადამიანის ღირსებაა. მურატოვი აფასებს პრემიერ-მინისტრის თავგანწირვას, მოსწონს ეს გაბედული თავგანწირვა („თეთრი მეფის ყველა მინისტრი ამას რომ ჰგავდეს, შესაძლებელია არც დამოუკიდებლობა მონდომებოდათ“), მაგრამ არც მისგან იღებს მსხვერპლს: „ისლამის მეომრები ქალებისა და სუსტების უკან არ იმალებიან. შეაჩერე შენი ტურები — არ ისროლონ. ნურც შენ მოხვალ. რაში მჭირდება?“

მოთხრობაში ორი „შენიღებული“ მინიშნებაა. უკანასკნელი მძევლის გამოსვლიდან ათი წუთის შემდეგ დაგეგმილია შეტევა. მე-ნ თავში კი წერია, რომ შენობიდან ბოლოს მთავარი ექიმი გამოვიდა 18.07 საათზე და 18.30 საათზე კი ატყდა სროლა. 23 წუთი ყოყმანობდა ლორის-მელიქოვი ბრძანების გაცემას უკვე დაგეგმილი შეტევის დასაწყებად. რაზე ფიქრობდა კაცი, რომელსაც „ტერორისტმა“ სიცოცხლე არ წაართვა? ნათელია, რომ მასში პიროვნება და სახელმწიფო მოხელე ერთმანეთს ებრძოდნენ და ბოლოს, ალბათ „სახელმწიფო მიზანშეწონილობის“ გამო, მოხელემ გაიმარჯვა. მეორე მინიშნება კი ის არის, რომ შვიდის ნახევარზე დაწყებული ბრძოლა შუალაშემდე გაგრძელდა და საავადმყოფოში გამაგრებული მეზრძოლებიდან ერთიც კი ვერ ჩაიგდეს ხელში ცოცხლად. ასეთი დაპირისპირება ყოველთვის უკომპრომისოა მათი მხრიდან, ვინც სიკვდილის ფასიც იცის და სიცოცხლისაც.

მოთხრობას შთამბეჭდავი ფინალი აქვს — ერთმანეთს უცქერენ ლორის-მელიქოვი და მის მაგიდაზე დადებული მურატოვის მოჭრილი თავიდან მომზირალი მრისხანე ცისფერი თვალები. ისინი დამარცხებას არ აღიარებდნენ. სწორედ მაშინ გაიფიქრებს პრემიერ-მინისტრი (რატომღაც ინგლისურად), რომ „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი კი — დასავლეთი“. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროში არ არსებობს ძალა, რომელიც გაბედულ ღირსებას დაამარცხებს. მთიელებმა კი იციან, რა არის ღირსება და როგორ უნდა შეხედო სიკვდილს ისე, რომ სიმშვიდე არ დაკარგო. სწორედ ამის მეტისმეტად თვალსაჩინო შეგრძნება ათქმევინებს ლორის-მელიქოს: „დაე, იცხოვრონ ისე, როგორც სურთ. ძალით მოწყალე ვერ იქნები“.

